საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24 მარტი შაბათი 2012
№070(13676) ფასი 80 თეთრი

# ელიტრაუნდი, ანუ ელიტა თბილისში: ესპანეთი, ინგლისი და უკრაინა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**მზად ვართ ღირსეულად დასახვედრად!**

ინტერვიუ ვასილ მაისურაძესთან

# უცნაურია, მაგრამ ფაქტია – ტურში მატჩი არ გადადებულა

**იმერეთი დუელს: ზესტაფონში საჩემპიონო, ქუთაისში კლასიკური**



ქართული კლასიკო

**იტალია. სერია A** 9

ხვალ იტალიის დერბია



# მილანი ინტერისთვის, ინტერი მილანისთვის!

თუ არ გჯერათ, ცხრილს გადახედეთ

**ინგლისი. პრემიერლიგა** 6

## ლონდონის ცხელი დერბი

დღეს: ჩელსი VS ტოტენჰემი

**გერმანია. ბუნდესლიგა** 7

## ბაიერნი კვლავ დაგეშილია

რამდენს მიიღებს ჰანოვერი?


მიუნხენელები ბოლო დროს მაგრად ერთობიან

# ამას სიკვდილი, იმას შეწყალება

**სამეფო კლუბს განაჩენი გამოუტანეს**



დიდი ქაოსი პარადას რომეროს მსაჯობამ გამოიწვია

U 17. ინტერვიუ ვასილ მაისურაძესთან

# მოტივაცია? ამაზე ლაპარაკი ზედმეტია


ვასილ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მარტს თბილისში კარგი სანახაობა იწყება. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის მატჩებს საკუთარ კედლებში ჩაატარებს და ქართველი გულშემატკივრების დახმარებით შეეცდება ფინალურ ეტაპზე გასვლას.

მეტოქეები კი ძალიან ძლიერი გვყავს – ელიტრაუნდს ესპანეთით ვიწყებთ, ინგლისით ვაგრძელებთ და უკრაინით ვასრულებთ. ამოცანა რთული შესასრულებელია, მაგრამ უშანსოდ მაინც არ ვართ. მოკლედ, "დინამო არენასა" და "მიხეილ მესხზე" სიარული ნამდვილად ღირს.

საქართველოს ნაკრების თავკაცს ვასილ მაისურაძეს ბოლო სანაკრებო ამბებსა და ელიტრაუნდთან დაკავშირებულ სხვა თემებზე ვესაუბრეთ.

**- საქართველოს ნაკრები ელიტრაუნდს ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება?**

- საბედნიეროდ, მოგვეცა საშუალება, 18-კაციან განაცხადში ზუსტად ის 18 ფეხბურთელი შეგვეყვანა, რომლებიც სადღეისოდ ამას იმსახურებენ. ერთადერთი ის გვანუხებს, რომ ფილტვების ანთება ჰქონდა მათე ცინცაძეს, ვარჯიში ახლა განაახლა და შესაძლოა, ელიტრაუნდის პირველი მატჩისთვის მზად არ იყოს.

**- გუნდი ელიტრაუნდს სასურველი კონდიციებით ხვდება?**

- ჭაბუკთა ნაკრებები არცთუ ხშირად იკრიბებიან და ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციების მოწესრიგება მხოლოდ აქ ვერ მოხერხდება, თუმცა ბოლო მიკროციკლმა სამწვრთნელო შტაბს დაგვანახა, რომ გუნდი ჩვენს მოთხოვნებს ასრულებს და მზადაა იმისთვის, რომ ნებისმიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს. როგორც იცით, ბოლო შეკრება ლუქსემბურგში გავიარეთ, სადაც ამ ქვეყნის ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი მოვუგეთ. ამით ფეხბურთელთა ფიზიკურ-ტაქტიკური მომზადების დონეც გაუმჯობესდა და მათი ფსიქოლოგიური განწყობაც ამაღლდა.

ამჟამად კი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები სასტუმრო "ბატესტაში" ცხოვრობს და საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს.

**- დაგვეთანხმებით, მოახლოებული მძიმე შეხვედრების წინ ფეხბურთელთა განწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

- დიახ, ამას მწვრთნელები ძალიან კარგად ვაცნობიერებთ და ყველანაირად ვცდილობთ, რომ ბიჭებს სტრესი მოვუხსნათ და საბრძოლოდ განვაწყოთ. მათ კარგად იციან, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ და ყველა მატჩზე მოსაგებად უნდა გავიდნენ. რაც შეეხება მოტივაციას, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არც არის – ამ ფეხბურთელებს იმის შანსი აქვთ, რომ გამარჯვებით ქართველი გულშემატკივრები გაახარონ და ამავდროულად კარგი თამაშით კარიერაში დიდი ნახტომი გააკეთონ – თბილისურ ელიტრაუნდს ხომ არაერთი ცნობილი უცხოური კლუბის სკაუტი დაესწრება.

**- ვიცით, რომ მეტოქეებს სისტემატურად სწავლობდით. როგორია ბოლო ინფორმაცია მათ შესახებ?**

- ესპანეთის ნაკრებთან საერთაშორისო ტურნირზე ფრედ ვითამაშეთ, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დადებითი ფაქტორია. თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ესპანელებს ყველა ასაკში მსოფლიოში საუკეთესო ნაკრებები ჰყავთ. ესპანეთის ნაკრებს კარგად ვიცნობთ და იმის მიუხედავად, რომ მათთან წარმატება ურთულესია, თავს არ დავზოგავთ.

მეტ-ნაკლები ინფორმაცია გვაქვს ინგლისელებზეც. ვნახეთ მათი თამაშის ვიდეოფირი და დავრწმუნდით, რომ ესპანეთზე არანაკლები გუნდი ჰყავთ. იგივეს ვიტყოდი უკრაინელებზეც, რომლებთანაც მინსკის საერთაშორისო ტურნირის ფინალში დავმარცხდით. ერთი სიტყვით, ნამდვილ "სიკვდილის ჯგუფში" ვართ, სადაც პირველობის ამბიცია ყველას აქვს.

**- ელიტრაუნდის ესპანეთით დაწყება რამდენად სასურველი იყო ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის?**

- როცა ასეთ ჯგუფში ხვდები, კალენდარს გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. როგორც გითხარით, თითოეულ მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და ფეხბურთელებს ვერ ვეტყვით, რომ ფრეზე ითამაშონ. თუმცა, თუ მოხდა ისე, რომ ესპანეთთან შეხვედრა ფრედ დასრულდა, ჯგუფში გამარჯვების შანსს ეს შედეგიც შეგვინარჩუნებს.

**- საქართველოს ნაკრები ელიტრაუნდში სამივე მატჩს "მიხეილ მესხზე" გამართავს. ეს მწვრთნელთა არჩევანი იყო?**

- დიახ, ჩვენ ასე გადავწყვიტეთ. "მიხეილ მესხი" პატარა, კომპაქტური სტადიონია, ტრიბუნები მოედანზეა მიდგმული და გულშემატკივრები ფეხბურთელებთან ახლო კონტაქტში იქნებიან. ჩვენი ნაკრების ბევრ ფეხბურთელს ამ სტადიონზე უთამაშია და შეჩვეულია, ეროვნულ სტადიონზე თამაშის გამოცდილება კი ჩვენს ბიჭებს არ აქვთ და იქაურ მასშტაბებს შესაძლოა ისინი დაეთრგუნა.

**- ხშირად აღგინიშნავთ, რომ 17-წლამდელთა ნაკრებში რეგიონებიდან ძალიან ცოტა ფეხბურთელია წარმოდგენილი.**

- დიახ, ისე მოხდა, რომ ამ თაობაში საუკეთესო ფეხბურთელთა უმრავლესობა დედაქალაქურ კლუბებს წარმოადგენს. თუმცა, ამჟამინდელ შემადგენლობაში მხოლოდ თბილისელები არ არიან. ასე მაგალითად, ახვლედიანი ზუგდიდიდანაა, ცინცაძე ფოთიდან, ჭეჭელაშვილი გორელია, წილოსანი კი – გურული. რეგიონების გარეშე ქართული ფეხბურთის მომავალი წარმოუდგენელია, თუმცა ქართულმა დღევანდელობამ ასეთი რეალობის წინაშე დაგვაყენა.

თუმცა იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ ამ ასაკში ვერ განსაზღვრავ, ვის შეუძლია დიდი ფეხბურთის თამაში და ვის არა. სავსებით შესაძლებელია, ზოგმა ფეხბურთელმა ზრდა შეწყვიტოს, ზოგმა კი, ვინც დღეს ჩრდილშია, დიდ სიმაღლეებს მიაღწიოს.

**- საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს შორის კომუნიკაცია საკმარისად ინტენსიურია?**

- კომუნიკაციის პრობლემა აქ გვაქვს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ეს პროცესი უფრო დაიხვეწება და სისტემური გახდება. როგორც ვიცი, ეს უშუალოდ თემურ ქეცბაიას ინიციატივაა და იმედია, მალე სანაკრებო მწვრთნელთა შორის კონტაქტები უფრო მჭიდრო გახდება.

**- ამ ციკლის დასრულების შემდეგ თქვენი მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

- როგორც იცით, ცოტა ხნის წინ თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობა ჩამაბარეს და იქ ჩვეულებრივად განვაგრძობ მუშაობას. ამავდროულად, მოხარული ვიქნები, თუ ამ სანაკრებო თაობის გაძღოლის საშუალება მომავალშიც მომეცემა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები

## 18 იმედი

თბილისური ელიტრაუნდის ვრცელ წინათქმას "ლელოს" ორშაბათის ნომერში გაეცნობით და ტურნირის კალენდარს, საქართველოს ნაკრების წევრებსა და მეტოქეებს დეტალურად წარმოგიდგენთ, ახლა კი გაგაცნობთ იმ 18 ფეხბურთელის ვინაობას, რომლებიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვასილ მაისურაძემ** საელიტრაუნდოდ შეარჩია.

მეკარეები: **ალექსანდრე ადამია, ნიკოლოზ შერმადინი** (ორივე – მეტალურგი);

მცველები: **გიგა სამხარაძე, სანდრო გურეშიძე** (ორივე – დინამო), **ნიკოლოზ ჭანტურია, გიორგი გოროზია** (ორივე – ლოკომოტივი), **ლაშა დვალი** (მეტალურგი),

ნახევარმცველები: **არჩილ მესხი, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი, ოთარ კაკაბაძე, თორნიკე მაჭავარიანი** (ყველა – დინამო), **გიორგი აბურჯანია** (მეტალურგი), **მათე ცინცაძე** (ლოკომოტივი), **ნიკოლოზ ახვლედიანი** (ბაია);

თავდამსხმელები: **ალექსანდრე მზევაშვილი, დავით დარციმელია** (ორივე – ლოკომოტივი), **ვანო წილოსანი** (დინამო).

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 19

# მშვიდობიანი კვიპროსი

სამწუხაროდ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კვიპროსულ ტურნეზე ინფორმაციური ვაკუუმი იყო და "ლაივსკორების" მსგავს ვებგვერდებზე ვცდილობდით ინფორმაციების მოძიებას.

ფეხბურთის ფედერაციამ ახლა უფრო ვრცელი ცნობები გაავრცელა. **ოთარ კორღალიძის** განწვრთნილებმა კვიპროსის 19-წლამდელებთან ორჯერ ითამაშეს: პირველი ამხანაგური მატჩი 20 მარტს ლარნაკაში 1:1 დასრულდა. ქართველმა 19-წლამდელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

**ტყეშელაშვილი, სანდოხაძე, თედო გრიგალაშვილი, ზარნაძე, ჯგერენაია, გაგოშიძე, პარუნაშვილი, რეხვიაშვილი, კიკნაველიძე, რუხაძე, ზივზივაძე**

**შეცვლაზე შევიდნენ: დ. გელაშვილი, გაგნიძე, კაკულია**

**გაფრთხილებები: პარუნაშვილი, თედო გრიგალაშვილი, ზარნაძე**

**გოლი: დ. გელაშვილი (76)**

მატჩის პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მე-19 წუთზე ანგარიში გახსნეს – კვიპროსელებმა საქართველოს ნაკრების კარი საჯარიმო დარტყმით აიღეს.

მეორე ტაიმში, სათამაშო უპირატესობას უკვე ჩვენი გუნდი დაეუფლა და 76-ე წუთზე ანგარიშის გაათანაბრეს: კიკნაველიძე - რუხაძის კომბინაცია შეცვლაზე შესულმა **დავით გელაშვილმა** ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა - 1:1.

22 მარტს ამავე გუნდების მეორე დაპირისპირებაში ოთარ კორღალიძემ შემადგენლობა შეცვალა:

**ტყეშელაშვილი, ზარნაძე, თედო გრიგალაშვილი, სანდოხაძე, გაგოშიძე (კაკულია), პარუნაშვილი, რეხვიაშვილი (ჯგერენაია), გაგნიძე, კიკნაველიძე, რუხაძე (ზივზივაძე), გელაშვილი.**

ოთარ კორღალიძემ კვიპროსში საქართველოს 19-წლამდე ნაკრები შემდეგი შემადგენლობით წაიყვანა: ლევან ტყეშელაშვილი, გიორგი პაპავა, თევდორე კაკულია, ლაშა პარუნაშვილი, სანდრო რეხვიაშვილი, ნიკა სანდოხაძე, ბუდუ ზივზივაძე, გიორგი გაგნიძე, ბუბა რუხაძე, ნიკა კაჭარავა (ყველა - „დინამო" თბილისი), გიორგი ჯგერენაია, ნოდარ კიკნაველიძე (ორივე - „გაგრა"), თორნიკე გრიგალაშვილი, თევდორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე (ყველა - „ზესტაფონი"), გიორგი ბერია, კოტე ზარნაძე, დავით გელაშვილი (ყველა - „სპარტაკი", ცხინვალი), თემურ მარკოზაშვილი („ტორპედო", ქუთაისი), გიორგი კალანდია („ვიტ ჯორჯია").

ამ ეტაპზე, მთავარმა მწვრთნელმა ნაკრებში არ გამოიძახა ლეგიონერები, რათა საკლუბო საქმეებზე ყოფილიყვნენ კონცენტრირებულები. ასევე კლუბში დატოვა თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში დაწინაურებული **არჩილ ტვილდიანი**, ტრავმირებულები იყვნენ მეკარე **დავით ლეგაშვილი** და თბილისის "დინამოს" ცენტრალური მცველი **დავით ხოჭოლავა**. შეკრებაზე იყვნენ, მაგრამ კვიპროსში ვერ გაემგზავრნენ "ზესტაფონის" შემტევი ნახევარმცველი **გურამ სამუშია** და ზუგდიდის „ბაიას" თავდამსხმელი **ავთო ენდელაძე**: პირველს სავიზო პრობლემები შეექმნა და გამგზავრებამდე საკითხის გადაჭრა ვერ მოხერხდა, ენდელაძე კი გუნდს ავადმყოფობის გამო ვერ გაჰყვა.




შეგახსენებთ, 19-წლამდელებმა გასულ წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებით ელიტრაუნდის საგზური მოიპოვეს, ელიტ-რაუნდში კი ბოსნია-ჰერცეგოვინას, ხორვატიასა და ავსტრიას 25-30 მაისს გაეჯიბრებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# გურამ კაშია – ვიტესში კიდევ 20 წელი?!.

## ქართველი მცველის გამოსასყიდად 3,5 მილიონი ევროა საჭირო

"ვიტესმა" **გურამ კაშიასთან** ახალი კონტრაქტი რომ გააფორმა, "ლელო" ამაზე უკვე წერდა. 24 წლის მცველს კლუბთან კონტრაქტი 2013 წელს უმთავრდებოდა. კონტრაქტის გახანგრძლივება კი რამდენიმე თვის წინ შესთავაზეს, მაგრამ კაშია ფიქრობდა და თანხმობას არ ჩქარობდა.

"ვიტესის" კაპიტნის გადაწყვეტილებას ჰოლანდიური მედია გამოეხმაურა და საინტერესო შეფასებები გაკეთდა.

*"თავიდან კაშიას მარჯვენა მცველად ათამაშებდნენ, მაგრამ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ჯონ ვან დენ ბრომმა ცენტრში გადაიყვანა და ძალიან ძლიერად ათამაშდა. კაშია არის "ვიტესის" კაპიტანი და ლიდერი, მოედანზეც და მის გარეთაც"* – წერს gelderlander.nl.

კაშიამ "ვიტესში" უკვე 52 შეხვედრა ჩაატარა, ხუთი გოლი გაიტანა და არნემელთათვის შეუცვლელი მოთამაშე გახდა. აღსანიშნავია, რომ ახალ კონტრაქტზე სოციალურ ქსელ "ტვიტერზე" ქართველმა მცველმა დაწერა – "ვიტესში" კიდევ 20 წელი ვითამაშებო.

ცნობილია, რომ ქართველ მცველს ერედივიზიის ბევრად ძლიერ კლუბებში, "ტვენტესა" და "ეინდჰოვენში" იწვევდნენ. რა იყო მთავარი მოტივი, რის გამოც კაშიამ არნემელებთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტა - პირობები, თუ ნაცნობ გუნდში ერჩივნა კარიერის გაგრძელება? ამ კითხვით კაშიას გუშინ მივმართეთ.

*"ორივე ფაქტორმა იმოქმედა. "ვიტესს" ძალიან შევეჩვიე და ეს თქვენთან ორიოდე დღის წინაც ვთქვი. გუნდმა ბევრი შემძინა და თანაც, პროგრესირებს. მერაბ ჟორდანია არნემში ამბიციურ კლუბს აყალიბებს და იმედია, მომავალში ამბიციურ "ვიტესთან" ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევთ. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, არნემში ყველაფერი მაკმაყოფილებს და დარჩენაც ამიტომ გადავწყვიტე.*

*ცხადია, ახალი კონტრაქტით პირობებიც გამიუმჯობესეს. ამას გარდა, ხელშეკრულებაში ჩაიდო პუნქტი, რომ ჩემით დაინტერესებულ კლუბს, გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში შეუძლია ჩემი ტრანსფერი გამოისყიდოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია, რადგან რაც უნდა მოხდეს, "ვიტესი" შეთანხმებულ თანხაზე მეტს ვერ მოითხოვს. მაგრამ ასევე ჩაიწერა, რომ ერთი წლის განმავლობაში ვერსად გადავალ, მერე კი თავისუფლად შემეძლება გადასვლა – ცხადია, თუ თანხას გადაიხდიან"* – გვითხრა კაშიამ.

"ვიტესის" კაპიტანს კლუბთან შეთანხმებული თანხა არ დაუზუსტებია, მაგრამ დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ ლაპარაკია 3,5 მილიონ ევროზე. თუ გახსოვთ, სწორედ ამ პუნქტით ისარგებლა **ალეკო ამისულაშვილმა**, როდესაც შოთა არველაძის "კაისერიდან" რუსეთის პრემიერლიგელ "კრასნოდარში" გადავიდა – მას კონტრაქტში 3 მილიონი ევრო ეწერა. საერთოდ, ბოლო დროს, კონტრაქტის ამ პირობით გაფორმება "მოდაშია".

კაშია პირველი ქართველი არ გახლავთ, რომელიც უცხოურ კლუბს კაპიტნობდა: სამკლაურით გაჰყავდა მოედანზე სამარის "კრილია სოვეტოვი" **დავით მუჯირს, ალეკო რეხვიაშვილს** - "სკონტო", **დავით გამეზარდაშვილს** - ასევე "სკონტო", **კახა ცხადაძეს** - "ანჟი", **ლევან კობიაშვილს** - ჯერ "ფრაიბურგი", ახლა ბერლინის "ჰერტა", **ალექსანდრე იაშვილს** ეს პატივი წილად ხვდა "ფრაიბურგსა" და "კარლსრუეში", **შოთა არველაძეს** "ალკმაარში", **ალეკო ამისულაშვილს** – "კრასნოდარში", **გია კვარაცხელიას** "კაუნასში", მინსკის "მტზ-რიპოსა" და ბრესტის "დინამოში". **პაოლო მალდინისა და ალესანდრო კოსტაკურტას** ტრავმიანობის დროს, "მილანი" კაპიტნის რანგში მოედანზე რამდენჯერმე ვიცე-კაპიტან **კახა კალაძესაც** გაუყვანია.



გურამ კაშიამ ვიტესთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

**მერაბ მამულაშვილი**

ახალწვეული

# ხოჯავაც ბრუნდება

17 თებერვალს განახლებული გორის „დილას" პრეზენტაცია გაიმართა. "შერატონი მეტეხი პალასში" გუნდის ხელმძღვანელებმა მედიას ახალწვეულები წარუდგინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პატრონაჟობით გორის „დილა" მოფერიანდა, ფინანსურად მოღონიერდა, დაიწყო საკლუბო ინფრასტრუქტურის განახლება, გენერალურ დირექტორად დანიშნულმა ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა **მამუკა ჯულელმა** კი საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა.

ერთ-ერთი მათგანი — საქართველოს ნაკრებში ნათამაშები 26 წლის **გოჩა ხოჯავა** რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ცხადია, მისი იმედი ჰქონდათ გორელებსაც, მაგრამ გუნდში ჩარიცხვის შემდეგ ექვსი ტური მიილია, პლეიმეიკერი კი მოედანზე არ გამოჩენილა.

ხოჯავას თქმით, ტრავმირებული მუხლი ახლახან მორჩინა და მართალია, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ბოლო ტურში ზუგდიდის "ბაიასთან" მოედანზე გასვლაც შეეძლო, მაგრამ სიფრთხილის გამო, თავი შეიკავა.

ტრავმამორჩენილებს ხელოვნურსაფრიან მოედანზე გასვლას არ ურჩევენ და ხოჯავამ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა შეხვედრისთვის ტრიბუნიდან მიადევნებინა თვალი.

გოჩა იმედოვნებს, რომ მოედანზე გასვლას 25 მარტს ფოთში "კოლხეთის" წინააღმდეგ მაინც მოახერხებს.

**მერაბ მამულაშვილი**



გოჩა ხოჯავა (წინა პლანზე)

ლეგიონერები

# გელაშვილის მშრალი სერია გრძელდება

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მორიგი წარუმატებელი მატჩი ჩაატარა "ბოხუმმა", რომელმაც "ინგოლშტადტს" უმასპინძლა და 89-ე წუთზე მილებული გოლით 0:1 დამარცხდა. წინა ტურში ავტოგოლის გამტანი **ნიკა გელაშვილი** ამჯერადაც "ბოხუმის" სასტარტო შემადგენლობაში იყო და იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეექმნა, თავი ვერც გუშინ გამოიჩინა. ასე რომ, სადებიუტო მატჩში გატანილი გოლი ნიკას გერმანულ კარიერაში, ჯერჯერობით, ერთადერთად რჩება. "ბოხუმი" მეორე ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილზეა და გავარდნა არ ემუქრება.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში **გიორგი მაკარიძის** "ლე მანი" "ბულონს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ქართველმა მეკარემ ამჯერადაც შეუცვლელად ითამაშა. ლე მანი ლიგა 2-ის ერთ-ერთი აუტსაიდერია და იქ დასარჩენად დიდი ბრძოლა მოუწევს. **ამირან სანაია** "ბასტიას" განაცხადში არც ამჯერად გამოჩენილა. "ბასტიამ" სტუმრად "არლთან" 0:0 ითამაშა და კვლავ ერთპიროვნული ლიდერია, მაგრამ ქართველი მცველის უთამაშებლობა გვაფიქრებინებს, რომ მომავალი სეზონიდან მას სხვა კლუბში ვიხილავთ.

პოლონეთის ექსტრაკლასაში "იაგელონიამ" "ვიძევს" უმასპინძლა და 4:1 გაანადგურა. მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო **ნიკა ძალამიძე,** რომელიც 63-ე წუთზე შეცვალეს. ამ დროისთვის ანგარიში 2:1 იყო. შეგახსენებთ, იგი "იაგელონიამდე" სწორედ "ვიძევის" ღირსებას იცავდა. **მერაბ გიგაური** "იაგელონიას" სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ქართველთა გუნდი მე-10 საფეხურზეა და არც გავარდნა ემუქრება და არც საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი აქვს.

**ლევან მჭედლიძის** "ემპოლი" გასვლაზე "სასუოლოსთან" 0:1 დამარცხდა, ქართველი ფორვარდი კი მოედანზე 76-ე წუთიდან გამოჩნდა. **ირაკლი შეყილაძე** "ემპოლის" განაცხადს მიღმა დარჩა. "ემპოლი" სერია B-ში დასარჩენად ბრძოლას განაგრძობს

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა



# ნაბიჯით წინ

ჩემპიონობის მოპოვება უფრო რთულია, ვიდრე მისი შენარჩუნება – ეს ფეხბურთის ერთ-ერთი თვისებაა, რომელიც ხანდახან აქსიომადაც იქცევა ხოლმე. "ზესტაფონის" ამოცანაც ასეთია – ჩემპიონობა უნდა შეინარჩუნოს და ვფიქრობ, ამისთვის კარგადაც მუშაობს.

"ზესტაფონი" თბილისში ესტუმრა "დინამოს" და ისეთ ფრეს მიაღწია, ხელს რომ აძლევდა. ამ დროისთვის "ზესტაფონს" "დინამოსთან" ის უპირატესობა აქვს, რომ ახლახან შექმნილი გუნდი არ არის, ჩამოყალიბებული ორგანიზმია და მისი დანგრევა ქართული გუნდებისთვის თითქმის შეუძლებელია.

"ზესტაფონს" ის უპირატესობაც აქვს, რომ ერთ მუშტად შეკრული კლუბია, სეზონის განმავლობაში არ ცვლის გეზს და განვითარების პოლიტიკა ადრევე შეიმუშავა.

"დინამოში" კი ასე არ იყო და ყველაფერიც წინ დაუხვდა. აკი თქვა კიდეც მატჩის შემდეგ დინამოელთა დამრიგებელმა **გიორგი დევდარიანმა**, ჯადოსნური ჯოხი არ მაქვსო. "დინამომ" ძვირიანი ფეხბურთელები აიყვანა სეზონის წინ და საშუასეზონო პერიოდშიც, ფეხბურთელი მთავარია, მაგრამ კლუბისთვის და გუნდისთვის ყველაფერს არ ნიშნავს. ფეხბურთში არ არსებობს მალე საკეთებელი საქმე. მოიყვანე ფეხბურთელები და მოიგე – ყოველთვის ასე არ ხდება.

დევდარიანს რთულ დროს მოუწია "დინამოს" მწვრთნელობა, რადგან კლუბი ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია – ჯერ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს განვითარების პოლიტიკა, "დინამოში" თითქოს გარდამავალი პერიოდია.

"ზესტაფონთან" "დინამოს" სათადარიგოებში ხუთი ლეგიონერი რომ ჰყავდა, ამაზე ადრეც ვწერდით და ეს არ უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტი. "დინამოს" პრობლემა მხოლოდ **ალექს გარსია** ვერ იქნებოდა, "დინამოში" ალბათ გაურკვევლობა იყო.

თუ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა იქნება, "დინამოსაც" კარგი პირი უჩანს, კარგი "დინამო" კი კარგი მეტრი იქნება ქართული საკლუბო ფეხბურთისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ "დინამო" მაინც "დინამოა".

"ზესტაფონი" კი ნაბიჯით წინ არის. კლუბს ყველა დონეზე მოგვარებული აქვს საქმე – ასე ჩანს გარედან და ალბათ, ასეც არის. ფეროელთა პრეზიდენტი **ილია კოკაია** მართლაც ჭკვიანი კაცი გამოდგა. იოლად გასატანი დროება ახლა ნამდვილად არ არის და კოკაიამაც საქმეს თავი კარგად გაართვა.

რასაც ახლა ვწერ, ოდენ სუბიექტური აზრია და თუ საკამათოა, არგუმენტი და ფაქტიც გამოჩნდება. მთავარი კი სწორედ ის უნდა იყოს, რომ "ზესტაფონმა" იცის, როგორ იმუშაოს.

**გიორგი ჭიაბრიშვილიც** საინტერესო მწვრთნელი ჩანს. საყრდენი **ზურაბ მენთეშაშვილი** თავდამსხმელ **რატი წინამძღვრიშვილით** რომ შეცვალა, სხვა არაფერი იყო, თუარა ავანტიურა. ADVENTURE STYLE – ამ ყველაფერს ასე ეძახიან ინგლისურად და თუ ზუსტად ვერ მოვთარგმნე, არც ეს უნდა იყოს დიდი დანაშაული. მთავარი აქ მწვრთნელის გაბედული, რისკიანი გადაწყვეტილებაა, იქნებ ეს ევროსარბიელზე გამოადგეთ ჩვენს გუნდებს – ავანტიურის წამქეზებელი ალბათ ეს იყო.

ფეხბურთში გენეტიკაც ბევრს ნიშნავს. ქართველები ვერ ითამაშებენ იტალიელებივით ან გერმანელებივით, ჩვენ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც შეგვიძლია. თუ რამე მოგვიგია და თუ რაიმე წარმატებისთვის მიგვიღწევია, ფეხბურთის ქართულად თამაშით. წინა შესარჩევში ხორვატიას სხვანაირი თამაშით კი მოვუგეთ, მაგრამ ის მაინც ერთი 90 წუთი იყო.

"ზესტაფონში" მგონი ამაზეც ფიქრობენ და თუ ეს მართლა ასეა, კიდევ ერთი პლუსი უნდა დავუწეროთ.

■ ■ ■

"ზესტაფონში" გადასული 34 წლის **დავით მუჯირი** "დინამოსთან" ყმაწვილური შემართებით თამაშობდა და გოლიც მის ჩაუქრობას მოჰყვა. ეს თავისებური მესიჯი იყო იმათთვის, ფეხბურთელის პასპორტში რომ იყურებიან. გასულ უქმეებზე **ალექსანდრე იაშვილმა** მეორე ბუნდესლიგაში დუბლი შეასრულა. მოკლედ, სასიამოვნო თავსატეხია ამ თაობის კარგი თამაში.

■ ■ ■

ხვალ "ტორპედო" – "დინამოა". ეს დაპირისპირება ზოგისთვის ღერბი იყო, ზოგისთვისაც ქართული ელ კლასიკო. ქუთაისში ფეხბურთის ხმები უნდა ისმოდეს და იქ ყოფნას განა რამე აჯობებს?! ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, ვინ არის ნაბიჯით წინ – "ტორპედო" – "დინამო" სულ სხვა ვნებაა, ასე იყო ათადან და ბაბადან.

■ ■ ■

ADVENTURE STYLE კი ჩვენთან პირველად მგონი **იოჰან ბოსკამპმა** ახსენა. ის ცოტა ხნით იყო საქართველოში, მაგრამ უცხოელი მწვრთნელებიდან ალბათ ყველაზე უფრო მჭექი გახლდათ. ვფიქრობ, ავანტიურა ქართველებსაც გვიხდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. II ეტაპი. IV ტურის წინათქმის ნაცვლად

# მალე ევროპას გავაკვირვებთ!

## მიშელ პლატინი და ქართული... რვიანები



ეს ჩემპიონატი თავის „უცნაურობებით“ კიდევ დიდხანს გვემახსოვრება: გათამაშების უჩვეულო სისტემამ ხომ ყველას თავგზა აუბნია, ამას არანაკლებ უჩვეულო უამინდობაც დაემატა და უკვე ის გვიკვირს, ესა თუ ის ტური... სრულად რომ ჩატარდება ხოლმე! იმედი დავიტოვოთ, რომ პლეი ოფსა თუ პლეი აუტში ჩასატარებელ ამ ტურის რვავე შეხვედრას არც გადადება დაემუქრება და ეს რვავე მატჩიც... სპორტული პრინციპების სრული დაცვით ჩაივლის. ჰო, სპორტული თუ პატიოსანი თამაშის პრინციპები შემთხვევით ნამდვილად არ გვიხსენებია: თურქეთში სულ ახლახან დასრულებულ უეფას კონგრესზე ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელმა **მიშელ პლატინიმ** „ხმამაღლა“ და „ყველას გასაგონად“ განაცხადა: ჩაწყობილ თამაშებს დაუნდობელ ბრძოლას გამოვუცხადებთ და ბინძურ გარიგებებში მონაწილეებსაც საკადრისად დავსჯითო. საბედნიეროდ, უეფას პრეზიდენტს კონკრეტული მინიშნება არ გაუკეთებია და, რაც ჩვენთვის საყურადღებოა, „საეჭვო ქვეყნების სიაში“ საქართველოც არ უხსენებია. ანდა, რატომ ან ვინ უნდა დაეჭვებულიყო? პლატინი რამდენჯერმე არის საქართველოში ნამყოფი და აქედან მუდამ ემოციებით ალსავსე მიდიოდა: ჩვენი კეთილმოწყობილი (ვერანაირი უამინდობა პრობლემას რომ ვერ უქმნის) სტადიონებითაც, ალბათ, აღფრთოვანებული რჩებოდა და რამდენჯერმე გახსნილი (თანაც, ყოველთვის — საზეიმო ვითარებაში) სანაკრებო ბაზ(ებ)ითაც! ერთადერთი, რაზეც პლატინი სრულ და ამომწურავ ინფორმაციას რომ ვერ ფლობდა, საქართველოს ჩემპიონატი იყო: თავისი დაძაბულობით, ინტრიგითა და, რაღა თქმა უნდა, „პატიოსანი თამაშის პრინციპების“ სრული დაცვით! ისე, უეფას პრეზიდენტი არც არის ვალდებული, ამ გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყნის ჩემპიონატს თვალი მიადევნოს ან კიდევ, სად როგორი რეგლამენტით ატარებენ პირველობას, ამით იყოს დიდად დაინტერესებული. თუმცა, ვინმეს „ქართული მოდელი“ რომ შეეთავაზებინა, შესაძლოა, დაფიქრებულიყო კიდეც უეფას პატივცემული პრეზიდენტი და „რვიანებად“ დაყოფის პრინციპი, არ არის გამორიცხული, საერთოდ, ევროპულ კონტინენტზეც ყველასათვის სავალდებულო გამხდარიყო! მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ დღესდღეობით საკმაოდ გავლენიანი და უნარიანი ფუნქციონერი მიშელ პლატინი თავის დროზე არანაკლებ ჩინებული ფეხბურთელიც გახლდათ. ანუ, ვეჭვობთ, რომ „ნანსის“, „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს ძალიან მოეწონებოდა ჩემპიონატებში ქულების... ქართულად დათვლა! ისე, წარმოგვიდგენია უეფას პრეზიდენტის სახე, როცა ასეთ ინფორმაციას შეიტყობდა: საქართველოს ჩემპიონატი არის მართლაც განსაკუთრებული, გამორჩეული და დამაინტრიგებელზე-დამაინტრიგებელი გათამაშება, რადგანაც მხოლოდ აქ შეიძლება მოხდეს უნიკალური აღმოჩენები; აი, მაგალითად, „ზესტაფონი“ პირველი ეტაპის შემდეგ რუსთავის „მეტალურგს“ 21 ქულით უსწრებდა, მაგრამ დაიწყო მეორე ეტაპი და ეს სხვაობა ამჟამად... ორ ქულას შეადგენს! არადა, „ზესტაფონმა“ ორი მატჩი ჩაატარა და 3 ქულა მოიპოვა, „მეტალურგმა“ კი ერთით მეტ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის აღება შეძლო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დაიბნეოდა, ალბათ, უეფას პატივცემული პრეზიდენტი, როცა შეიტყობდა, რომ საქართველოში კარგი ღვინისა („ევროპულიც“ და „ტანინიანიც“) და არანაკლებ ჩინებული თამადობის ინსტიტუტის გარდა გამორჩეულად განსაკუთრებული საფეხბურთო ჩემპიონატიც მიმდინარეობდა თავის „ჩვეულებრივი“ თუ „ვირტუალური“ ცხრილებით! ისე, ვინ იცის, იქნებ „ქართული მოდელი“ არამხოლოდ სხვა ქვეყნებში, არამედ... ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თუ ფინალურ ტურნირებზეც „გადაიტანოს“. ოღონდ, ამ ზაფხულს უკრაინა-პოლონეთში ჩასატარებელ ევროპირველობაზე ნამდვილად ვერაფრით მოესწრება; სამაგიეროდ, ხომ არის იმის შანსი, რომ უკვე მომდევნო გათამაშებაში სწორედ „ქართული მოდელით“ იხელმძღვანელონ, — თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ევრო-2016-ის ფინალურ ტურნირს პლატინის სამშობლომ, საფრანგეთმა უნდა უმასპინძლოს. თუმცა, ჩვენი აზრით, ბევრად უფრო უპრიანი იქნება 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თუ ფინალური ტურნირების „ქართული მოდელით“ ჩატარება — მით უფრო, იმის შანსიც ხომ არის, ამ მნიშვნელოვან საფეხბურთო ფორუმს ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად საქართველომაც უმასპინძლოს!..

**გია ტუხაშვილი**




*P.S. აზერბაიჯანელებთან თანამასპინძლობაზე რა პრეტენზია უნდა გვქონდეს, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როცა დამოუკიდებლად შევძლებთ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მასპინძლობასაც და ნურც ის გაუკვირდება ვინმეს, ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის ფინალებს რომ ვუმასპინძლოთ. ოღონდ, არავინ თქვას, ამისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა არა გვაქვს? პირიქით, რამდენიც გნებავთ, იმდენი, უბრალოდ... ამ ყველაფერს ხომ დანახვა უნდა!*

### პლეი ოფი

| მატჩი | თარიღი / ადგილი | დრო |
|---|---|---|
| კოლხეთი–დილა | 25.03. ფოთი ფაზისი | 15:00 |
| ბაია–მერანი | 25.03. ზუგდიდი ბაიას ბაზა | 15:00 |
| ზესტაფონი–მეტალურგი | 25.03. ზესტაფონი დ. აბაშიძე | 15:00 |
| ტორპედო–დინამო (Live რეპორტაჟი პირველ არხზე) | 25.03. ქუთაისი ცენტრალური | 18:00 |

### პლეი აუტი

| მატჩი | თარიღი / ადგილი | დრო |
|---|---|---|
| გურია–ჩიხურა | 24.03. ოზურგეთი მეგობრობა | 15:00 |
| ვიტ ჯორჯია–სიონი | 25.03. მცხეთა მცხეთა-პარკი | 15:00 |
| მერცხალი–ბათუმი | 25.03. ოზურგეთი მეგობრობა | 15:00 |
| სპარტაკი–გაგრა | 25.03. თბილისი ბენდელა | 15:00 |

### პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 16 | 10 | 4 | 2 | 29 | 13 | 34 |
| 2 | მეტალურგი | 17 | 10 | 2 | 5 | 25 | 19 | 32 |
| 3 | დინამო | 16 | 7 | 4 | 5 | 30 | 23 | 25 |
| 4 | ტორპედო | 15 | 7 | 3 | 5 | 17 | 13 | 24 |
| 5 | ბაია | 16 | 4 | 5 | 7 | 12 | 20 | 17 |
| 6 | დილა | 16 | 4 | 4 | 8 | 17 | 19 | 16 |
| 7 | კოლხეთი | 16 | 3 | 6 | 7 | 9 | 20 | 15 |
| 8 | მერანი | 16 | 4 | 2 | 10 | 14 | 26 | 14 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 13 |
| ჩისკო (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 10 |

### პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3 | 0 | 7 |
| 2 | გაგრა | 3 | 1 | 2 | 0 | 4 | 2 | 5 |
| 3 | გურია | 3 | 1 | 2 | 0 | 7 | 6 | 5 |
| 4 | სპარტაკი | 3 | 1 | 1 | [illegible] | 3 | 3 | 4 |
| 5 | სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 5 | 4 | 3 |
| 6 | ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 |
| 7 | დინამო (ბთ) | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 8 | მერცხალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 |

საფრანგეთი. XXIX ტურის წინ


ოთხშაბათს ხავიერ პასტორე და მისი თანაგუნდელები თასზე შერცხვნენ

# უკანასკნელი სამიზნე იტალიელისთვის

| დღეს | |
|---|---|
| აიაჩო-ლორიანი | 22:00 |
| ბრესტი-ნანსი | 22:00 |
| ევიანი-ლილი | 22:00 |
| ლიონი-სოშო | 22:00 |
| მონპელიე-სტ. ეტიენი | 22:00 |
| ნიცა-მარსელი | 22:00 |
| ვალანსიენი-რენი | 00:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| დიჟონი-კანი | 19:00 |
| ტულუზი-ოსერი | 19:00 |
| პსჟ-ბორდო | 23:00 |

ასეც ხდება ხოლმე... ჩვენი გაზეთი წმინდა სპორტულ თემატიკას იშვიათად სცდება, მაგრამ ახლა სწორედ ეს გამონაკლისია. სერიულმა მკვლელმა **მუჰამედ მირამ** ერთი დღის ინტერვალით ჯერ 3 ფრანგი ჯარისკაცი მოკლა, შემდეგ კი სკოლის შესასვლელთან ატეხა სროლა და 3 ბავშვი და 1 მასწავლებელი იმსხვერპლა. საფრანგეთი გლოვობს და ბუნებრივია, ამავე ფონზე ჩაივლის უქმეებზე გამართული ყველა სპორტული შეჯიბრებაც. მათ შორის ლიგა 1-ისა და ლიგა 2-ის შეხვედრები.

დავუბრუნდეთ ფეხბურთს. საფრანგეთის თასიდან გამოვარდნისა და 17-თამაშიანი წაუგებელი სერიის შეწყვეტის შემდეგ "პარი სენ-ჟერმენს" "პარკ დე პრენსზე" "ბორდოსთან" დაპირისპირება ელოდება. "ლელომ" გუშინდელ ნომერში გაგაცნოთ **ლეონარდოს** განცხადება, ამდენი ხნის შემდეგ პირველად წავაგეთ და რაკი ყველაზე მეტად გულში ჩემპიონობა გვქონდა ამოჭრილი, ერთი მარცხი ახლა ველარაფერს შეცვლისო. ეს ალბათ ნათელი გზავნილი იყო **კარლო ანჩელოტისთვის**, რომ ჩემპიონატში მსგავს წაფორხილებას მისგან არ მოითმენენ. არადა, "ლურჯ-წითლების" თამაში მარცხისკენ ნელ-ნელა მიდიოდა. აღვნიშნავდით კიდეც, ზედიზედ ხუთ თამაშში ბოლო წუთებზე გოლის გატანა მარტო ბრძოლისუნარიანობის კი არა, იღბლის საკითხიც არის-თქო. აი, თასზე იღბალმა უგანა თუ არა, დედაქალაქელები დამარცხდნენ. პსჟ-ს იმედიან განწყობას ალბათ ის აძლევს, რომ ლიგა 1-ში შინ ჩატარებულ შეხვედრებში საუკეთესო შედეგი აქვთ, "ბორდო" კი გასვლით შეხვედრებში ვერ ბრწყინავს. რისი თქმა შეიძლება **ფრანსის ჟიიოს** გუნდზე? ჟირონდელებს "პარკ დე პრენსი" ბოლო წლებში საკმაოდ კარგად აქვთ დაცდილი. ამ არენაზე მათ გასულ წელსაც მოიგეს (2:1), 2008-შიც (2:0) და 2007-შიც (2:0). ასე რომ, მათი წარმატება არც ხვალინდელ თამაშში იქნება მოულოდნელი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 28 | 17 | 8 | 3 | 52-29 | 59 |
| 2. მონპელიე | 28 | 17 | 6 | 5 | 52-27 | 57 |
| 3. ლილი | 28 | 13 | 11 | 4 | 50-31 | 50 |
| 4. ტულუზი | 28 | 13 | 8 | 7 | 30-24 | 47 |
| 5. ლიონი | 28 | 14 | 4 | 10 | 44-35 | 46 |
| 6. სტ. ეტიენი | 28 | 13 | 7 | 8 | 35-30 | 46 |
| 7. რენი | 28 | 12 | 8 | 8 | 37-32 | 44 |
| 8. ბორდო | 28 | 10 | 10 | 8 | 34-31 | 40 |
| 9. მარსელი | 28 | 10 | 9 | 9 | 35-29 | 39 |
| 10. ევიანი | 28 | 9 | 9 | 10 | 41-40 | 36 |
| 11. ვალანსიენი | 28 | 8 | 7 | 13 | 28-34 | 31 |
| 12. ლორიანი | 28 | 7 | 10 | 11 | 27-36 | 31 |
| 13. ბრესტი | 28 | 5 | 15 | 8 | 23-26 | 30 |
| 14. ნანსი | 28 | 7 | 9 | 12 | 26-36 | 30 |
| 15. დიჟონი | 28 | 8 | 6 | 14 | 34-48 | 30 |
| 16. აიაჩო | 28 | 7 | 9 | 12 | 30-48 | 30 |
| 17. კანი | 28 | 7 | 8 | 13 | 32-42 | 29 |
| 18. ნიცა | 28 | 6 | 9 | 13 | 26-33 | 27 |
| 19. სოშო | 28 | 6 | 9 | 13 | 28-43 | 27 |
| 20. ოსერი | 28 | 4 | 12 | 12 | 33-43 | 24 |

ლევან ბიბილაშვილი

ამბები

## ოპერაცია – ორშაბათს, ის კი ჩვეულებრივად ვარჯიშობს!


ერიკ აბიდალი სამაგალითო მებრძოლი ყოფილა

„ეკიპის"ინფორმაციით, „ბარსელონას" ფრანგ მცველს, **ერიკ აბიდალს** ღვიძლს ორშაბათს გადაუნერგავენ. შეგახსენებთ, რომ 32 წლის ფეხბურთელს დონორის საშოვნელად 4-თვიანმა რიგში დგომამ არ მოუწია, რადგან მისმა ბავშვობის მეგობარმა გადაწყვიტა დონორობა.

ექიმები შიშობენ, რომ ოპერაციის შემდეგ აბიდალი ველარ შეძლებს შარშანდელი გმირობის ჩადენას და სპორტში დაბრუნებას. თუმცა არის ერთი „დეტალი" - ამ ფეხბურთელმა მართლაც ენითა უწერელი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. ახლაც, როცა ოპერაცია კარს მოადგა, აბიდალი „ბარსელონასთან" ერთად ჩვეულებრივად ვარჯიშობს! ასე რომ, ექიმების ადგილას კატეგორიულები ვერ ვიქნებოდით, როცა საქმე აბიდალს შეეხება.

## როსი ნაპოლიში?

„ვილიარეალის" ტრავმირებული იტალიელი ფორვარდი **ჯუზეპე როსი** ალბათ ამ კლუბის ყვითელ მაისურას ალარ მოირგებს. იტალიის ნაკრების ფორვარდის აგენტი ადასტურებს, რომ მისი კლიენტი შეიძლება სამშობლოში დაბრუნდეს და „ნაპოლიში" გააგრძელოს კარიერა... თუ ნეაპოლელთა ფორვარდი **ესეკიელ ლავეცი** სხვაგან წავა. როსის სხვა ვარიანტებიც ბევრი აქვს, მის მომავალს პრემიერლიგის კლუბებსაც უკავშირებენ.

შეგახსენებთ, რომ ჯუზეპემ მუხლის მძიმე ტრავმა ოქტომბერში მიიღო და მას მერე არ უთამაშია. 25 წლის როსიმ ხუთი სეზონი გაატარა „ვილიარეალში".

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები

## მარადონა: ტევესი მე დავაბრუნე

**კარლოს ტევესის** წარმატებული დაბრუნება „მანჩესტერ სიტიში" დიეგო მარადონამ მიიწერა თავის დამსახურებად: „სამი თვის წინათ ვუთხარი ტევესს, რომ [illegible] რობერტო მანჩინისთან. ის ფეხბურთს შორდებოდა და [illegible] მიდიოდა, [illegible] დაბრუნდი „სიტიში" მალე-მეთქი", - თქვა მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ვარსკვლავმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## დახმარება პორტსმუთს

ჩემპიონშიპის აუტსაიდერ "პორტსმუთს" სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და ამის გამო ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, კლუბში შიდა ადმინისტრაციის დანიშვნას დათანხმებოდა. რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი კლუბს მყიდველი არ გამოუჩნდა, მას გაკოტრება არ ასცდება. შიდა ადმინისტრაციის მართვაში კლუბის გადასვლა ავტომატურად ნიშნავს, რომ საფეხბურთო ასოციაცია მას 10 ქულას აკლებს. ასე რომც არ მომხდარიყო, 40 ქულით "პომპები" მაინც გასავარდნ ზონასთან ახლოს იტრიალებდნენ, თუმცა უზარმაზარ ფსიქოლოგიურ წნეხს აიცილებდნენ თავიდან.

ასეთ პირობებში "მანჩესტერ სიტის" მიერ "პორტსმუთისთვის" 2 ფეხბურთელის უფასო იჯარით დათმობა ნამდვილად ჯენტლმენური საქციელია. მართალია, ლაპარაკი რეზერვისტებზეა, მაგრამ მაინც. **კარიმ რეკიკი** 17 წლის ჰოლანდიელი მცველია. ის "ნარინჯისფერთა" იმ ნაკრების კაპიტანი იყო, რომელმაც შარშან 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი სულ ცალი ფეხით მოიგო. რაც შეეხება **ლუკა სკაპუცის**, 20 წლის იტალიელი თავდამსხმელია. ერთსაც და მეორესაც დებიუტი "სიტის" პროფესიონალთა შორის უკვე ჰქონდა.

## არსენალი ემზადება

"ივნინგ სტანდარტის" მტკიცებით, "არსენალი" ორშაბათს ოფიციალურად დაადასტურებს "კიოლნიდან" გერმანიის ნაკრების თავდამსხმელის, 26 წლის **ლუკას პოდოლსკის** შეძენის ფაქტს. აღნიშნულ ტრანსფერზე, როგორც შესაძლოზე, უკვე დიდი ხანია ალარავინ წერს, რადგან არც "თხებს" და არც "მეთოფეებს" ინფორმაციის უარყოფა მაინცდამაინც არ უცდიათ. მხოლოდ **არსენ ვენგერმა** თქვა ცოტა ხნის წინ, შეთანხმება მიღწეული ჯერ არ არისო. 10 დღის წინ "კიოლნის" ბაზას ლონდონელთა ექიმებიც ეწვივნენ, რომლებმაც თავდამსხმელს სამედიცინო შემოწმება ადგილზე ჩაუტარეს და დაასკვნეს, რომ გერმანელი ხარივით ჯანმრთელია. "არსენალს" ლუკასის გადაბირება 10,9 მილიონი ფუნტი, ანუ 13,03 მილიონი ევრო დაუჯდება. პოდოლსკის ხელფასი კვირაში 90 ათასი ფუნტი იქნება.

## სუონსი შეეცდება


სკოტ სინკლერი

მიმდინარე სეზონში "სუონსის" ასპარეზობით აღფრთოვანებულები მხოლოდ მოშურნეები თუ არ იქნებიან. უელსელები მე-8 ადგილზე არიან და "ლივერპულს" სულ რაღაც 3 ქულით ჩამორჩებიან. საქმე მხოლოდ **ბრენდან როჯერსის** სამწვრთნელო კვალიფიკაციაში არ არის - გუნდს შესანიშნავი ფეხბურთელებიც ჰყავს. მაგალითად, **სკოტ სინკლერი** (მარცხენა ნახევარმცველი, 22 წლის), **ლეონ ბრიტონი** (ცენტრალური ნახევარმცველი, 29 წლის). განსაკუთრებულ ინტერესს უკანასკნელი იწვევს. იმ ფონზე, როცა "სუონსის" ბევრი გოლი ვერ გააქვს, სინკლერის მიერ გატანილი 7 გოლი და 4 საგოლე გადაცემა უფრო დასაფასებელი ხდება. ამ ორ ფეხბურთელზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებთ, რომ მათ კონტრაქტებს ვადა 2013 წელს გასდის, თორემ როჯერსს სხვა ნიჭიერი შეგირდებიც ჰყავს. მაგალითად **ჯო ალენი** და **გულფი სიგურდსონი**. პირველს კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს, უკანასკნელი კი უელსელებში მხოლოდ იჯარით თამაშობს. სრულფასოვანი კონტრაქტი ისლანდიელს გერმანულ "ჰოფენჰაიმთან" აკავშირებს. სამწუხაროა, რომ "სუონსიმ" მომდევნო სეზონში შეიძლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელი დაკარგოს.

ლევან ბიბილაშვილი



# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტურის წინ



ჩელსისა და ტოტენჰემს შორის ბრძოლებს დაძაბულობა არასოდეს აკლია

# სტემფორდ ბრიჯზე იდეების გარეშე

### დღეს

**ჩელსი–ტოტენჰემი 16:45**

**ტრავმა:** ტერი, ივანოვიჩი, რომეუ – ადებაიორი, ჰადლსტოუნი, კინგი, დოუსონი, ლენონი, გომეში

**არსენალი–ასტონ ვილა 19:00**

**ტრავმა:** მერტეზაკერი, დიაბი, სკილაჩი, ფრიმპონგი, უილშირი, კოკლენი – დელფი, დანი, ბენტი, კლარკი

**ბოლტონი–ბლექბერნი 19:00**

**ტრავმა:** ლი, გარდნერი, მუამბა, მირსი, ჰოლდენი – გრელა, სალგადო

**ლივერპული–უიგანი 19:00**

**ტრავმა:** კელი, აგერი, ადამი, ლეივა, ჯონსონი, ბელამი – რობინსონი, როდალიეგა, ჯოუნსი, პოლიტი

**ნორვიჩი–ვულვერჰემპტ. 19:00**

**ტრავმა:** აიალა, ვონი, ტირნი, რუდი - ჰენრი, ო'ჰარა, მილიაში

**დისკვალიფიკაცია:** ზუბარი (ვულვზი)

**სანდერლენ.–ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** ანხელერი, ბრაუნი, ბრამბლი, ვესტვუდი, რიჩარდსონი, ო'ში – ფორლინი, ჰილი, დაიერი, ჰოლი, ტრაორე, მაკედა, კემპბელი, ჰელგუსონი,

**სუონსი–ევერტონი 21:30**

**ტრავმა:** აგუსტინი, უილიამსი, ორლანდი, ბოდე – გიბსონი, როდუელი, კოულმენი

**დისკვალიფიკაცია:** დაიერი (სუონ)

**სტოკ სიტი–მანჩ. სიტი 19:00**

**ტრავმა:** სიდიბე, ეთერინგტონი, დიაო – კომპანი, ლესკოტი

**დისკვალიფიკაცია:** ფულერი (სტოკ)

### ხვალ

**ვესტ ბრომვიჩი–ნიუკასლი 23:00**

**ტრავმა:** ფულოპი, გერა, რიდი, ოდემვინგე – ტ. ტეილორი, რ. ტეილორი, ტიოტე, ბენტი, ამეობი, ლოვენკრანდსი,

**დისკვალიფიკაცია:** გოსლინგი -

### ზეგ

**მანჩ. იუნაიტედი–ფულჰემი 23:00**

**ტრავმა:** ნანი, ფლეტჩერი, ვიდიჩი, ოუენი, ჯონსი, ლინდეგორი, ანდერსონი – სიდუელი, გრიგერა, სა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 29 | 22 | 4 | 3 | 73-27 | 70 |
| 2. სიტი | 29 | 22 | 3 | 4 | 71-21 | 69 |
| 3. არსენალი | 29 | 17 | 4 | 8 | 58-39 | 55 |
| 4. ტოტენჰემი | 29 | 16 | 6 | 7 | 53-35 | 54 |
| 5. ჩელსი | 29 | 14 | 7 | 8 | 49-34 | 49 |
| 6. ნიუკასლი | 29 | 13 | 8 | 8 | 41-41 | 47 |
| 7. ლივერპული | 29 | 11 | 9 | 9 | 35-29 | 42 |
| 8. სუონსი | 29 | 10 | 9 | 10 | 34-34 | 39 |
| 9. სანდერლენდი | 29 | 10 | 7 | 12 | 36-33 | 37 |
| 10. ევერტონი | 29 | 10 | 7 | 12 | 28-32 | 37 |
| 11. სტოკ სიტი | 29 | 10 | 7 | 12 | 28-40 | 37 |
| 12. ფულჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 37-40 | 36 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 6 | 13 | 35-38 | 36 |
| 14. ნორვიჩი | 29 | 9 | 9 | 11 | 39-46 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 31-35 | 33 |
| 16. ბლექბერნი | 29 | 7 | 7 | 15 | 42-60 | 28 |
| 17. ქუინზ პარკი | 29 | 6 | 7 | 16 | 32-50 | 25 |
| 18. ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31-57 | 23 |
| 19. უიგანი | 29 | 4 | 10 | 15 | 25-54 | 22 |
| 20. ვულვზი | 29 | 5 | 7 | 17 | 30-63 | 22 |

### ლონდონური დერბი

წინა ტურის მსგავსად 30-ეს უმთავრეს დაპირისპირებაშიც "ჩელსი" თამაშობს. ამჯერად, "ლურჯები" შინ "ტოტენჰემს" მასპინძლობენ და მოგების შემთხვევაში სხვაობას მეტოქესთან 2 ქულამდე შეამცირებენ, რაც მომდევნო სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსს ზრდის. ერთი თვის წინ ფავორიტის დასახელება ნამდვილად გაჭირდებოდა, მაგრამ დღეს ის აშკარაა. პრემიერლიგაში "დეზების" ბოლო გამარჯვება 11 თებერვლით თარიღდება. მას მერე **ჰარი რედნაპის** გუნდმა მაქსიმალური 12 ქულიდან 1 აიღო და "არსენალთან" 9-ქულიანი ფორა გაანიავა. სწორედ ამას უსვამდა ხაზს გუშინ, თამაშის წინ **გარი კეჰილი**, მეტოქე იმდენად ცუდ ფორმაშია, რომ უფლება არ გვაქვს, ეს ფაქტორი საჩვენოდ არ გამოვიყენოთო. მართალია, "სტემფორდ ბრიჯის" მკვიდრებმა **რობერტო დი მატეოს** მოსვლის შემდეგ აკრეფილი ტემპი წინა ტურში დაკარგეს, მაგრამ ამას მათი სატურნირო მდგომარეობა მაინცდამაინც არ დაუმძიმებია. "ტოტენჰემმა" მხოლოდ ქულით მოახერხა უპირატესობის გაზრდა. ექსპერტები "დეზებისგან" აშკარად უკეთ თამაშს ელოდნენ. 4-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ "ტოტენჰემის" ბანაკში დაბნეულობაა. გუნდის თავკაცმა აღიარა, ჩემმა გუნდმა ინიციატივა დაკარგაო.

### ზედიზედ მეშვიდე?

"არსენალი" დღეს "ემირიტსზე" "ასტონ ვილას" მასპინძლობს. "მეთოფეები" მიმდინარე სეზონში ასეთ ფორმაში ჯერ არ ყოფილან. ჩემპიონატში მათ ზედიზედ მე-6 თამაში მოიგეს და ახლაც ფავორიტებად მიიჩნევიან. მიუხედავად იმისა, რომელი ადგილი უკავიათ **ალექს მაკლიშის** შეგირდებს (მე-15), ისინი მაინც "კერკეტ კაკლებად" რჩებიან. ბირმინგემელებს წელს სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ერთით მეტი ქულა აქვთ აღებული, ვიდრე საკუთარ "ვილა პარკზე", ასე რომ, **არსენ ვენგერს** შოტლანდიელი ვიზავის წინააღმდეგ გუნდის მაქსიმალურად მობილიზება მართებს. მით უფრო, რომ მეტოქეს "ბოლტონთან" შეხვედრა ცნობილი მიზეზების გამო არ ჩაუტარებია და ლონდონს კარგად დასვენებული სტუმრობს (ბოლოს მათ 10 მარტს ითამაშეს "ფულჰემთან" 1:0). მეორე მხრივ, ამხელა პაუზას შეიძლება უარყოფითი გავლენაც მოეხდინა და გუნდი სათამაშო რიტმიდან ამოეგდო.

### პირშავად დარჩენილი წითლები

უქმეებზე "ლოფტუს როუდზე" "ქუინზ პარკთან" შერცხვენილი "ლივერპული" აუტსაიდერ "უიგანს" მასპინძლობს და მასთან მოგება, სხვა რომ არაფერი იყოს, თავმოყვარეობის საკითხია. ბოლო შეხვედრაში "წითლების" მხრიდან თავი იმ ფეხბურთელებმა გამოიჩინეს, ვისგანაც ეს იშვიათი ხილია – **კუიტმა** ჩემპიონატში მეორე გოლი გაიტანა, **კოატესმა** - პირველი. რამდენად იოლად გამოვლენ "წითლები" შოკიდან, ამას დღევანდელი შეხვედრა გვიჩვენებს. **კენი დალგლიშის** შეგირდები ახლა ალბათ საბოლოოდ დაიჯერებენ, რომ 2:0-ის შემდეგ თამაში არ მთავრდება, მით უფრო ინგლისში.

### ბოლტონი ბრუნდება

ბოლტონში "რიბოკ სტედიუმზე" გასამართი შეხვედრა **ფაბრის მუამბას** თავს დამტყდარი ამბების შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მით უფრო, რომ არენას "მანჩესტერ სიტი" უნდა ეწვიოს. შეხვედრა საინტერესო იქნება სხვა ფაქტორების გამოც. წინა ტურში "ქალაქელებმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ამოუწურავ პოტენციალს ფლობენ. რამდენი ლიდერიც არ უნდა აკლდეს **რობერტო მანჩინის** გუნდს, იტალიელს იმდენივე მაღალი კლასის ფეხბურთელის წამოწევა შეეძლება სათადარიგოთა სკამიდან. საოცარია, როგორ არაფერს იმჩნევს ეს გუნდი მაშინაც კი, როცა ორი ძირითადი ცენტრალური მცველი აკლია. მიმდინარე სეზონში თუ რამეზე შეიძლება ითქვას, "ქალაქელების" სუსტი წერტილიაო, ეს გასვლითი შეხვედრებია. სტუმრად ისინი ყოველ მეორე შეხვედრას ვერ იგებენ. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ მოგების ჯერი დამდგარა, რადგან 28-ე ტურში "ნორვიჩთან" 1:0 დამარცხდნენ. თუმცა ეს ფეხბურთია და ლოგიკას მასთან პრინციპში საერთო არაფერი აქვს.

## პრემიერლიგა. XXIX ტური. შეჯამება

# ნასრის შოუ

### ძლიერი ზურგი ქალაქის სამსახურში

**სერხიო აგუერომ** სეზონში მე-17 გოლი პენალტით გაიტანა, რომელიც **პაბლო საბალეტას** აქტიურობისა და ჩელსელი **მიკაელ ესიენის** ელემენტარული შეცდომის გამო დაინიშნა. არგენტინელი მცველის მიერ ბურთის ჩაწოდების შემდეგ განელმა შუახაზელმა ინსტინქტურად თავდაცვითი პოზა მიიღო და გაშვერილი ხელებით თავდაცვა სცადა. **მაიკ დინმა** ეს მშვენივრად დაინახა და ამიტომაც იყო, რომ მისთვის ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენებია. ამასთან არბიტრს არ ჰქონდა უფლება, თერთმეტმეტრიანი არ დაენიშნა. დინის გადაწყვეტილების გაპროტესტება "ლურჯებს" აზრად არ მოსვლიათ. არც "სიტის" ფეხბურთელებს გამოუთქვამთ პროტესტი, რომ ეპიზოდის ანტიგმირი ბარათს გადაურჩა. მოკლედ, ყველასთვის ყველაფერი ცხადი იყო.

აგუეროს გარდა "სიტის" რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ **დავიდ სილვა**. სწორედ ესპანელი იყო ის გამწევი ძალა, რომელიც თანაგუნდელებს შეტევებისკენ მიერეკებოდა. ძალიან კარგი იყო **სამირ ნასრიც**, რომელმაც სეზონი ისე დაიწყო, რომ **რობერტო მანჩინი** უკეთესს ვერ ინატრებდა, მაგრამ მას მერე თამაშს ძალიან მოუკლო. ერთი ხანობა ისიც კი ინერებოდა, რომ მანჩესტერელებმა მისი შეძენისას ვერ გათვალესო. თუკი ფრანგი ფინიშის სწორს ძველებურად ათამაშდება, უკეთესი აბა რა უნდა იყოს? საქმე მხოლოდ გადამწყვეტი გოლის ავტორობაში არ არის. სამირი მთელი თამაში აქტიური გახლდათ. პრაქტიკულად არ კარგავდა ბურთს და ხშირად ურტყამდა კარში. სულ მის ანგარიშზე 6 ასეთი მცდელობაა, რაც მატჩში საუკეთესო შედეგია.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ გვერდი ავუაროთ **კარლოს ტევესის** დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელი იდეალური ფორმისგან ჯერ კიდევ შორსაა, მან ერთი მოძრაობით დაუმტკიცა მთელ დუნიას, რომ მისი ნიჭი არსად გამქრალა. მანჩინის მთელი სიმდიდრეც სწორედ ეს არის – ტაქტიკური განსწავლულობა და კადრების წარმოუდგენლად ფართო არჩევანი.

**ფულჰემი–სუონსი 0:3**

**საუკეთესო:** გულფი სიგურდსონი (სუონსი)

**უიგანი–ვესტ ბრომვიჩი 1:1**

**საუკეთესო:** შონ მელონი (უიგანი)

**ვულვზი–მანჩ. იუნაიტედი 0:5**

**საუკეთესო:** უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**ნიუკასლი–ნორვიჩი 1:0**

**საუკეთესო:** დემბა ბა (ნიუკასლი)

**ბლექბერნი–სანდერლენდი 2:0**

**საუკეთესო:** იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**მანჩესტერ სიტი–ჩელსი 2:1**

**საუკეთესო:** ხუან მატა (ჩელსი)

**ტოტენჰემი–სტოკ სიტი 1:1**

**საუკეთესო:** ჯერმეინ პენანტი (სტოკ სიტი)

**ევერტონი–არსენალი 0:1**

**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი

**ქუინზ პარკი–ლივერპული 3:2**

**საუკეთესო:** სტივენ ჯერარდი (ლივერპული)

### ტურის ნაკრები

ჯონ რადი (ნორვიჩი) – მარტინ ოლსონი (ბლექბერნი), **ჯონათან ევანსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ტომას ვერმალენი** (არსენალი), **პაბლო საბალეტა** (მანჩესტერ სიტი) – **სამირ ნასრი** (მანჩესტერ სიტი), **გულფი სიგურდსონი** (სუონსი), **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი) – **კემერონ ჯერომი** (სტოკ სიტი), **ხავიერ ერნანდესი** (მანჩესტერ იუნაიტედი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA სპორტს-ის მიხედვით

1. რობინ ვან პერსი (არსენალი) - 682 ქულა
1. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 663
3. ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - 542
4. დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - 523
5. გარეთ ბეილი (ტოტენჰემი) — 488

### ზოგადი სტატისტიკა ლიგისთვის

289 მატჩი
219 მოგება
70 ფრე
151 მშრალად შენახული კარი
808 გოლი
4 220 ზუსტი დარტყმა კარში
3 277 აცილება
521 ფეხბურთელი
68 ეროვნების მოთამაშე
16 ჰეთ თრიკი
912 ყვითელი ბარათი
52 წითელი ბარათი
9 931 658 ფანი ტრიბუნებზე

**ტურის გმირი:** ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი)

ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ **ანტონიო ვალენსია** მოედანს დაუბრუნდა თუ არა, უმალ ტურის გმირად იქცა. "მგლებთან" შეხვედრაში ფეხბურთელმა გოლი და 2 საგოლე გადაცემა მიითვალა. მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს, ზემოთ რატომ გვინერია "ვულვზი"-"იუნაიტედის" შეხვედრაში საუკეთესოდ **უეინ რუნი**. საქმე ის არის, რომ პრემიერლიგის ვებგვერდზე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს გულშემატკივრები ასახელებენ (რასაც ხშირად სუბიექტურობამდე მივყავართ). რუნის პოპულარობამდე კი ეკვადორელს ბევრი უკლია.

**ტურის მწვრთნელი:** მარკ ჰიუზი (ქუინზ პარკი)

რატომ არის **მარკ ჰიუზი** 29-ე ტურის მწვრთნელი, ვფიქრობთ, დიდ ახსნა-განმარტებებს არ საჭიროებს, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოსაზრების დასაბუთებას მაინც შევეცდებით. "ლივერპული" მთელი წლის განმავლობაში რაც უნდა არასტაბილურ გუნდად რჩებოდეს, მასთან უეჭველ 3 ქულას პრემიერლიგის გრანდებიც ვერ გეგმავენ. „წითლებს" ყოველთვის შეუძლიათ აფეთქება და მეტოქის წალეკვა (ცუდია, რომ ეს სულ უფრო იშვიათად ხდება) და ზუსტად ამ დროს ლონდონურმა კლუბმა **პეპე რეინას** კარში 13 წუთში მოახერხა 3 გოლის გატანა. ამ ეტაპზე უელსელი სპეციალისტის მუშაობას წარმატებულს ვერაფრით ვუწოდებთ. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მე-9 შეხვედრაში სულ რაღაც მე-2 თამაში მოიგო, რისი წყალობითაც გასავარდნ ზონას თავი დააღწია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



29-ე ტურის აპოგეა - სიტი ნასრის გოლს ზეიმობს

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტურის წინ

# რამდენს მიიღებს ჰანოვერი?

## ბაიერნი კვლავ დაგეშილია, ოღონდ მიუნხენელები მარსელზეც ფიქრობენ...

### გუშინ

**ვოლფსბურგი–ჰამბურგი 2:1**

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (46), 1:1 ბერგი (47), 2:1 შაფერი (75)

### დღეს

**ბაიერნი–ჰანოვერი 18:30**

**პირველ წრეში:** 1:2
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბრენო, ვან ბუიტენი, შვაინშტაიგერი - ანდრეასენი

**ფრაიბურგი–კაიზერსლაუტ. 18:30**

**პირველ წრეში:** 0:1
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბართი, ჰიონი, ფლუმი, პუცილა, ს. ბრანდშტეტერი – შიმუნეკი, იორგენსენი, კუემაა, ვაგნერი

**ბორუსია (მ)–ჰოფენჰაიმი 18:30**

**პირველ წრეში:** 0:1
**დისკვალიფიკაცია:** ნორდტვეიტი (ბორუსია /მ/)
**ტრავმა:** იაისლე (ჰოფენჰაიმი)

**ვერდერი–აუგსბურგი 18:30**

**პირველ წრეში:** 1:1
**დისკვალიფიკაცია:** პისარო (ვერდერი)
**ტრავმა:** ვიზე, ნალდო, პრიოდლი, ბარგფრედე, ბოროვსკი, ჰანტი, არნაუტოვიჩი – დე იონგი, ბა, გოგია

**მაინცი–ჰერთა 18:30**

**პირველ წრეში:** 0:0
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბელი, პოსპეხი, სვენსონი, რისსე – ფრანცი, მიატოვიჩი, ლუსტენბერგერი, რონი

**შალკე–ლევერკუზენი 21:30**

**პირველ წრეში:** 1:0
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფერმანი, უნერშტალი, პიოვედესი, მეტცელდერი – ადლერი, ჩორლუკა, ბალაკი, ლ. ბენდერი, სემი

### ხვალ

**შტუტგარტი–ნიურნბერგი 18:30**

**პირველ წრეში:** 2:2
**დისკვალიფიკაცია:** იბიშევიჩი (შტუტგარტი)
**ტრავმა:** ბულარუზი, აუდელი, ოკაზაკი (ყველა შტუტგარტი)

**კიოლნი–ბორუსია (დ) 20:30**

**პირველ წრეში:** 0:5
**დისკვალიფიკაცია:** იაიალო (კიოლნი)
**ტრავმა:** ბუხტმანი, ჩიჰი, უთი – კოხი, გიოტცე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 26 | 18 | 5 | 3 | 53:16 | 59 |
| 2. ბაიერნი | 26 | 17 | 3 | 6 | 64:17 | 54 |
| 3. ბორუსია (მ) | 26 | 15 | 6 | 5 | 39:16 | 51 |
| 4. შალკე | 26 | 16 | 2 | 8 | 58:34 | 50 |
| 5. ლევერკუზენი | 26 | 11 | 7 | 8 | 39:34 | 40 |
| 6. ვერდერი | 26 | 11 | 6 | 9 | 40:39 | 39 |
| 7. ჰანოვერი | 26 | 9 | 11 | 6 | 34:36 | 38 |
| 8. ვოლფსბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 36:48 | 37 |
| 9. შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43:34 | 36 |
| 10. ნიურნბერგი | 26 | 9 | 4 | 13 | 25:37 | 31 |
| 11. მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 38:41 | 30 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29:37 | 30 |
| 13. კიოლნი | 26 | 8 | 4 | 14 | 33:50 | 28 |
| 14. ჰამბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 31:50 | 27 |
| 15. აუგსბურგი | 26 | 5 | 11 | 10 | 27:40 | 26 |
| 16. ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 33:53 | 25 |
| 17. ჰერთა | 26 | 5 | 8 | 13 | 26:47 | 23 |
| 18. კაიზერსლაუტ. | 26 | 3 | 11 | 12 | 17:36 | 20 |

**ბომბარდირები:** 22 – გომესი (ბაიერნი); 20 – ჰუნტელაარი (შალკე); 16 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი), როისი (ბორუსია /მ/); 12 – რაული (შალკე).

ამ კვირაში გერმანიის თასის ფინალისტები გამოვლინდნენ: 12 მაისს ბერლინში ერთმანეთის წინააღმდეგ დღესდღეობით საუკეთესო გერმანული კლუბები, დორტმუნდის „ბორუსია" და მიუნხენის „ბაიერნი" წარდგებიან. მანამდე კი ორივე გრანდი ბუნდესლიგაზე იქნება კონცენტრირებული: „დორტმუნდსაც" და „ბაიერნსაც" დუბლის შესრულების შანსი აქვს – რეკორდმაისტერი სულაც ჰეთ-თრიკზე ოცნებობს. მიუნხენელები სატურნირო ცხრილში დორტმუნდელებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან და დღეს, „ჰანოვერთან" საშინაო მატჩში გამარჯვება და ჩამორჩენის ორ ქულამდე შემცირება სურთ. „ბორუსია" კი ხვალ თამაშობს (კიოლნში) და თუ „ბაიერნმა" „ჰანოვერი" დაამარცხა, ცხადია, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი ნნეხის ქვეშ მოექცევა. დღესვე საინტერესო მატჩებია მიონხენგლადბახსა (ჰოფენჰაიმი ჩადის) და გელზენკირხენშიც („შალკე" „ლევერკუზენს" მასპინძლობს).



მიუნხენელები ბოლო დროს მაგრად ერთობიან. რა იქნება ჰანოვერთან?

### ბაიერნი ჰანოვერსაც გადაურბენს?

„ბაიერნი" ბრწყინვალე ფორმაშია და ლოგიკურად „ჰანოვერსაც" შავი დღე უნდა დაადგეს. ბოლო ორ ტურში მიუნხენელებმა „ჰოფენჰაიმს" (7:1) და „ჰერთას" (6:0) იოლად გადაურბინეს. მართალია, „ჰანოვერი" ამ ორივე გუნდზე ძლიერია, მაგრამ ბავარიელებს „წითლების" დამარცხება მინიმუმ არ უნდა გაუჭირდეთ. თანაც, „ჰანოვერი" სტუმრად ცუდად თამაშობს ხოლმე – **მირკო სლომკას** გუნდს მიმდინარე სეზონის 13 გასვლითი შეხვედრიდან მხოლოდ ორი აქვს მოგებული. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბაიერნმა" გერმანიის თასის ნახევარფინალში „გლადბახთან" 120-წუთიანი მძიმე ბრძოლა გადაიტანა და ფინალში პენალტების სერიით (4:2) გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ **იუპ ჰაინკესის** შეგირდები გადაღლილები არიან. თანაც, ოთხშაბათს „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ელის მარსელში. თუმცა ამ მხრივ იდენტურ მდგომარეობაშია „ჰანოვერიც": სლომკას ბიჭები ხუთშაბათს მადრიდში ჩადიან, სადაც ევროპალიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ელით „ატლეტიკოსთან". აქვე იმასაც გაგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ჰანოვერმა" „ბაიერნი" 2:1 დაამარცხა.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" წინა ტურში ჩემპიონთა ლიგისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა, დაამარცხა რა უშუალო კონკურენტი „ლევერკუზენი" 2:1. ამასთან, „გლადბახს" საკუთარ „ბორუსია პარკზე" 16-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, რაც ამ მომენტისთვის საუკეთესო შედეგია. შუა კვირაში **ლუსიენ ფავრის** ბიჭები გერმანიის თასის ნახევარფინალში „ბაიერნთან" დამარცხდნენ და დღეს „ჰოფენჰაიმთან" ექნებათ საქმე. ამ უკანასკნელს წაგების უფლება არ აქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში **მარკუს ბაბელის** გუნდი გასავარდნ ზონას მიუახლოვდება.

### ბალაკოვის დებიუტი უშუალო კონკურენტთან

გადარჩენისთვის ბრძოლის თვალსაზრისით უმძაფრესი დუელი გაიმართება ბრაისგაუში, სადაც „ფრაიბურგი" ბოლოადგილოსან „კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლებს. თუკი „ფრაიმ" წინა ტურში ჰამბურგში მოიგო (3:1) და გასავარდნი ზონიდან სარელეგაციო მე-16 ადგილზე აინაცვლა, „კაიზერსლაუტერნში" „შალკესთან" განადგურების (1:4) შემდეგ, სერიოზული ცვლილება მოხდა: პფალცური კლუბის ბოსებმა მთავარი მწვრთნელი **მარკო კურცი** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ბულგარელი სპეციალისტი **კრასიმირ ბალაკოვი** დანიშნეს. სწორედ ამიტომ, „ლაუტერნის" ფანებს იმედი აქვთ, რომ ბალაკოვის სადებიუტო მატჩში 1. FKK 16-მატჩიან მოუგებელ სერიას შეწყვეტს. საინტერესო ის არის, რომ ამ სეზონში „კაიზერსლაუტერნმა" ბოლო გამარჯვება სწორედ „ფრაიბურგთან" (პირველ წრეში, 1:0) იზეიმა.

„ვერდერს" არასახარბიელო დროება უდგას. დორტმუნდში განცდილი მარცხის შემდეგ ბრემენელები კონკურენტების სუნთქვას გრძნობენ – „ჰანოვერი" და „შტუტგარტი" „მუსიკოსებს" ძალიან მიუახლოვდნენ და ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაში დაწნეხეს. ამასთან, **თომას შაafის** გუნდს სერიოზულ საკადრო პრობლემებთან უწევს გამკლავება. ასეთ დროს, „ვერდერისთვის" ერთი შეხედვით მისწრებაა „აუგსბურგისთვის" მასპინძლობა, რადგან ბუნდესლიგის დებიუტანტს სტუმრად „ვოლფსბურგთან" ერთად ყველაზე ცოტა, მხოლოდ 8 ქულა აქვს აღებული. თუმცა ბრემენელებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ „აუგსბურგი" გადარჩენისთვის იბრძვის და ბოლო დროს ძალიან კარგად გამოიყურება – **იოს ლუჰუკაის** ბიჭებს ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და „მაინცთან" გამარჯვების (2:1) შემდეგ გასავარდნი ზონიდან ამოვიდნენ.

### ჰერთას მაინცთან კობიაშვილი უბრუნდება

თავის მხრივ, „აუგსბურგთან" წაგების შემდეგ გამარჯვებას გეგმავს „მაინციც" და კარნავალელთა მეტოქე ამჯერად ბერლინის „ჰერთაა". მოგების შემთხვევაში მაინცელები შვებით ამოისუნთქავენ. ბერლინელებისთვის კი ახლა ყველა მატჩს ფინალის სტატუსი აქვს, რადგან „ჰერთა" ბოლოსწინა ადგილზეა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს მატჩი ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა (**თომას ტუხელი** 38 წლისაა) და ყველაზე ხნიერი (**ოტო რეჰაგელი** 73) მწვრთნელების დაპირისპირებაა. დედაქალაქელთა ქართველმა კაპიტანმა **ლევან კობიაშვილმა** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითად შემადგენლობაში ბრუნდება.

### ლევერკუზენის უკანასკნელი შანსი ჩემპიონთა ლიგისთვის

ტურის ცენტრალური მატჩი დღეს საღამოს, გელზენკირხენში გაიმართება, სადაც მეოთხეადგილოსანი „შალკე" მეხუთეადგილოსან „ლევერკუზენს" მიიღებს. რაკი „ბაიერი" გელზენკირხენულ კლუბს ათი ქულით ჩამორჩება, თამამად უნდა ვთქვათ, რომ ეს მატჩი „ფარმაცევტებისთვის" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უკანასკნელი შანსია. მეტიც: „შალკე" სულაც მესამე ადგილს უმიზნებს, რაც **ლევან ყენიას** გუნდისთვის პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტია იქნებოდა, „ლევერკუზენს" კი თავისი მეხუთე ადგილიც დასაცავი აქვს. ასე რომ, **რობინ დუტის** ბიჭებს სიფრთხილე მართებთ – ემანდ, ჩემპიონთა ლიგაზე [illegible] ევროპალიგის საგზურის მოპოვებაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენონ.

### ლიდერი ხვალ კიოლნში ჩადის

ხვალ პირველი მატჩი ევროპალიგის საგზურისთვის მებრძოლი „შტუტგარტისა" და ამ ეტაპზე უმოტივაციო „ნიურნბერგის" დაპირისპირებაა. შვაბები ამ შეხვედრაში მთავარ გოლეადორ **ვედად იბიშევიჩს** მოისაკლისებენ, „ნიურნბერგში" კი დაცვის ბურჯ **ფილიპ ვოლშაიდის** თამაშია კითხვის ნიშნის ქვეშ.

საღამოს კი ბუნდესლიგის ლიდერს ვნახავთ: დორტმუნდის „ბორუსია" კიოლნში ჩადის. აღსანიშნავია, რომ შუა კვირაში, გერმანიის თასზე „ბორუსიამაც" 120-წუთიანი დამღლელი ბრძოლა გადაიტანა და მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „ფიურტი" სწორედ 120-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ BVB-ს გასვლით მატჩებში ყველაზე მეტი, 25 ქულა აქვს მოპოვებული და სტუმრად ყველაზე ცოტა, მხოლოდ ორი მატჩი წააგო. „კიოლნს" ამ თამაშის წაგება გადარჩენისთვის ბრძოლაში უკან დახევს – „თხები" სარელეგაციო მე-16 ადგილზე მყოფ „ფრაიბურგს" მხოლოდ 3 ქულით უსწრებენ. ამასთან, „დორტმუნდი" „კიოლნისთვის" ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მეტოქეა: პირველ წრეში „ბორუსიამ" სტალე სოლბაკენის გუნდი 5:0 გაანადგურა და საერთოდ, კიოლნელებს დორტმუნდელებთან ათი თამაშია, არ მოუგიათ (1 ფრე, 9 მარცხი).

● დორტმუნდის ბორუსია

# ბარიოსი ჩინეთში მიდის!

## ლუკასისთვის მთავარი ფულია, ჩინელები კი წელიწადში 6.7 მილიონს გადაუხდიან

**ლუკას ბარიოსი** ისეთი თავდამსხმელია, თუ დორტმუნდის „ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების იმედი დაკარგა, შეეძლო, არჩევანი რომელიმე ევროპულ კლუბზე შეეჩერებინა – სანაძლეოს ჩამოვალთ, რომ თუ მთლად სუპერგრანდები არა, მისით საშუალოზე მაღალი დონის ევროპული კლუბები ნაღდად დაინტერესდებოდნენ – მაგრამ როგორც ირკვევა, 27 წლის გაპარაგვაელებულმა არგენტინელმა ფორვარდმა არჩევანი დიდი ხელფასის და ჩინეთში თამაშის სასარგებლოდ გააკეთა.

„ბილდის" ინფორმაციით, ბარიოსმა წინასწარი კონტრაქტი გააფორმა ჩინურ კლუბ „გვანჯუსთან", სადაც ზაფხულში გადავა. ლუკასი ამ კლუბთან ოთხწლიან ხელშეკრულებას აფორმებს და მისი ხელფასი წელიწადში 6.7 მილიონი ევრო იქნება. აღსანიშნავია, რომ დორტმუნდში ის მხოლოდ 2.5 მილიონს იღებს და გერმანიის ჩემპიონთან ხელშეკრულება 2015 წლამდე აქვს გაფორმებული. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბორუსია" ჩინური გრანდისგან ბარიოსის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს მიიღებს.

წარმოშობით არგენტინელ ლუკასს, რომელიც ახლა პარაგვაის ნაკრების ღირსებას იცავს, ბუნდესლიგის 80 მატჩში 36 გოლი აქვს გატანილი, ამ სეზონში კი მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, რადგან „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** სასტარტო შემადგენლობაში აღარ ათამაშებს. თავად ფეხბურთელი ჯერჯერობით არაფერს ადასტურებს და „ბილდთან" საუბრისას ამბობს, სეზონის ბოლომდე მხოლოდ „ბორუსიაზე" ვარ კონცენტრირებული, მერე კი ვნახოთო.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ისიც გაარკვიეს, რომ ბარიოსს ჩინეთში გადასვლა თანამემამულე **დარიო კონკამ** ურჩია. ეს უკანასკნელი „გვანჯუში" 2011 წელს ბრაზილიური „ფლუმინენსედან" გადავიდა და ჩინურ გრანდში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია (8 მილიონი ევრო წელიწადში). საიდან აქვს ჩინურ კლუბს ამდენი ფული? „გვანჯუს" მილიარდერი ბიზნესმენი, 53 წლის **ჩუ ჯიაინი** ფლობს, რომელმაც ცოტა ხნის წინ განაცხადა, წელს კლუბს 75 მილიონ ევროს დავახარჯავო. ამიტომაცაა, რომ ამ გუნდს უკვე აზიურ „ჩელსის" უწოდებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცამ**



თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლუკას ბარიოსი ზაფხულიდან კარიერას ჩინეთში გააგრძელებს

## ლა ლიგა. XXVIII ტურის შეჯამება



ლიონელ მესი ბარსას პირველმგოლეა

# მესის ოქროს ტური

## რეალამდე 6 ქულა და კამპ ნოუს მატჩია

დღეს, იმის გამო, რომ მომდევნო ტური კარს მოგვადგა, ლა ლიგის ტურის მიმოხილვა შემჭიდროვებული იქნება, შეჯამებას რამდენიმე ტრადიციული რუბრიკა აკლია. რიგით 28-ე ტურმა „ბარსელონას" ჩამორჩენა „რეალთან" 6 ქულამდე დაიყვანა. თუკი წინა ტურში ჟოზე მოურინიომ და კომპანიამ ფეხის დაცდენა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოჰკითხოს, ამჯერად, მსაჯმაც „ივაუკაცა", თუმცა „ვილიარეალისა" და „რეალის" მატჩის არბიტრ **პარადას რომეროს** უკვე მივუძღვენით სტატია და თავს აღარ შეგაწყენთ. ამ ტურმა კიდევ ერთი რამ დაგვანახვა, ოდესღაც მყარი მესამე ადგილი „ვალენსიას" ძალიან შეერყა, ეს კი მხოლოდ „ლამურების" ბრალია და მეტი არავისი...

### ბარსა-რეალობა

„გრანადამ" გვანახა, რომ შეიძლება „ბარსას" მისსავე მოედანზე ფეხბურთი ეთამაშო და შინ თავაწეული (ოღონდ, მოგებული ალბათ მაინც ვერა) წახვიდე. 8-გოლიანი თრილერი ბოლოს **ლეო მესის** და კომპანიას დარჩა - 5:3. „ბარსას" ბოლო გოლი, რომელიც ლეომ გაიტანა, გუნდისთვის 150-ე იყო სეზონში. არადა, სულ ახლახან იყო, როცა **სესკ ფაბრეგასმა** (9 იანვარს „ესპანიოლთან" დაპირისპირებაში) სეზონის მე-100 გოლი გაიტანა. გასაკვირი არცაა, რომ „ბარსელონას" შარშანდელი შედეგის გამეორებამდე მხოლოდ 2 გოლიღა აშორებს, სეზონის ბოლომდე კი ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი.

„ელ მადრიგალზე" „რეალმა" ქულები დაკარგა, რაც მსაჯობის გარდა „ვილიარეალის" ვეტერანი ნახევარმცველის, **მარკოს სენას** დამსახურებაცაა - სენამ საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა და შემდეგ 9-კაციანმა „რეალმა" ველარ შეძლო ერთ-ერთი აუტსაიდერის კარის დალაშქვრა. აღსანიშნავია, **მესუთ იოზილის** მორიგი, მე-14 საგოლე პასი ამ სეზონში. ამ მაჩვენებლით გერმანელმა ნახევარმცველმა არგენტინელ თანაგუნდელ **ანხელ დი მარიას** გაუსწრო და ლა ლიგაში პირველია. შარშან იოზილის ანგარიშზე 17 საგოლე პასი იყო, ამ ტემპით ის საკუთარსავე განრიგს უსწრებს. იოზილმა განსაკუთრებით 2012 წელს გამოიჩინა თავი - 14-დან 9 საგოლე პასი წლეულს მიითვალა.

### მესი VS რონი

ლიონელ მესიმ „გრანადასთან" 5:3 დასრულებულ მატჩში კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, 5-ჯერ ზუსტად და ჰეთ თრიკი შეასრულა. 3-ჯერ მის წინააღმდეგ იუხეშეს, ხოლო 2-ჯერ თავად დაჯარიმდა, მის ანგარიშზე 1 საგოლე პასიცაა.

კრიშტიანო რონალდომ „ვილიარეალთან" 1:1 დასრულებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა: მან კარისკენ 10-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად და 1 გოლი გაიტანა. რონალდოს წინააღმდეგ ორჯერ დაჯარიმდნენ, თავად - ერთხელ.

**დასკვნა**: რონალდო კარგად თამაშობს, მაგრამ მესი უკეთ - ჩვენ „ტურნირში" ეს რაუნდიც არგენტინელს დარჩა და ახლა ის 18:15 დაწინაურდა.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

**ესპანური goal.com. 4-3-3**

მიგელ **მოია** (ხეტაფე) - **დანი ალვეში** (ბარსელონა), ლუის **პერეა** (ატლეტიკო), ჟოზე **ნუნიეში** (მალიორკა), გილერმე **სიკეირა** (გრანადა) - მარკოს **სენა** (ვილიარეალი), ანხელ **ლაფიტა** (სარაგოსა), ხოსე **ბარკერო** (ლევანტე) - ლიონელ **მესი** (ბარსელონა), რადამელ **ფალკაო** (ატლეტიკო), ხოსე **რონდონი** (მალაგა).

მწვრთნელი: **მიგელ ანხელ ლოტინა** (ვილიარეალი)

მე-12 ფეხბურთელი: **ისააკ კვენკა** (ბარსელონა)

**ტურის გმირი**

**ლიონელ მესი** (ბარსელონა)

ჰეთ თრიკი და საგოლე პასი, მგონი, საკმარისია ფეხბურთელის ტურის გმირად დასასახელებლად. თან, თუ ამ ფეხბურთელმა ტურში ისეთი გუნდის ისტორიაში ჩაწერა შეძლო, როგორიც „ბარსელონაა", თანაც 24 წლის ასაკში... უდავოა, ტურის რჩეული ის უნდა იყოს.

ლიონელ მესის ანგარიშზე უკვე 234 გოლია „ბარსელონას" მაისურით. გავიხსენოთ, სულ პირველი გოლი: 2005 წლის 1 მაისს მესიმ **რონალდინიოს** პასით გაიტანა, მაშინ ლეოს მაისურზე 30 ნომერი ეწერა.

**ტურის სტატისტიკა**

36 გოლი ტურში (3,6 მატჩში). 3 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 4 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 73 ყვითელი და 7 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა)

დუბლი: **გილერმე სეკეირა** (გრანადა), **მანუელ დელ მორალი** (სევილია), **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო), **ანტონიო აპონიო** (სარაგოსა), **ხოსე რონდონი** (მალაგა).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაიმე სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 62 700 - „კამპ ნოუ"

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 12 500 - „ელ მოლინონი"

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 28 - ვალენსია

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 10 - ვალენსია

ყველაზე მეტი ჯარიმა: 23 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი კუთხური: 9 - ვალენსია, სპორტინგი

ყველაზე მეტი თამაშგარე: 7 - ვალენსია

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 75% - ბარსელონა

**ოსასუნა-ხეტაფე 0:0**

**საუკეთესო:** მიგელ მოია (ხეტაფე)

**ბარსელონა-გრანადა 5:3**

**საუკეთესო:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

**ატლეტიკო-ბილბაო 2:1**

**საუკეთესო:** რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**სპორტინგი-მალიორკა 2:3**

**საუკეთესო:** ფორმოზე მენდი (სპორტინგი)

**სოსიედადი-ლევანტე 1:3**

**საუკეთესო:** ხოსე ბარკერო (ლევანტე)

**ვალენსია-სარაგოსა 1:2**

**საუკეთესო:** ანხელ ლაფიტა (სარაგოსა)

**ვილიარეალი-რეალი 1:1**

**საუკეთესო:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**რასინგი-სევილია 0:3**

**საუკეთესო:** მანუელ დელ მორალი (სევილია)

**ბეტისი-ესპანიოლი 1:1**

**საუკეთესო:** ფილიპე კოუტინიო (ესპანიოლი)

**მალაგა-ვალეკანო 4:2**

**საუკეთესო:** ხოსე რონდონი (მალაგა)

**ბომბარდირები**: 34 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 33 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 17 - გონსალო იგუაინი (რეალი); 15 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 14 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

**ასისტენტები**: 14 - მესუთ იოზილი (რეალი); 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 10 - ლიონელ მესი (ბარსელონა), დანი ალვეში (ბარსელონა); 8 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 7 - კარლოს ველა (რეალ სოსიედადი), ხესუს ნავასი (სევილია), რაულ გარსია (ოსასუნა).

**ზამორას ტროფეი**: 0,79 (გოლი/მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,89 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,12 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,14 - ხავი ვარასი (სევილია); 1,23 - ვილი კაბალიერო (მალაგა), მიგელ ანხელ მოია (ხეტაფე).

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXIX ტურის წინ

**დღეს**

**მალიორკა-ბარსელონა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბიგასი - დანი ალვეში, მასკერანო

**ტრავმა:** ოგუნჯიმი, ტეხერა - ვილია, ფონტასი, აბიდალი, აფელაი, ადრიანო

**რეალი-სოსიედადი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** იოზილი, პეპე - ესტრადა, ელუსტონდო

**ტრავმა:** კარვალიო, დი მარია, ალბიოლი - მარტინესი, ბერგარა

**ხეტაფე-ვალენსია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** კოსტა (ვალ)

**ტრავმა:** პედრო ლეონი, ლოპო, უსტარი, ბარადა, ლოპესი - ბანეგა, კანალესი, ალკასერი, კოშტა, მიგელი

**ხვალ**

**სარაგოსა-ატლეტიკო 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** რუბენ მიკაელი, პოშტიგა (სარ)

**ტრავმა:** და სილვა, ლაკრუსი - ტიაგო, სილვიო, ლოპესი, დიეგო

**ესპანიოლი-მალაგა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვერდიუ (ესპ)

**ტრავმა:** ალვარესი, მატიონი, სანჩესი, ს. გარსია - ბაპტიშტა, როსარიო, ხუანმი, ტულალანი

**ლევანტე-ოსასუნა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვალდო (ლევ)

**ტრავმა:** ხუანლუ - სოლა, ლოლო, იბრაჰიმა, მასუდი, სერხიო

**ბილბაო-სპორტინგი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ირაოლა (ბილბ)

**ტრავმა:** ოსიო, მარტინესი, ლორენტე, კასტილიო, გურპეგი - სუარესი, გრეგორი

**ბეტისი-რასინგი 21:45**

**დისკვალიფიკაცია:** ფრანსისი, გულონი (რას)

**ტრავმა:** უსტარიცი, მარიო, სერხიო - აკოსტა, ტონიო

**ვალეკანო-ვილიარეალი 21:45**

**დისკვალიფიკაცია:** მარჩენა (ვილ)

**ტრავმა:** მიჩელი, ლაბაკა - კატალა, ვალერო, როსი

**ზეგ**

**გრანადა-სევილია 23:00**

**ტრავმა:** რობერტო, დიახატე, რომერო, რიკო, იებდა - სპაჩიჩი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 28 | 23 | 3 | 2 | 90-25 | 72 |
| 2. ბარსელონა | 28 | 20 | 6 | 2 | 82-22 | 66 |
| 3. ვალენსია | 28 | 13 | 8 | 7 | 44-33 | 47 |
| 4. ლევანტე | 28 | 13 | 5 | 10 | 41-38 | 44 |
| 5. მალაგა | 28 | 13 | 5 | 10 | 42-40 | 44 |
| 6. ესპანიოლი | 28 | 11 | 7 | 10 | 36-37 | 40 |
| 7. ოსასუნა | 28 | 9 | 13 | 6 | 32-41 | 40 |
| 8. ატლეტიკო | 28 | 10 | 9 | 9 | 39-34 | 39 |
| 9. ბილბაო | 28 | 9 | 10 | 9 | 43-39 | 37 |
| 10. ვალეკანო | 28 | 11 | 4 | 13 | 42-47 | 37 |
| 11. მალიორკა | 28 | 9 | 9 | 10 | 31-35 | 36 |
| 12. სევილია | 28 | 9 | 9 | 10 | 30-31 | 36 |
| 13. ხეტაფე | 28 | 9 | 9 | 10 | 28-35 | 36 |
| 14. სოსიედადი | 28 | 9 | 6 | 13 | 31-40 | 33 |
| 15. ბეტისი | 28 | 9 | 4 | 15 | 32-42 | 31 |
| 16. გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-43 | 31 |
| 17. ვილიარეალი | 28 | 6 | 10 | 12 | 28-42 | 28 |
| 18. რასინგი | 28 | 4 | 12 | 12 | 22-43 | 24 |
| 19. სპორტინგი | 28 | 6 | 6 | 16 | 27-53 | 24 |
| 20. სარაგოსა | 28 | 5 | 7 | 16 | 24-51 | 22 |

# აუტსაიდერი ჩემპიონი

## გვარდიოლას დაცვაში გაუჭირდება



ეს არის რეალის მომავლის კურორტი ხელოვნურ კუნძულზე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, რომელიც 2015 წლის იანვარში გაიხსნება და კლუბს 1 მილიარდი დოლარი დაუჯდება

ლა ლიგის დასრულებამდე 10 ტურით ადრე ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნდა - მთავარ კითხვას, ვინ გახდება ჩემპიონი, ერთმნიშვნელოვნად ველარ პასუხობენ - „რეალი" 6 ქულით წინ არის, მაგრამ ჩემპიონის სასარგებლოდ „კამპ ნოუზე" გასამართავი კლასიკო (აპრილში) და „ბარსას" შედარებით იოლი კალენდარი მეტყველებს.

თუმცა **ხოსეპ გვარდიოლა** მაინც მიიჩნევს, რომ მისი გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში აუტსაიდერია: *„რა თქმა უნდა, 6 ქულა 10 ქულა არ არის, თუმცა „რეალის" უპირატესობა მაინც შესამჩნევია. მართალია, მათ ზედიზედ ორი ფრე ითამაშეს, მაგრამ ასე ხომ არ გააგრძელებენ? როგორც წესი, „რეალი" ლა ლიგაში იგებს ხოლმე მატჩებს. ამიტომაც ვთქვი ადრე, რომ ჩემპიონატი წაგებული იყო".*

სხვათა შორის, გვარდიოლამ თავი აირიდა „ვილიარეალისა" და „რეალის" მატჩის მსაჯობის შეფასებისგან - „რეალის" ბევრი მატჩი ვნახე, მაგრამ ეს არა, მხოლოდ ანგარიში შევიტყვეო.

### ამას სიკვდილი, იმას შეწყალება

ამასობაში გაიმართა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, სადაც „რეალის" ფეხბურთელებს და მწვრთნელებს სასჯელი განუსაზღვრეს, ზოგს დაუმძიმეს, ზოგიც შეიწყალეს. **სერხიო რამოსს** წითელი ბარათი გაუუქმდა და მას დღეს „რეალ სოსიედადთან" თამაშის უფლება მიეცა. სამაგიეროდ, 2-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს **პეპე** და **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტი **რუი ფარია**. თავად მოურინიოს, ისევე, როგორც **მესუთ იოზილს** - ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. „რეალ სოსიედადთან" მატჩს დისკვალიფიკაციის გამო **ლასანა დიარაც** გამოტოვებს, მას 5 ყვითელი ბარათი დაუგროვდა.

სავარაუდოდ, **ფაბიო კოენტრაოსაც** მიეცემა თამაშის საშუალება, რომელიც „რეალის" ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ვიხილეთ „ვილიარეალთან" მატჩში. ესპანური მედია კი ამტკიცებდა, რომ ის მოურინიომ დაბადების დღის აღნიშვნისას დისციპლინის დარღვევისთვის („მარკამ" ფეხბურთელის ფოტო გამოაქვეყნა, სადაც კოენტრაო სიგარეტს ეწევა) დასაჯა.

ბასკებს არ ეყოლებათ **გორკა ელუსტონდო**, რომელმაც „ლევანტესთან" მატჩში წითელი ბარათი მიიღო, ყვითლები დაუგროვდა და „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვერ ვიხილავთ **დანი ესტრადას**. **კარლოს მარტინესი** და **მარკელ ბერგარა** ტრავმირებულები არიან. ბასკებს ძალიან გაუჭირდებათ სტუმრად 4-მატჩიანი წაგებათა სერიის შეწყვეტა.

### დიდი ხვრელი დაცვაში

„ბარსელონა" ბალეარის კუნძულებზე მიდის, დღეს „ბლაუგრანა" „მალიორკას" გამოცდის. მასპინძლებს დისკვალიფიკაციამოხდილი ტრიო უბრუნდება: **ივან რამისი, მიშელ პერეირა, ჩორი კასტრო.** სამივე „მალიორკას" ლიდერია. ახლა მხოლოდ ერთი ფეხბურთელია დისკვალიფიცირებული - **პედრო ბიგასი.**

„ბარსელონამ" 1-2 კვირით **ადრიანო** დაკარგა, რის გამოც გუნდს დაცვის მარცხენა ფლანგზე სერიოზული საკადრო პრობლემა შეექმნა. დაცვაში მართლაც რთულად აქვს საქმე პეპს - **დანი ალვეში** და **ხავიერ მასკერანო** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებენ თამაშს. ჯანმრთელი განაპირა მცველი ჩემპიონს, უბრალოდ, არ ჰყავს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. XXIX ტურის წინ

### დღეს

**მილანი-რომა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ანტონინი (მილანი).
**ტრავმა:** პატო, ინძაგი, შტრასერი, კასანო, აბატე, ფლამინი - ბურდისო, ჟუანი.

**პალერმო-უდინეზე 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბერტოლო, მუნიოსი - ფლორო ფლორესი, ფაბრინი, დომიცი.
**ტრავმა:** ბაჩინოვიჩი, სილვესტრი, მილიაჩო - ბენეტია, ბადუ, ისლა.

### ხვალ

**ატალანტა-ბოლონია 15.30**

**ტრავმა:** ბრიგი, მარილუნგო, ბელინი, კაპელი, დენისი - რამირესი, გარიჩი, კაზარინი.

**ჩეზენა-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** როსი, კოლუჩი - ძაკარდო.
**ტრავმა:** პაროლო, გუანა, მარტინესი, იაკვინტა - მარიგა.

**კიევო-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუჩანო, რიგონი - ტერცი.
**ტრავმა:** სარდო, მორერო, გულანი - ბოლცონი, დაგოსტინო, კალაიო.

**ჯენოა-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** იანკოვიჩი - ჩერჩი.
**ტრავმა:** კუჩკა, ანტონელი, ბოვო, გრანკვისტი, კონსტანტი - კროლდრუპი, ფელიპე.

**ლაციო-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დიასი, მათუზალემი - კანინი.
**ტრავმა:** გარიდო, ლულიჩი, კლოზე - ელ ქაბირი, დესენა, სამპაიო, ერიკსონი.

**ნაპოლი-კატანია 18.00**

**ტრავმა:** დონადელი, მაჯო - ბიაჯანტი, პოჭენცა, მოტა.

**ნოვარა-ლეჩე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ოდო (ლეჩე).
**ტრავმა:** ლუდი, მარიანინი, და სილვა - კაროციერი, ოფერე, ჟულიო სერჟიო.

**იუვენტუსი-ინტერი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლიხტშტაინერი (იუვენტუსი).
**ტრავმა:** ბარცალი - გუარინი, სნეიდერი, ალვარესი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 57-22 | 60 |
| 2. იუვენტუსი | 28 | 14 | 14 | 0 | 44-17 | 56 |
| 3. ლაციო | 28 | 14 | 6 | 8 | 42-34 | 48 |
| 4. ნაპოლი | 28 | 12 | 11 | 5 | 52-30 | 47 |
| 5. უდინეზე | 28 | 13 | 8 | 7 | 39-26 | 47 |
| 6. რომა | 28 | 13 | 5 | 10 | 41-33 | 44 |
| 7. ინტერი | 28 | 12 | 5 | 11 | 38-36 | 41 |
| 8. კატანია | 28 | 10 | 11 | 7 | 36-35 | 41 |
| 9. ბოლონია | 28 | 9 | 9 | 10 | 31-33 | 36 |
| 10. პალერმო | 28 | 10 | 5 | 13 | 40-45 | 35 |
| 11. კიევო | 28 | 9 | 8 | 11 | 24-35 | 35 |
| 12. ატალანტა | 28 | 9 | 13 | 6 | 31-29 | 34 |
| 13. კალიარი | 28 | 8 | 10 | 10 | 29-35 | 34 |
| 14. ჯენოა | 28 | 9 | 6 | 13 | 35-49 | 33 |
| 15. სიენა | 28 | 8 | 8 | 12 | 32-30 | 32 |
| 16. ფიორენტინა | 28 | 8 | 8 | 12 | 27-33 | 32 |
| 17. პარმა | 28 | 7 | 10 | 11 | 33-44 | 31 |
| 18. ლეჩე | 28 | 6 | 8 | 14 | 31-45 | 26 |
| 19. ნოვარა | 28 | 5 | 8 | 15 | 24-46 | 23 |
| 20. ჩეზენა | 28 | 4 | 5 | 19 | 16-45 | 17 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 20 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 – დი ნატალე (უდინეზე); 18 - კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 – პალასიო (ჯენოა), მილიტო (ინტერი).



ტურინში ერთმანეთს [illegible]

# რა დროს ცხრილია...

## წინ დიდი იტალიური დერბი გველის

ამ უქმეებზე დიდი იტალიური დერბი შედგება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფეხბურთო იტალიას მოსაწყენად არ ეცლება. „იუვენტუსი“ „ინტერის“ წინააღმდეგ, ეს ყოველთვის საინტერესოა და გამონაკლისი არც კვირას დაგეგმილი პაექრობა იქნება. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც „მილანის“ გულშემატკივრები „ინტერს“ დაუჭერენ მხარს, რადგან „ბიანკონერი“ სკუდეტოსთვის ბრძოლაშია ჩაბმული, „ნერაძური“ კი კაცმა არ იცის რაში... მოკლედ, სატურნირო ცხრილის გადასახედიდან, უფრო მოტივირებული წესით „იუვენტუსი“ უნდა იყოს, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე... შესაძლოა, ერთი კონკრეტული მატჩის მოსაგებად სატურნირო მოტივაციის ნაკლებობა და ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფლება უკეთესიც იყოს. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება „ინტერის“ გამოცდილმა ნახევარმცველმა **დეიან სტანკოვიჩმა**:

*„მეტოქე სკუდეტოსთვის ბრძოლაშია ჩაბმული და ბევრი რამე აქვს დასაკარგი, ჩვენ კი თავისუფლად ვითამაშებთ. ეს ხელს შეგვიწყობს, რომ არ ვინერვიულოთ, არ დავიძაბოთ და შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინოთ. მოგების შემთხვევაში, საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნდება და შემდეგ, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ჩავერთოთ. მთავარი ერთი მნიშვნელოვანი მატჩის მოგებაა და კვირას, ამის საუკეთესო შესაძლებლობა გვეძლევა“.*

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის კომენტარი გააკეთა **კლაუდიო რანიერიმ** და განსაკუთრებით იმას გაუსვა ხაზი, რომ „იუვენტუსის“ დამარცხება „ინტერისთვის“ კრიზისის დაძლევის წინაპირობა იქნება. თუმცა, იქვე დაამატა, ამის გაკეთება ურთულესი იქნება და ფავორიტი ტურინული გრანდიაო. „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, რანიერი 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტოსა** და **დიეგო ფორლანის** ტანდემს გაამწესებს. **ვესლი სნეიდერი** და **რიკი ალვარესი** ტრავმირებულნი არიან, შესაბამისად, მილანურ გუნდს გამთამაშებლის გარეშე მოუწევს ასპარეზობა.

რაც შეეხება „იუვენტუსს“, **ანტონიო კონტე** ტრადიციულად 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შეტევაში შემდეგ ტრიოს გაამწესებს: **სიმონე პეპე, მირკო ვუჩინიჩი, ალესანდრო მატრი**. თუ პეპე და მატრი ბოლო დროს არც თუ კარგად ირჯებიან, სამაგიეროდ, ვუჩინიჩია შესანიშნავ ფორმაში და გოლს გოლზე იტანს. სწორედ მან შეუგდო „მილანს“ გადამწყვეტი გოლი, რომელმაც ტურინული გრანდი იტალიის თასის ფინალში გაიყვანა. ეს ამბავი სამშაბათს მოხდა და აი, ზუსტად ხუთ დღეში პიემონტელები მეორე მილანურ გუნდს უმასპინძლებენ - მოახლოებულ პაექრობაზე ტურინელთა თავკაცმა შემდეგი განაცხადა:

*„წინ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის, რომელიც ძალიან ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. უნდა დავინახოთ, რეალურად ვართ თუ არა მზად სკუდეტოს მოსაპოვებლად. დადებითი შედეგი მხოლოდ გამარჯვება იქნება, ჩვენ სამი ქულა გვჭირდება და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სანადელს მივაღწიოთ. ანდრეა ბარცალის ტრავმა აქვს, ჯერ ბოლომდე ვერ მოშუშდა და მისი ჯანმრთელობის გარისკვას არ ვაპირებთ. სამაგიეროდ, ჯორჯო კიელინი გვიბრუნდება და ეს ძალიან მახარებს. ვინც არ უნდა იყოს მოედანზე, მთავარია ბოლომდე დავიხარჯოთ და სასურველ შედეგს აუცილებლად მივაღწევთ“.*

მართალია, სატურნირო მდგომარეობაზე ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ მეორეს მხრივ, რა დროს ცხრილია? – წინ დიდი იტალიური დერბი გველის...

**იუვენტუსი-ინტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, კიელინი, დე ჩელიე - ვიდალი, პირლო, მარკიზიო - პეპე, ვუჩინიჩი, მატრი.

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო - ძანეტი, პოლი, სტანკოვიჩი, ობი - მილიტო, ფორლანი.

### არც ამ თამაშს დაეწუნება რამე

რომ არა დიდი იტალიური დერბი, ტურის ცენტრალური მატჩი „მილანი“-“რომას“ დაპირისპირება იქნებოდა... ლომბარდიელები ლიდერობენ ჩემპიონატს და სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტები არიან, რომაელებს კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება სურთ და ჯერ კიდევ ოპტიმიზმით არიან აღსავსე. ამ ოპტიმიზმის გასაღრმავებლად მილანში მინიმუმ ქულის მოპოვებაა საჭირო, რადგან „ჯალოროსის“ მდგომარეობა სატურნირო ცხრილში არც თუ სახარბიელოა - **ლუის ენრიკეს** გუნდი მესამე ადგილზე მოკალათებულ „ლაციოს“ ოთხი ქულით ჩამორჩება, ორ რომაულ გუნდს შორის კი „ნაპოლი“ და „უდინეზე“ არიან გამაგრებულნი.

„გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, ორივე გუნდი 4-3-1-2 ტაქტიკით გაირჯება. **მასიმილიანო ალეგრი** გამთამაშებლად **ურბი ემანუელსონს** გაამწესებს, წინა ხაზზე კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **სტეფან ელ შაარავი** იმოქმედებენ... ლუის ენრიკე თავდასხმაში **პაბლო დანიელ ოსვალდოსა** და **ფაბიო ბორინის** დაეყრდნობა, ფორვარდთა უკან კი **ფრანჩესკო ტოტი** გაირჯება. ორივე გუნდი აქცენტს შეტევაზე გააკეთებს და ნესით, კარგი თამაში უნდა გაჩაღდეს. მოვუსმინოთ ლუის ენრიკეს, რომელსაც სჯერა, რომ მის გუნდს „სან სიროზე“ გამარჯვება შეუძლია:

*„ჩვენ შეგვიძლია „მილანის“ დამარცხება, მაგრამ ამისთვის შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოვავლინოთ და შეცდომები პრაქტიკულად არ დავუშვათ. მართალია, ლომბარდიელებს „ბარსელონასთან“ უწევთ უმნიშვნელოვანესი თამაში, მაგრამ მეეჭვება, რომ ჩვენთან ძალები დაზოგონ. ამიტომ, დიდი ბრძოლის მოლოდინში ვარ და ასევეა თითოეული ჩემი შეგირდი. ვეცდებით შევუტიოთ, ეს „რომას“ ფილოსოფიაა, რომელზეც უარს არასდროს ვიტყვით“.*

ბოლოს, მასიმილიანო ალეგრის გადავცეთ სიტყვა: *„გუნდი გადაღლილი მეჩვენება, მაგრამ ასეთი გადატვირთული გრაფიკის ფონზე, ეს ბუნებრივია. საგანგაშო არაფერია, ოპტიმალურად უნდა გადავანაწილოთ ძალები და ყველაფერი გამოგვივა. ამასთან, ტრავმირებული ფეხბურთელები გვიბრუნდებიან, რაც ძალიან მახარებს. „რომა“ შემტევი გუნდია, არც ჩვენ დავდგებით უკან და წესით, სანახაობრივი თამაში უნდა გამოვიდეს. ვნახოთ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება“.*

**მილანი-რომა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - ბონერა, მექსე, ტიაგო სილვა, მესბა - აკვილანი, ვან ბომელი, ნოჩერინო - ემანუელსონი - იბრაჰიმოვიჩი, ელ შაარავი.

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი - ტადეი, კიაერი, ჰაინცე, ანხელი - გაგო, დე როსი, პიანიჩი - ტოტი - ბორინი, ოსვალდო.

● მილანი



ანტონიო კასანო

# კასანო აპრილში დაბრუნდება

ბოლო დღეებია იტალიურ სპორტულ პრესაში "მილანის" გულშემატკივრებისთვის ერთმანეთზე უკეთესი ინფორმაციები ვრცელდება; ჯერ იყო და, იმის შესახებ შევიტყვეთ, რომ **ტიაგო სილვას** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრავმები მსუბუქი გამოდგა და ისინი უკვე სრულ მზადყოფნაში არიან; შემდეგ **კევინ პრინს ბოატენგის, ალექსანდრ მერკელის** და **ალესანდრო ნესტას** გამოჯანმრთელების ამბავი გამცნეთ, დღეს კი კიდევ უკეთესი ცნობა გვაქვს, რომლის მიხედვითაც **ანტონიო კასანო** ფეხბურთს აპრილში დაუბრუნდება.

დიახ, გავრცელებული ცნობის თანახმად, კასანო გულის ავადმყოფობისგან სრულიად განიკურნა და დაახლოებით სამ კვირაში მოედანზე გასვლის საშუალებაც ექნება. ამის შესახებ თვით **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა და უმჯობესია, რომ მოვუსმინოთ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს:

*"ექიმებისგან ძალიან კარგი ამბავი შევიტყვე, რომლის მიხედვითაც კასანო სრულიად ჯანმრთელია და აპრილში მოედანზე გასვლასაც შეძლებს. მართალია, საბოლოო ნებართვამდე კიდევ ერთი დეტალური გამოკვლევაა საჭირო, მაგრამ პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ რაიმე შეიცვალოს. ანტონიოს ამბავი განსაკუთრებულად მახარებს, რადგან თუ დროზე ჩადგა ფორმაში, ევროპის ჩემპიონატზეც გაემგზავრება, რაც მას ასე ძალიან უნდა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## ქართული სპორტი

● ბატუტზე ხტომა



ზაურ სულაშვილი აჯილდოებს კანდიდატის პროგრამით გამარჯვებულ ნატალია ჩადუნელსა და პრიზიორებს - ნუცა ჭკუასელს (მარცხნივ) და ნათია მნითურს.

# ჯერ ეროვნული, მერე — ევროპა

წლეულს 9-15 აპრილს სანკტ-პეტერბურგი ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენებიც იასპარეზებენ. პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი, ლონდონის თამაშების ლიცენზიატი **ლუბა გოლოვინა,** მსოფლიოს თასების მრავალგზის ფინალისტი **თენგიზ კოშკაძე** და ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი **თამარ კაკაშვილი** უფროსებში გამოვლენ, ხოლო 18-წლამდელებში საქართველოს სპორტულ ღირსებას 12-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი **ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა, ნანა გოგაშვილი** და **ზურაბ ნოზაძე** დაიცავენ.

სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრების წევრები დღეს ბატუტზე მხტომელთა ეროვნულ ჩემპიონატში (მთავარი მსაჯი **რუსუდან ხოფერია**) გამოცდიან ძალებს. ეს შეჯიბრება, რომელშიც დედაქალაქის, ქუთაისისა და აჭარის 45 წარმომადგენელი ჩაება, გუშინ თბილისის ტანვარჯიშულ სახეობათა დარბაზში დაიწყო. ტურნირის პირველ დღეს სარბიელი სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის პროგრამებით მოასპარეზეებს დაეთმოთ. კანდიდატ ვაჟებში ეულად გამოდიოდა **გიორგი ავლოხაშვილი,** რადგან ხუთმა სპორტსმენმა ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ შეძლო, გოგონებში კი პირველი-მესამე ადგილები, შესაბამისად, თბილისელებმა — **ნატალია ჩადუნელმა** (71,34), **ნუცა ჭკუასელმა** (69,43) და **ნათია მნითურმა** (45,16) გაინაწილეს.

**I თანრიგის პროგრამით: ვაჟები.** 1. **ონისე თვალავაძე** (42,0), 2. **თორნიკე ბარბაქაძე** (39,4), 3. **გურამ გიორგიძე** (სამივე — ქუთაისი, 38,7). **გოგონები.** 1. **დიანა ფოთელიძე** (48,8), 2. **ქრისტინე სალნიკოვა** (ორივე — აჭარა, 44,3), 3. **ბარბარა ბალათურია** (ქუთაისი, 28,1).

— სასიამოვნოა, რომ შეჯიბრებაში პერიფერიებიდან კარგად მომზადებული გოგო-ბიჭები ჩაებნენ, — გვითხრა ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა.** — ჩვენი სახეობის გეოგრაფია თანდათან იზრდება. ფედერაციის პრეზიდენტის — მერაბ ჩიქობავას ხელშეწყობით ხაშურში სპორტსკოლასა და ბატუტზე ხტომების სექციას სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო სპორტის ოსტატი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ზაქარია აბრამაშვილი,** რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში შვიდი წელიწადი იმუშავა მწვრთნელად. ერთი ჯგუფი უკვე მუშაობს რუსთავში სპორტის ოსტატის, გამოცდილი მწვრთნელის **ელგუჯა ტატიაშვილის** ხელმძღვანელობით. რუსთავს ბატუტზე ხტომაში კარგი ტრადიცია აქვს, რასაც აღორძინება სჭირდება. ორივე ქალაქიდან სპორტსმენებს მალე შეჯიბრებებშიც ვიხილავთ.

შაბათს პირველობისთვის იბრძოლებენ **ლუბა გოლოვინა, ანა ოდიშვილი, ნანა გოგაშვილი, თეონა ჯანჯღავა, ზურაბ ნოზაძე,** ასევე, **თენგიზ კოშკაძე,** რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ნელ-ნელა იბრუნებს უწინდელ ფორმას. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომით ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ფედერაცია 25 მარტიდან დუშეთში თორმეტდღიან სანვრთნელ შეკრებას მოგვიწყობს, რაც კონტინენტის პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად დაგვეხმარება.

**ვაჟა დანელია**
**ავტორის ფოტო**

● რეგიონი

# სპორტი ბაირამის დღესასწაულზე

21-22 მარტს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვან სოფელ კაბალში ნოვრუზ ბაირამი იზეიმეს. სადაც ტრადიციულად შეჯიბრებები გაიმართა დოლსა და ქართულ ჭიდაობაში. სანახაობისთვის რეგიონებიდან, მათ შორის დაღესტნიდანაც ჩამოვიდნენ სტუმრები.

დოლში პირველობა **ელვინ მამედოვმა** მოიპოვა, **ამრან ალიტე და ფაშა ახმელივი** შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. სამივე სოფელ კაბალის მაცხოვრებელია. მათ საჩუქრად ფულადი ჯილდო გადასცეს.

ორგანიზატორები ქართულ ჭიდაობაში ასპარეზობის მსურველთა მოზღვავებას ვერ აუდიოდნენ. განსაკუთრებული ინტერესი, ცხადია, მძიმე და აბსოლუტურ წონებში პაექრობებმა გამოიწვია.

**მძიმე წონაში** ადგილები ასე განაწილდა: 1. ჯაბა ბიწაძე, 2. ალექსანდრე ბოხაშვილი, 3. ზაალ გაგნიძე.

**აბსოლუტურ წონაში** ზაალ გაგნიძემ ფინალში ლევანი მაჭარაშვილს მოუგო და მთავარ პრიზს დაეუფლა.ა

■ ■ ■

**თელავის** მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში ბაირამის დღესასწაულზე კულტურულ-სპორტული ღონისძიებების პროგრამით სპორტულ ნარდში მოეწყო შეჯიბრება 12 რჩეული მოთამაშის მონაწილეობით.

პირველ ადგილზე **საფარ სულეიმანოვი** გავიდა, მეორეზე **თემურ არჯიოღლი,** მესამეზე — **რამის ყურბანოვი.**

გამარჯვებულს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯილდოდ ცხვარი გადასცა.

*ბაირამის დღესასწაულის მიხედვით 21 მარტიდან ახალი წელი იწყება, რაც ზამთრის დასრულებას და გაზაფხულის დადგომას ნიშნავს.*

**ლელა ხეჩოშვილი**

● ხსოვნა

# მიხეილ ხერგიანი — 80

**მიხეილ ხერგიანს** მთელ მსოფლიოში იცნობდნენ, როგორც უმამაცეს მთამსვლელს. მასზე ლეგენდები დადიოდა. სინამდვილეში იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო: თავისი ყოველდღიური დარდითა და სიხარულით.

23 მარტს მიხეილ ხერგიანი 80 წლისა გახდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო ალპინიზმის ისტორიის მკვლევარის, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი ჟურნალისტის **ივანე ჯაფარიძის** ნარკვევი, რომელიც მიხეილ ხერგიანის ცხოვრებისადმია მიძღვნილი. გთავაზობს ამ ნარკვევის ბოლო მონაკვეთს მცირეოდენი შემოკლებით.

**1969 წლის** 4 ივლისს შემზარავი ცნობა მოვიდა თბილისში, იტალიაში, დოლომიტის ალპებში, მწვერვალ სუალტოზე ასვლისას დაიღუპა ქართული ალპინიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მსოფლიოში „კლდის ვეფხვის" სახელით ცნობილი მიხეილ ხერგიანი...

მთელი საქართველო შეძრა ამ მოულოდნელმა ტრაგედიამ ... სვანეთი საყოველთაო გლოვამ მოიცვა... ლალამში, ხერგიანების სახლისაკენ ზღვა ხალხმა დაიწყო დენა საქართველოს ყველა კუთხიდან.

ხალხში იგრძნობოდა ბოლომდე გაუცნობიერებელი ტრაგედიის სიმძაფრე, ისინი ვერ შეგუებოდნენ აზრს, რომ შესაძლებელი იყო სიკვდილზე მრავალჯერ გამარჯვებული მთამსვლელისათვის ბედისწერას ასე ულვთოდ ემუხთლა.

ჩვეულებრივ, მოკვდავთა ყოველდღიური ცხოვრება, შეუცნობლად თუ ქვეშეცნეულად, სიკვდილისაგან განრიდებისა და გაქცევის ცდაა, მიხეილ ხერგიანი კი სიკვდილს პირისპირ შებმულიც არ უკრთოდა.

„ბედნიერია ის, ვინც სიკვდილით სიკვდილს ამარცხებს"-ო — უთქვამს გიორგი შატბერაშვილს და ეს გამონათქვამი ყველაზე მეტად მიხეილ ხერგიანს მიესადაგება.

სვანების ცხოვრებაში დამკვიდრებული წესისა და ადათის კვალად, მთაში დაღუპული ყოველი მთამსვლელის გლოვის ჟამს, პატივს მიაგებენ ყველა მანამადე დაღუპული მთამსვლელის ხსოვნას. დრო საუკუნოდ ინახავს და შარავანდედით მოსავს მათ სახელებს, ვინც ამარცხებს. მიხეილ ხერგიანმაც სიკვდილი სიკვდილითვე დაამარცხა. ამიტომაც დარჩა იგი ხალხის ხსოვნაში ლეგენდად.

სამწუხაროდ, ქართველ მთამსვლელთა დღევანდელი თაობა ვერ მოესწრო მიხეილ ხერგიანს. მისი მოღვაწეობის შესახებ მათ მხოლოდ წიგნებიდან და თანამედროვეთა მონათხრობიდან იციან, მაგრამ, როგორც კი მიხეილის მიერ გავლილ მარშრუტებზე მოსინჯეს საკუთარი ძალა, მათთვის გასაგები გახდა მიხეილ ხერგიანის პიროვნება — რა ძალისა და მონაცემების მქონე მთამსვლელი იყო იგი, ხოლო მისი ასვლების ტემპი დღემდე განცვიფრებას იწვევს ახალგაზრდებში.

„თოკის გრძნობა, მთამსვლელთა მეექვსე გრძნობააო" — ამბობდა ლევან გოთუა, ხოლო „თოკის ენა" მხოლოდ მთამსვლელებს ესმით, მხოლოდ მათთვისაა იგი გასაგები და მეტყველი...

დაღუპულ მთამსვლელთა გახსენებას, ბუნებრივია, მუდამ ახლავს დიდი და მწვავე ტკივილი, მაგრამ აქვე ჩნდება მათ მიერ გავლილი ცხოვრების შთამბეჭდავი სურათების აღდგენისა და ხელახალი, გულისხმიერი გააზრების სურვილი.

32 წლის შემდეგ, 2001 წლის 1 ივლისს, სწორედ ამ გრძნობით გაემგზავრა იტალიაში ქართველ მთამსვლელთა ახალი თაობა: აფი გიგანი, გელა ოთარაშვილი და ბენო ქაშაკაშვილი, რომელიც ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად, ტელეოპერატორისა და რეჟისორის ფუნქციასაც ითავსებდა. ჯგუფის წევრთა გადაწყვეტილება მარტივი და ამაღლებული იყო — 32 წლის შემდეგ გაევლოთ სახელოვანი თანამემამულის — მიხეილ ხერგიანის შეწყვეტილი მარშრუტი მწვერვალ სუალტოზე... მწვერვალის ძირში ბრინჯაოს შესანიშნავი მემორიალი დგას. ვახტანგ ონიანის მიერ შექმნილი ეს მემორიალი, თავდაპირველად ქალაქის ცენტრში დაიდგა, შემდეგ კი სუალტოს ძირში ამოიტანეს იტალიელმა ალპინისტებმა. აქ, მწვერვალთა იდუმალ სამყაროში, ეს ძეგლი, მიხეილ ხერგიანის მთებთან თანაზიარობის უკვდავ სიმბოლოდ ქცეულა.

5 ივლისს, დილაადრიან, ქართველებმა მწვერვალისაკენ აიღეს გეზი. ხშირად ხვდებათ ნაპრალები, კარნიზები, ბუხრები. აქა—იქ ხისა და დაჟანგული რკინის პალოებსაც აწყდებიან. ყველას ერთი ფიქრი იპყრობს: — იქნებ რომელიმე მიხეილის ხელითაა ჩაჭედებული?

გზა თანდათან რთულდება, საჭირო ხდება პალოების კიბეებისა და თოკების გამოყენება. აფი, ბენო, და გელა კედლიდან „ბუხარში" შედიან, ზევით კარნიზების მთელი კასკადია, ბზარში ძველ პალოს ამჩნევენ... ისევ ეძალებათ ფიქრი... მათი აზრით, ეს ის ადგილი უნდა იყოს, 32 წლის წინ ონიშჩენკომ მიხეილი ზურგზე რომ შეისვა კედელზე თოკისა და კიბის დასამაგრებლად. ფიქრობენ, ნუთუ ეს ის „ბუხარია", მიშა რომ შევიდა და ონიშჩენკოს ხედვის არედან გაქრა? ვიაჩესლავი, მიხეილის მოძრაობას თოკის მეშვეობით აკონტროლებდა, რომელიც ნელ-ნელა მისრიალებდა ზემოთ. შემდეგ ქვათაცვენის ხმა მოისმა. ონიშჩენკომ დაზღვევაზე თოკი დაჭიმა და ძლიერი ბიძგი მისთვის მოემზადა, მაგრამ ბიძგი არ იყო... სლავამ, ქვებთან ერთად, ჰაერში ვეფხვივით ხელფეხგაშლილი მიხეილის სხეული დაინახა მხოლოდ...

ქვათაცვენა ახლაც აფერხებს მთამსვლელების მოძრაობას. აფის საიმედო დაცვით, გელამ კედლის ურთულესი მონაკვეთი დაძლია და კარნიზამდე მიაღწია. ეს მწვერვალისწინა შვერილი აღმოჩნდა. რამდენიმე მეტრიც და ქართველთა სამეულმა უკვე მწვერვალზე მიულოცეს ერთმანეთს წარმატება, თითო ყლუპით მიხეილ ხერგიანისა და მისი დამსხვრეული ოცნების სადღეგრძელო შესვეს...



დაღლილებმა და გამარჯვებულებმა კიდევ ერთხელ შეავლეს თვალი ნისლის საბურველში გახვეულ ჩივეტას კლდოვან მასივს, მწვერვალ სუალტოს და გაკვირვებას ვერ ფარავენ — 32 წლის წინათ, მაშინდელი საჭურველითა და ალკაზმულობით, როგორ შეძლო მიშამ უსწრაფესი ტემპით გაევლო სუალტოს ეს ურთულესი კედელი. მათთვის ახლა უფრო გასაგები ხდება მიხეილ ხერგიანის წარმატების საიდუმლო, მისი სიძლიერე და მასშტაბურობა...

მწვერვალზე, როგორც საპატიო ყარაულში, დგანან ქართველი მთამსვლელები და სიამაყის განცდას მდუმარედ გამოხატავენ... მათ აისრულეს დიდი ხნის ოცნება — სუალტო დაიმორჩილეს... მიშას დაუბრუნეს თავისი ვალი...

მწვერვალიდან დაბრუნებულები მიხეილ ხერგიანის ბრინჯაოს მემორიალთან შეიკრიბნენ იმ განცდით, რომ მიზანი მიღწეულია, დალაშქრეს სუალტო, მწვერვალი, რომელმაც საუკეთესოთა შორის საუკეთესო მთამსვლელის სიცოცხლე თავის საკუთრებად გაიხადა...

**ივანე ჯაფარიძე**

● სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

# სამი უარყოფითი ბალანსი



გაგამარუ კვლავ დამარცხდა

გაზაფხულის ბაშო 25 მარტამდე გრძელდება, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი დასრულდა - გუშინ უკანასკნელმა ქართველმა სუმოისტმაც წააგო, ვისაც კიდევ შეეძლო სუპერტურნირის დადებითი ბალანსით დასრულება: **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** პირველ მაეგაშირა **მიოგირიუსთან** ვერაფერი გააწყო და მე-8, გადამწყვეტი მარცხი იწვნია. გაგამარუ კომუსუბის ტიტულს დაკარგავს.

**ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** უბრძოლველად მიითვალა, მესამე გამარჯვება, მეტოქე ჩიონოკუნი ტრავმის გამო არ გამოუცხადდა.

ბაშოს კი მოულოდნელი ლიდერი ჰყავს - მონღოლი **კაკურიუ,** რომელსაც 12 მოგება აქვს. რაც შეეხება დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს,** ის გუშინ ჩემპიონ **კისენოსატოსთან** დამარცხდა.

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): კისენოსატო-ჰაკუჰო (ოშიდაში), კოტოოშუ-არანი (იორიკირი), კაკურიუ-კოტოშოგიკუ (უვატედაშინაგე), ბარუტო-ჰარუმაფუჯი (ცუკიდაში), ამინიშიკი-ტოკიტენკუ (იორიკირი), მიოგირიუ-**გაგამარუ** (იორიკირი), ტოჩიოძანი-იოშიკაძე (უბრძოლველად), კიოკუტენჰო-ტოჩინოვაკა (უვატენაგე), **ტოჩინოშინი**-ჩიონოკუნი (უბრძოლველად), ტოიონოშიმა-ტოიოჰიბიკი (კატასუკაში), აოიამა-ვაკაკოიუ (ოშიტაოში). **ძურიო: კოკაი-სატოიამა** (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**12-1:** კაკურიუ (სეკივაკე).
**11-2:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**10-3:** ბარუტო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), გოეიდო (მაეგაშირა 6)... **5-8: გაგამარუ** (კომუსუბი)... **3-10: ტოჩინოშინი** (მ 3).

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ-კაკურიუ, კოტოშოგიკუ-არანი, ბარუტო-კისენოსატო, ამინიშიკი-ვაკაკოიუ, ტოჩიოძანი-კიოკუტენჰო, გაგამარუ-ჰომაშო, ტოჩინოვაკა-ტოკიტენკუ, მიოგირიუ-შოჰოზანი, ტოჩინოშინი-სადანოფუჯი. **ძურიო: კოკაი-ბუშუიამა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული სპორტი

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● ჭადრაკი

# ქართველებმა ტემპს უმატეს

ბულგარულ პლოვდივში მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატის მე-4 ტურში **ბაადურ ჯობავა**, რომლის აქტივშიც ერთი მოგება და ორი ყაიმი იყო, შავი ფიგურებით რუს ვასილი პაპინს დაუპირისპირდა. მე-13 სვლისთვის პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ 30-ესთვის ბრძოლის სადავეები მეტოქეს გადააბარა. ჩრდილოელმა მეზობელმა "საჩუქარი" ვერ შეირგო - 35-ე და 38-ე სვლებზე პარტიას სასურველი გაგრძელებები ვერ მოუძებნა, რითაც ისარგებლა ქართველმა დიდოსტატმა და ორიოდე სვლაში დაფაზე სიტუაცია რადიკალურად შემოაბრუნა. 51-ე სვლაზე პაპინმა საათი გააჩერა.

**შოთა აზალაძეს,** რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა, საკმაოდ გამოცდილი მეტოქე ჰყავდა – რუსული საჭადრაკო სკოლის აღზრდილი ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია), მაგრამ შოთამ მასაც იოლად მოუძებნა გასაღები და გათამაშების ცხრილში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა. წარმატებით ითამაშა **ლევან ფანცულაიამაც** – მაკედონიელი ტრაჟკო ნედევი დაამარცხა. 2700-იანთა კლუბის წევრ ანიშ გირს (ჰოლანდია, 2717) მეტოქეობდა **ლუკა პაიჭაძე**. ჩვენებურმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ნიდერლანდელს და პარტია ყაიმით დამთავრდა. ასევე დაზავდნენ: პოლონეთის ოთხგზის ჩემპიონი მათეუშ ბარტელი (პოლონეთი)-**დავით ბენიძე, მიხეილ მჭედლიშვილი**-რამ სოფერი (ისრაელი), ბრანკო დამლიანოვიჩი (სერბეთი)-**დავით ლომსაძე**, ილია სმირინი (ისრაელი)-**გაიოზ ნიგალიძე, გიორგი ხელაია**-საბრი ჰალინი (ესკ).

ოთხი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: აზალაძე-3,5, ჯობავა, ფანცულაია-3-3, ლომსაძე, მჭედლიშვილი, ბენიძე, პაიჭაძე, ნიგალიძე-2-2, ხელაია-0,5 ქულა. ჩემპიონატს ერთპიროვნულად მეწინავეობს ინგლისელი იონეს გავაინი, რომელმაც რუსი ბორის სავჩენკო დაამარცხა და ოთხი ქულა აქვს. არადა, სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ცხრა მოჭადრაკე მიიწევდა წინ. გუშინ ერთმანეთს დაუზავდნენ ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი)-ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი), არკადი ნაიდიჩი (გერმანია)-იური კუზუბოვი (უკრაინა), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი)-კაიდო კულაოტსი (ესტონეთი), სანან სიუგიროვი (რუსეთი)-ლუკა ლენიჩი (სლოვენია), ფაბიანო კარუანა (იტალია)-იულან რადულსკი (ბულგარეთი). 4 ტურის შემდეგ 20-მა მოჭადრაკემ 3,5-3,5 ქულას მოუყარა თავი.

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება. გაცნობებთ ქართველთა მეტოქეებს: ივან სოკოლოვი-გაიოზ ნიგალიძე, ბაადურ ჯობავა-ზბინეკ ჰრაჩეკი, ლევან ფანცულაია-გაბრიელ სარგისიანი, დავით ბენიძე-მიხეილ მჭედლიშვილი, დავით ლომსაძე-სიპკე ერნსტი, დავიდ ჰოველი-ლუკა პაიჭაძე, გაიოზ ნიგალიძე-რომაინ ედუარდი, ეკტერინი პავლიდუ-გიორგი ხელაია.

**ვაჟა დანელია**

● სამთო თხილამურობა

# ბაკურიანი უკონკურენტოა



გუდაური 30-31 მარტს სამთო თხილამურობაში საქართველოს თასის გათამაშების მეხუთე ეტაპს უმასპინძლებს. გოგონები და ვაჟები სამ ასაკში სლალომსა და გიგანტურ სლალომში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. გაცნობებთ ოთხი ეტაპის ჯამში საუკეთესო სამეულთა ვინაობას.

**გოგონები. 1999-2000 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 150 ქულა), 2. ანა ჩართოლანი (მესტია, 82), 3. ანა ოგბაიძე (კლუბი „გუდაური", 66). **1997-1998 წ.წ.** 1. ნუცა ხურცილავა (აბუ-ბაკურიანი, 150), 2. სალომე კვიციანი (მესტია, 94), 3. მარიამ ჭკადუა (მესტია, 82). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნატაშა გავა (ბორჯომი, 110), 2. თამუნა ჯალმაიძე („გუდაური", 97), 3. თაკო ბაქრაძე (ბორჯომი, 70).

**ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 95), 2. დათო ნაზლაიძე („გუდაური", 93), 3. გიორგი ქურდოღლიანი (ბაკურიანი, 88). **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 140), 2. ვალიკო მარსაგიშვილი („გუდაური", 69), 3. ზაზა ოგბაიძე („გუდაური", 60) და ვიტალი ფერაძე (ბაკურიანი, 60). **1996 წელს დაბადებულნი და უფროსები.** 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი (92), 2. იასონ აბრამაშვილი (70), 3. კახა კურტანიძე (სამივე — ბაკურიანი, 67 ქულა).

**გუნდური:** 1. ბაკურიანი (656), 2. კლუბი „გუდაური" (450), 3. აბუ-ბაკურიანი (398), 4. მესტია (342), 5. ბორჯომი (328), 6. აჭარა (221), 7. ბეჩო (76).

**ვაჟა დანელია**


**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".**


● ოლიმპიური ფილატელია

**Barcelona'92**




● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** მატჩი ინგლისისა და უელსის საფეხბურთო ნაკრებ გუნდებს შორის ჩატარდა 1879 წელს. მატჩი მოიგეს ინგლისელებმა — 2:1.

■ ■ ■

**პირველმა** წითელი ბარათი დაიმსახურა ჩილელმა ფეხბურთელმა **კარლოს ბაზილემ** 1974 წელს დასავლეთ გერმანიის წინააღმდეგ მატჩში თამაშის 67-ე წუთზე.

■ ■ ■

**პირველად** წყალში ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონატი 1973 წელს ჩატარდა.

● ვიქტორინა

**1. რომელი წლიდან მიიღო ჩოგბურთში „გამოწვევის თასმა" „დევისის თასის" სახელწოდება?**

ა — 1909 წლიდან
ბ — 1932 წლიდან
გ — 1945 წლიდან

**2. ვინ იყო პროფესიულ კრივში სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი?**

ა — სონი ლინსტონი
ბ — მაიკლ ტაისონი
გ — ევანდერ ჰოლიფილდი

**3. რომელ წელს შედგა ძიუდოს ოლიმპიური დებიუტი?**

ა — 1964 წელს
ბ — 1968 წელს
გ — 1972 წელს

**4. რომელ წელს მიუსაჯა იტალიის საფეხბურთო ლიგამ კოკაინის მოხმარებისთვის მარადონას 15-თვიანი დისკვალიფიკაცია?**

ა — 1989 წელს
ბ — 1990 წელს
გ — 1991 წელს

**5. ჩატარდა თუ არა ჩოგბურთში „დევისის თასის" გათამაშების მატჩი თბილისში?**

ა — არ ჩატარებულა
ბ — ჩატარდა 1972 წელს
გ — დაგეგმილი იყო და კიევში გადაიტანეს

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — ა, 4 — გ, 5 — ბ

● ნაკლებად ცნობილი თამაშები

# პეინტბოლი

**პეინტბოლი** (ინგლ. Paint საღებავი, Ball ბურთი). სპორტულ-ტექნიკური თამაში ექსტრემალური თამაშების ჯგუფიდან. საბრძოლო შეტაკების იმიტაცია შემოფარგლულ სივრცეში. თამაშობენ პნევმატური იარაღით (მარკერით), რომლითაც ისვრიან ჟელატინისგან დამზადებულ საღებავიან ბურთულებს. თამაშის მონაწილეთა მიზანია, მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა: თუ მოთამაშეს მოხვდა ბურთულა, რომელიც სკდება და ტანსაცმელზე ფერად ლაქას ტოვებს, ის დამარცხებულად ითვლება და ბრძოლის ველიდან გადის. გამარჯვებულია ის, ვისაც ბურთულას ვერ მოარტყამენ. თამაში გამოიგონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის 80-იან წლებში: 1981 წლის ივლისში ნიუ-ჰემფშირის ტყეებში თორმეტმა მეგობარმა პირველად ითამაშა პეინტბოლი. გაიმარჯვა **რიჩი უაითმა.** 1982 წელს თამაშის ერთ-ერთმა მონაწილემ, **ბობ გარსნიმ,** პეინტბოლი ოფიციალურად დაარეგისტრირა თვითგადარჩენის ეროვნული თამაშის (NSG) სახელწოდებით. 1992 წელს დაფუძნდა ეროვნული პროფესიონალური ლიგა (NPPL). თამაშისთვის გამოყენებული იარაღი 1970 წელს დააპატენტეს. იგი გამიზნული იყო მსხვილფეხა საქონლის, ცხენებისა და ხეების მარკირებისთვის. შემდგომ შეიქმნა სხვა არაერთი მოდელი. თამაშის დროს აუცილებელია სათვალის (ნიღბის) და სხვა დამცავი საშუალებების ხმარება, რაც ნამდვილ ბრძოლის ველზე გამოიყენება. როგორც სპეციალური კვლევით დადგინდა, პეინტბოლი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო სახეობაა (ვთქვათ, გოლფსა და ჩოგბურთზე მეტად), თუკი მოთამაშენი ყველა წესს იცავენ. წესების დაცვას მსაჯები უზრუნველყოფენ. მოედანზე სხვადასხვა სამალავი და წინაღობაა მოწყობილი. ამის მიხედვით, ჩამოყალიბდა პეინტბოლის რამდენიმე სახეობა. შეხვედრა შეიძლება გაგრძელდეს 15 წუთს ან რამდენიმე საათსაც კი. პეინტბოლს, გარდა გართობისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, მას იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა თუ სპეცსამსახურებში, როგორც ვარჯიშის საუკეთესო საშუალებას. პეინტბოლისტის იარაღი და აღჭურვილობა უახლეს ტექნოლოგიებზეა დამყარებული და საკმაოდ ძვირი ღირს — დასავლეთში პეინტბოლის მთელი ინდუსტრიაა შექმნილი. 1996 წლიდან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატები. 1995 წელს საქართველოში დაფუძნდა პეინტბოლის ეროვნული ასოციაცია, მაგრამ თამაშმა ფართო განვითარება ვერ ჰპოვა.



● გაქცეულები

## ნავრატილოვა...

1978 წელს უიმბლდონის ტურნირზე მოგებით **მარტინა ნავრატილოვა კრის ევერტის,** რომელსაც ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში პირველი პოზიცია ეკავა, ძლევით მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. იმავე წელს ნავრატილოვამ მწერალი **რიტა მეი-ბრაუნი** გაიცნო და მათ შორის ძალიან ინტენსიური, თუმცა ხანმოკლე კავშირი დამყარდა. როგორც მოგვიანებით ბრაუნი წერდა, ზოგი ურთიერთობა მარათონს გაგონებს, ზოგი სპრინტს. ჩვენი უფრო სპრინტს ჰგავს. ნავრატილოვას თანახმად, ბრაუნმა თავიდანვე განაცხადა, რომ ჩოგბურთში ჩემს პირველობასთან არაფერი ესაქმება. მისი დამოკიდებულება საპირისპიროც კი იყო: ეს ხომ მხოლოდ სპორტია. როგორც წესი, იგი ამბობდა: სპორტი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ სხვა დანარჩენისგან ყურადღება გადაიტანო. კულტურასა და გონებას ის არაფერს სძენს.

**37 წლის წინათ, ნავრატილოვა ოჯახთან ერთად აშშ-ში გაიქცა, მას ჩეხეთის მოქალაქეობა ჩამორთმეული ჰქონდა... 2008 წელს ჩოგბურთელმა ჩეხეთის მოქალაქეობა აღიდგინა და სამშობლოში დაბრუნდა.**

● საინტერესო ამბები

**თავის** დროზე **დუაიტ დევისმა**, რომელიც შესანიშნავი ჩოგბურთელი, შემდეგ კი პოლიტიკოსი იყო, იმ თასის შესაქმნელად, რომელიც მის მიერვე დაარსებული ტურნირისთვის დაწესდა, 750 დოლარი გადაიხადა, რაც XIX საუკუნის მიწურულში საკმაოდ სოლიდური თანხა იყო.

■ ■ ■

**კალათბურთის** ისტორიაში ყველაზე შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნა შეასრულა **ბრიუს მორისმა** 1985 წელს. კალათაში ჩაეშვა მის მიერ 28 მეტრისა და 17 სანტიმეტრი სიშორიდან ნასროლი ბურთი.

■ ■ ■

**2005 წელს,** გაზეთმა „სანმა" მოულოდნელად და მოურიდებლად ამხილა დიდი ბრიტანეთის დედოფალი - გაზეთის ვერსიით, დედოფალი ლონდონში 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგი ყოფილა.

● თარიღი 24-30 მარტი

**24. 1903 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „კრემონეზე" (ქ. კრემონი, იტალია).

**24. 1946 წ.** გარდაიცვალა **ალექსანდრ ალიოხინი** — ჭადრაკი.

**25. 1896 წ.** ათენში სტარტი აიღო აღორძინებული ოლიმპიადების პირველმა თამაშებმა.

**25. 1953 წ.** დაიბადა **დანიელ ალბერტო პასარელა** — ფეხბურთი (არგენტინა).

**26. 1941 წ.** დაიბადა **ლუის კუბილა** — ფეხბურთი (არგენტინა).

**27. 1928 წ.** ნიდერლანდებში გამოუშვეს პირველი საფოსტო მარკა საფეხბურთო თემაზე.

**27. 1966 წ.** ინგლისელ **დევიდ კორბეტის** ძაღლმა პიკლზმა ბუჩქთან იპოვა ნივთი, რომელიც „ნიკეს თასი" აღმოჩნდა.



**28. 1923 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „სელტა" (ქ. ვიგო, ესპანეთი).

**28. 1991 წ.** ამ დღეს მიღებული გადაწყვეტილებით, იტალიის საფეხბურთო კლუბი „მილანი" ევრო თასების გათამაშებას ერთი წლით ჩამოაშორეს.

**29. 1952 წ.** დაიბადა **რაინერ ბინჰოფი** — ფეხბურთი (გერმანია).

**30. 1933 წ.** დაიბადა **ჰარალდ გრეგი** — ფეხბურთი (ჩრდ. ირლანდია).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

კალათბურთი

სუპერლიგა. XVIII ტურის რჩეულნი

# სტუდენტებიდან სამედიცინო დაწინაურდა




მეთვრამეტე ტურში ცენტრალური მატჩი სტუდენტური დერბი იყო: „სამედიცინო" თსუ-ს დაუპირისპირდა. მოგების შემთხვევაში მედიკოსებს პლეი ოფში მეშვიდე ადგილით გასვლის კარგი შანსი უჩნდებოდათ. არადა, მერვე ადგილი მეოთხედფინალში „არმიასთან" დაპირისპირებას ნიშნავს. **მიხეილ ჭოჭუას** წინამძღოლობით „მედიკოსებმა" თსუ-ს 83:74 სძლიეს და თითქმის გადაწყვეტილია, რომ პლეი ოფის პირველ რაუნდში რეგულარული ეტაპის მეორეადგილოსანს შეხვდებიან.

თავის მხრივ, სიტუაცია გაიუარესა თსუ-მ, რომელსაც მეცხრეადგილოსანი სტუ-ს დარად 5 მოგება აქვს (მეოთხედფინალში რვა გადის). ამ გუნდების დუელი დღეს შედგება და იოლი მისახვედრია, ორივესთვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს.

დავუბრუნდეთ მიხეილ ჭოჭუას, რომელიც ჟურნალისტებმა მე-18 ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეთ. იგი საქართველოს ჩემპიონატში 2004-05 წლებში გამოჩნდა და ოთხჯერ გახდა ქვეყნის ოქროს მედლის მფლობელი. თუმცა საჩემპიონო გუნდში სათადარიგო იყო, 2010 წლიდან კი „სამედიცინოს" ღირსებას იცავს და გუნდის ლიდერადაც ჩამოყალიბდა. მიმდინარე სეზონში მისი მონაგარია 13.5 ქულა, 4.4 მოხსნა და 2.4 პასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ქუთაისი-სოხუმი | 86:74 |
| თსუ-სამედიცინო | 74:83 |
| ოლიმპი-რუსთავი | 91:59 |
| არმია-სტუ | 95:50 |
| დინამო-ბათუმი | 82:76 |

## რეკორდები

**ქულა**

**41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)**
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

**41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)**
2-ქულ 14/20; 3-ქულ 2/6; საჯ 7/8
03.03.12 შსს-დინამო

**მოხსნა**

**20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)**
(მეტოქ: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

**პასი**

**14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)**
29.10.11 შსს-ოლიმპი

**14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)**
10.12.11 დინამო-ოლიმპი

**14 - ბენჯამინ ვუდსაიდი (არმია)**
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

**8 - ბენჯამინ ვუდსაიდი (არმია)**
10.03.12 სამედიცინო-არმია

**დაფარება**

**6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)**
15.10.11 თსუ-ოლიმპი

**6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)**
05.11.11 დინამო-სამედიცინო

**6 - მილან ოლუიჩი (დინამო)**
14.02.12 დინამო-არმია

**6 - მილან ოლუიჩი (დინამო)**
17.03.12 დინამო-ბათუმი

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 10 | 280 | 28 |
| 2 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 16 | 371 | 23.19 |
| 3 | ქიენ კარტერი | დინამო | 14 | 324 | 23.14 |
| 4 | რობერტ კრეისი | შსს აკადემია | 10 | 231 | 23.1 |
| 5 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 16 | 353 | 22.06 |
| 6 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 11 | 202 | 18.36 |
| 7 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 9 | 162 | 18 |
| 8 | უილიამ ტომასი | არმია | 14 | 239 | 17.07 |
| 9 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 17 | 288 | 16.94 |
| 10 | ბექა ჩიქვილაძე | თსუ | 14 | 234 | 16.71 |
| 11 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 16 | 267 | 16.69 |
| 12 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 16 | 267 | 16.69 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქიენ კარტერი | დინამო | 14 | 76 | 115 | 191 | 13.64 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 16 | 41 | 129 | 170 | 10.63 |
| 3 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 11 | 47 | 64 | 111 | 10.09 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 16 | 37 | 119 | 156 | 9.75 |
| 5 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 16 | 69 | 76 | 145 | 9.06 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 16 | 32 | 111 | 143 | 8.94 |
| 7 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 17 | 34 | 117 | 151 | 8.88 |
| 8 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 16 | 57 | 82 | 139 | 8.69 |
| 9 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 16 | 44 | 91 | 135 | 8.44 |
| 10 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 16 | 43 | 89 | 132 | 8.25 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 14 | 123 | 8.79 |
| 2 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 10 | 68 | 6.8 |
| 3 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 9 | 61 | 6.78 |
| 4 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 14 | 91 | 6.5 |
| 5 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 16 | 89 | 5.56 |
| 6 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 17 | 91 | 5.35 |
| 7 | დავით არწივიძე | რუსთავი | 17 | 85 | 5 |
| 8 | ბექა წივწივაძე | შსს აკადემია | 10 | 48 | 4.8 |
| 9 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 14 | 67 | 4.79 |
| 10 | რობერტ კრეისი | შსს აკადემია | 10 | 41 | 4.1 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 10 | 34 | 3.4 |
| 2 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 9 | 27 | 3 |
| 3 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 17 | 44 | 2.59 |
| 4 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 13 | 33 | 2.54 |
| 5 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 16 | 34 | 2.13 |
| 6 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 16 | 32 | 2 |
| 7 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 16 | 32 | 2 |
| 8 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 17 | 33 | 1.94 |
| 9 | გილერმო დიასი | არმია | 13 | 25 | 1.92 |
| 10 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 17 | 31 | 1.82 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 15 | 25 | 1.67 |
| 2 | იოაკიმ შელბომი | არმია | 16 | 26 | 1.63 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 16 | 22 | 1.38 |
| 4 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 15 | 19 | 1.27 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 16 | 19 | 1.19 |
| 6 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 17 | 20 | 1.18 |
| 7 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 17 | 19 | 1.12 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 16 | 80 | 5 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 14 | 54 | 3.86 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 14 | 52 | 3.71 |
| 4 | ბექა წივწივაძე | დინამო | 10 | 36 | 3.6 |
| 5 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 14 | 46 | 3.29 |
| 6 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 17 | 54 | 3.18 |
| 7 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 14 | 44 | 3.14 |
| 8 | ზურა მაჭავარიანი | რუსთავი | 17 | 51 | 3 |

სუპერლიგა. XIX ტური

# ქებათა ქება რუსთავს!

**23 მარტი. რუსთავი**

**რუსთავი-არმია 71:75**

**17:15, 22:18, 12:25, 20:17**

**რუსთავი:** მაჭავარიანი (13ქ, 3პ), არწივიძე (5ქ, 3პ), ბააკაშვილი (9ქ), ჩაჩანიძე (17ქ, 3პ), ხმელიძე (17ქ, 6მ, 3პ), გუგავა, ტუჯანი (10ქ, 11მ, 2ჩ, 2დ).

**არმია:** რიჩარდსონი (11ქ), ბაბიაშვილი (5ქ), უგრეხელიძე (2ქ), კვიმსაძე (5ქ, 3პ, 3ჩ), ტომასი (24ქ, 14მ), მოსეშვილი, ათანელიშვილი, დიასი (2ქ, 3პ), ვუდსაიდი (20ქ), საყვარელიძე (6ქ, 7მ, 4პ), შარაბიძე.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

ქებათა ქება რუსთავს! ქვემოქართლელებმა ქვეყნის ჩემპიონსა და მიმდინარე სეზონში უძლეველ „არმიას" ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. რომ არა მესამე პერიოდის ჩავარდნა, რუსთაველებს, შესაძლოა სენსაციაც „გამოეცხოთ". აკი თქვა სტუმართა მწვრთნელმა, **კოტე ტულუშმა** - თითქმის მთელი თამაში „რუსთავის" უპირატესობით წარიმართაო.

...თუმცა გამოცდილებამ ახალგაზრდა მასპინძელთა მონდომება მაინც გადაფარა და „არმიამ" 4 ქულის სხვაობით მოიგო.

**ნათქვამი**

**კოტე ტულუში** („არმიას" მწვრთნელი):

- ნამდვილად არ ველოდით „რუსთავისგან" ასეთ წინააღმდეგობას და რამდენიმე მოთამაშის დასვენებაც გადავწყვიტეთ. დაცვაშიც მოვადუნეთ ყურადღება, როგორც მე, ასევე მოთამაშეებმა, რის გამოც სეზონის ყველაზე ცუდი მატჩი ჩავატარეთ. „რუსთავი" ჩინებულად გაისარჯა, თითქმის მთელი თამაში მისი უპირატესობით წარიმართა. კომპლიმენტები ეკუთვნით მასპინძელთა მწვრთნელსა და კალათბურთელებს.

**მიხეილ ბერუაშვილი** („რუსთავის" მწვრთნელი):

- დაცვაში შესანიშნავად ვიასპარეზეთ და თავდასხმაშიც კარგად გამოვიყურებოდით. ბიჭებმა გუნდურად იასპარეზეს და სწორედ ამის ხარჯზე ვებრძოლეთ „არმიას" თანაბრად.

**23 მარტი. ბათუმი**

**ბათუმი-ოლიმპი 85:103**

**18:21, 27:35, 13:30, 27:17**

**ბათუმი:** ვ. მაისურაძე (11ქ, 5მ, 5პ), რამიშვილი (9ქ, 7პ, 3ჩ), მიქელაძე (3ქ, 6პ), ელიაშვილი (12ქ), ემირიძე, კეშელავა (28ქ, 4პ, 3ჩ), ნინუა (10ქ), რევაზაშვილი (12ქ).

**ოლიმპი:** გამყრელიძე (4ქ, 4პ), გულისაბედაშვილი (2ქ), ნანიტაშვილი (4ქ), თავართქილაძე (6პ), სიგუა, მილუტინოვიჩი (14ქ, 5მ, 4პ, 2დ), ბერიშვილი (15ქ, 11მ, 3ჩ), სლიუკა (16ქ), ტუტუსი (16ქ, 5მ, 3პ), სულაბერიძე, ჰოგერი (32ქ, 13მ, 3დ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ს. საინერსი.

„ოლიმპი" მიმდინრე სეზონში ყველაზე ტანმაღალი გუნდია. „ბათუმი" - პირიქით. ეს სხვაობა კარგად აისახა ფარიდან მოხსნებში: 49:25 თბილისელთა სასარგებლოდ. გაილაღა „ოლიმპელთა" ჩეხმა ცენტრმა **ივო ჰოგერმა** (225 სმ), რომელმაც პირადი რეკორდი დაამყარა - 32 ქულა მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ მოედანს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **ლაშა გამყრელიძე.** საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 12 წუთი ითამაშა.

**გია კაზანჯიანი** („ოლიმპის" მწვრთნელი):

- პირველ ნახევარში „ბათუმმა" კარგად იასპარეზა, თუმცა მესამე მეოთხედში 17:0 გავიქეცით, რამაც მეტოქე საბოლოოდ გატეხა. სრულად არ დაგვიტვირთავს გიორგი გამყრელიძე.

**მიხეილ კობეშავიძე** („ბათუმის" მწვრთნელი):

- „ოლიმპი" ამ მატჩში ფავორიტი იყო და გაიმარჯვა კიდეც. რაც შეეხება ტრავმებს, მონაწილეობა არ მიუღია ლევან ელიაძეს, რომელსაც ფეხი აწუხებს და სამი კვირა ვერ ითამაშებს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 17 | 17 | 0 | 1538/1074 | 34 |
| 2. ოლიმპი | 17 | 14 | 3 | 1437/1247 | 31 |
| 3. ქუთაისი | 17 | 13 | 4 | 1448/1306 | 30 |
| 4. სოხუმი | 17 | 10 | 7 | 1381/1303 | 27 |
| 5. დინამო | 17 | 9 | 8 | 1407/1442 | 26 |
| 6. შსს აკადემია | 16 | 9 | 7 | 1438/1282 | 25 |
| 7. სამედიცინო | 17 | 7 | 10 | 1373/1453 | 24 |
| 8. თსუ | 16 | 5 | 11 | 1283/1422 | 21 |
| 9. სტუ | 16 | 5 | 11 | 1212/1375 | 21 |
| 10. ბათუმი-რსუ | 17 | 2 | 15 | 1216/1512 | 19 |
| 11. რუსთავი | 17 | 1 | 16 | 1176/1493 | 18 |

პასი ამერიკიდან

# სანიკიძე: ვირტუსში დავრჩები, თუ...




გასულ კვირას შემოგთავაზეთ ამერიკული გამოცემა „პროჯექტსპურსში" გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ჟურნალისტი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ **ვიქტორ სანიკიძე** მალე NBA-ში გადავიდოდა. იმავე ავტორმა, **ჯეფ გარსიამ** 25 წლის ქართველის შესახებ ახალი სტატია მოამზადა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

„ვიქტორ სანიკიძე 2004 წლის დრაფტზე „ატლანტამ" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო. ამერიკულ კლუბსა და ქართველს კვლავაც აქვთ კავშირი, თუმცა სანიკიძე მომავალ სეზონში ევროპაში დარჩენასა და ევროლიგაზე თამაშს აპირებს. მას ბოლონიის „ვირტუსთან" კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება.

*- NBA-ში თამაში ჩემი ოცნებაა, მაგრამ ევროლიგაში თამაშიც ძალიან მინდა. მზად ვარ „ვირტუსში" დავრჩე, თუ გუნდი ევროლიგის საგზურს მოიპოვებს,* - აცხადებს სანიკიძე.

იგი იტალიის ჩემპიონატში საშუალოდ 31.6 წუთს თამაშობს, 13.1 ქულას, 1.5 პასსა და 10.7 მოხსნას აგროვებს.

თუ სანიკიძემ აზრი არ შეიცვალა (**რობერტას იავტოკასის** მსგავსად), „სპურსის" შავ-თეთრ ფორმაში ვერ ვიხილავთ. იმედი დავიტოვოთ, რომ **ნანდო დე კოლო**, ან **ერაზემ ლორბეკი** მაინც გადაწყვეტენ კარიერის NBA-ში გაგრძელებას."

საინტერესო სტატიაა. თუმცა, ერთი უნდა დავამატოთ. სანიკიძეს ახალი აგენტი ჰყავს, რომელიც ევროპული კლუბების პარალელურად ამერიკულებთანაც მუშაობს. დანარჩენი სეზნის ბოლოს გაირკვევა.

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ხუთი ტური ადრე ხუთი დანინაურდა


მამუკა გორგოძე და გიორგი ჟღენტი მოთელვისას

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. საპლეიოფო ექვსეულში კი დღესდღეობით ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია: „ტულუზი", „კლერმონი", „ტულონი", „მონპელიე" და „კასტრი". მეძლებისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი აქვს კიდევ ერთ „ქართულ გუნდ" „აჟენს", რომელიც მეექვსეადგილოსან „მეტრო რასინგს" ხუთი ქულით ჩამორჩება.

გათამაშების ლიდერი, **აქვსენტი გიორგაძისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი", სტუმრად ეთამაშება მეათეადგილოსან „ბორდოს", რომელსაც დივიზიონის დატოვების საფრთხე ემუქრება. ტულუზელები წლეულს ჩემპიონატის დასაწყისიდანვე ბრწყინვალედ ასპარეზობენ და პირველობის უმთავრესი ფავორიტები არიან.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებს შორის პირველი წრის შეხვედრა „ტულუზმა" შინ დიდი ანგარიშით 56:6 მოიგო. ბრეგვაძე, რომელმაც ახლახან გუნდთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სათადარიგოთა შორისაა. გიორგაძე ტრავმირებულია.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელიც ამჟამად 69 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება, შინ დაუპირისპირდება „პერპინიანს", რომელიც 34 ქულით თავისთვის უჩვეულო მე-11 ადგილზე იმყოფება და დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია.

„ვულკანები", რომლებსაც შინ ორი სეზონია არ წაუგიათ, ცხადია, ამ შეხვედრაში ფავორიტები არიან. ჩვენებურის გუნდმა მიმდინარე გათამაშებაში ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე არ იცის მარცხის სიმწარე. „კლერმონს" ეროვნული ნაკრებიდან დაუბრუნდნენ **ვესლი ფოფანა, ორელიან რუჟერი** და **ჟულიენ ბონერი**. მასპინძელთა უპირატესობაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. კლერმონელებმა წლეულს 37 ლელო გაიტანეს, „პერპინიანმა" კი - 20.

პირველ წრეში „კლერმონმა" სტუმრად 39:3 მოიგო. ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ ითამაშებს.

საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი „სტად დე მაიოზე", სადაც მესამე ადგილოსანი **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" მეექვსეადგილოსან „მეტრო რასინგს" დაუპირისპირდება. ტულონელები „ვულკანებს" 11 ქულით ჩამორჩებიან და დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლება დაიბევონ.

„ტულონს" ვერ უხელმძღვანელებს მთავარი მწვრთნელი **ბერნარ ლაპორტი**, რომელსაც საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 60-დღიანი დიკვალიფიკაცია მიუსაჯა. მასპინძლებს პარიზელებთან მატჩში სამხრეთაფრიკელი მესამეხაზელი **ჯო ფან ნიკერკი** უკაპიტნებს. საეჭვოა **ბენჟამინ ლაპეირისა** და **ალექსის პალისონის** თამაში.

პირველ წრეში „ტულონმა" სტუმრად „მეტრო რასინგის დამარცხება შეძლო - 16:8. ქუბრიაშვილი თადარიგში იქნება.

21-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრად **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიესა" და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრის" დაპირისპირებაა აღიარებული.

ორივე ეს გუნდი პლეი ოფის პოტენციური მონაწილეები არიან. ბოლო ტურებში „მონპელიე" მეტოქეზე ბევრად უკეთ გამოიყურება. გორგოძე და კომპანია საკმაოდ უხვლელოიანები არიან, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ხშირად ჯარიმდებიან. „კასტრს" კი საჯარიმოების გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტი აქვს. ამ გუნდის ფულბეკი **რომენ ტულე** საფრანგეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო დამრტყმელია.

„მონპელიეს" თავკაცს ფაბიენ გალტიეს ეროვნული ნაკრებებიდან დაბრუნებული **მამუკა გორგოძისა** და მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკის** იმედი აქვს. ყველასთვის ცხადია, რომ ამ ორი მოთამაშის ყოფნა გუნდში, თამაშს სრულიად გარდაქმნის და „მონპელიე" ბევრად უფრო მრისხანე ხდება.

პირველ წრეში „კასტრმა" სტუმრად „მონპელიეს" 21:16 მოუგო. გორგოძე, ჟღენტი და ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში არიან, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში არ არიან.

ბექა შეყლაშვილის „აჟენი", რომელიც 44 ქულით მერვე ადგილზეა, სტუმრად ეთამაშება სატურნირო ცხრილის მეზობელ „სტად ფრანსეს", რომელსაც სამი ქულით ჩამორჩება. ცხადია, ორივე პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის. უკეთეს მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, პარიზელები არიან. მათ რიგებში საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებში მივლენილი მოთამაშეები დაბრუნდნენ.

ამასთან ერთად, „სტად ფრანსე" ლელოების რაოდენობითაც ორჯერ უსწრებს მეტოქეს. პირველ წრეში აჟენელებმა შინ დამაჯერებლად მოიგეს - 37:13. იგივეს გამეორება, ამჯერად ძალზედ გაუჭირდებათ. პირიქით, „სტად ფრანსესგან" ყველა დიდი ანგარიშით მოგებას ელოდება. მით უფრო, რომ გუნდის 25-ათასიან სტადიონზე ბილეთები ერთი დღით ადრე მთლიანად გაყიდული იყო.

შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის არის.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი" სტუმრად დაუპირისპირდება ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ბაიონს". ჩვენებურთა გუნდს საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში ყველაზე გაუვალი დაცვის ხაზი ჰყავს, თუმცა ბრიველებს ოდნავ უჭირთ შეტევისას.

ბასკურ გუნდს დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე რეალურად ემუქრება და, სავარაუდოდ, მეტოქეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავს. პირველ წრეში „ბრივმა" შინ 30:10 მოიგო.

**გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი", რომელიც 26 ქულით ბოლო ადგილზეა, შინ ეთამაშება ბასკურ ბიარიცს, რომელსაც რვა ქულით ჩამორჩება. ლიონელებს ჯერ კიდევ შეუძლიათ მდგომარეობა გამოასწორონ და გავარდნას გადარჩნენ. საამისოდ კი დიმიტრი იაშვილისა და კომპანიის აუცილებლად დამარცხება მართებთ.

**I დივიზიონი**

**XXI ტური**

**ბორდო-ტულუზი, სტად ფრანსე-აჟენი, ლიონი-ბიარიცი, კასტრი-მონპელიე, კლერმონი-პერპინიანი, ტულონი-მეტრო რასინგი, ბაიონი-ბრივი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 73 ქულა, 2. კლერმონი - 69, 3. ტულონი - 58, 4. მონპელიე - 52, 5. კასტრი - 51, 6. მეტრო რასინგი - 49, 7. სტად ფრანსე - 47, 8. აჟენი - 44, 9. ბრივი - 37, 10. ბორდო - 37, 11. პერპინიანი - 34, 12. ბიარიცი - 34, 13. ბაიონი - 30, 14. ლიონი - 26.**


ვასილ კაკოვინი და დავით ხინჩაგიშვილი შერკინებაში

U-18



ბურთით საბა მეუნარგია

# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კლერმონს სძლიეს

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც **ილია მაისურაძე** (მთავარი მწვრთნელი), **ირაკლი ჭყონია** და **ზურაბ ამონაშვილი** ხელმძღვანელობენ, **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონის" საწვრთნელ ბაზაზე ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება.

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" საწვრთნელი შეხვედრა გამართეს „კლერმონის" 19-წლამდელთა გუნდთან, რომელიც საფრანგეთში ამ ასაკში ერთ-ერთი საუკეთესოა და მშრალი ანგარიშით 17:0 დაამარცხეს. ჩვენმა გუნდმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანა. თავი გამოიჩინეს **მურაზ გიორგაძემ** (ვეფხვები), **გიორგი ნათელაშვილმა** (ხარები) და **დევი დევსურაშვილმა** (ხულიგანა).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართება, პირველ შეხვედრას 30 მარტს ინგლისის 18-წლამდელთა გუნდთან გამართავს. ამ მატჩში გამარჯვებული უელსისა და იტალიის ნაკრებებს შორის უძლიერესს დაუპირისპირდება, დამარცხებული კი, შესაბამისად დამარცხებულს.

ამ გუნდების გარდა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ საფრანგეთის, ირლანდიის, შოტლანდიისა და პორტუგალიის 18-წლამდელთა ნაკრებები.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ირლანდიის 18-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს ქართული წარმოშობის მესამეხაზელი **საბა მეუნარგია**, რომელიც ქონოთთან ახლოს, მერისტის კოლეჯში სწავლობს. აღსანიშნავია, რომ ის ირლანდიური სარაგბო სკოლის აღზრდილია და ადგილობრივი გუნდის, „მეკობრეების" 15-წლამდელთა გუნდშიც უთამაშია.

**ევროპის ჩემპიონატი**

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ბადრი ალხაზაშვილი (აკადემია), მიხეილ ზურიკაშვილი (ხარები), ლექსო ცისკარიშვილი (არმია), ზურაბ ხარებავა (რაინდები), გიორგი მარგველანი (ივერია).

**მეორე ხაზი:** გიორგი სორდია (საფ), მიხეილ მასხარაშვილი (ჯიქები), შალვა შაშიაშვილი (აია).

**მესამე ხაზი:** საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე (ორივე-აკადემია), ვახტანგ ამირანაშვილი (ივერია), ონისე მოგელაშვილი (ჯიქები), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი).

**№9:** რევაზ ბროძელი (არმაზი),

**№10:** იოსებ ტუკვაძე (ყოჩები), გიორგი ტალახაძე (ხულიგანა).

**№12-13:** ნიკა ამაშუკელი (ჯიქები), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები).

**№11-14:** დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), იოსებ კიკვაძე, გიორგი ფრუიძე (აია).

**№15:** გიორგი აფციაური (არმია).

**ევროპის ჩემპიონატი**

**30 მარტი**

საქართველო-ინგლისი
ირლანდია-პორტუგალია
უელსი-იტალია
საფრანგეთი-შოტლანდია

**3 აპრილი**

**ნახევარფინალი**

**7 აპრილი**

**ფინალი**

ზე რაგბი

# დენი სიპრიანის დიდი 26 წუთი

ზე რაგბის გათამაშების მე-5 ტური A ჯგუფის აუტსაიდერების „მელბურნ რებლზისა" და პერთის „ფორსის" დაპირისპირებით გაიხსნა. მელბურნელებმა უმძიმეს ბრძოლაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს - 30:29.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა თამაში საკმაოდ აქტიურად დაწყეს და 26-ე წუთისთვის 24:7-ს იგებდნენ. მათ შვიდ-შვიდი წუთის შუალედით სამი ლელო გაიტანეს. ერთ-ერთი მათგანი ინგლისელი მგეზავის **დენი სიპრიანის** ანგარიშზეა. მანვე ზუსტად გამოიყენა სამივე გარდასახვაც.

სტუმრები მეორე ტაიმში საგრძნობლად გააქტიურდნენ და 63-ე წუთზე დაწინაურება შეძლეს - 29:27. გამარჯვების მომტანი საჯარიმო მასპინძლებისთვის 73-ე წუთზე გარემარბმა მარკ ჯერარდმა გაიტანა.

კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა B ჯგუფში, სადაც ოქლენდის „ბლუზმა" შინ წააგო ველინგტონის „ჰარიკენზთან" - 25:26. მატჩი, როგორც ანგარიშიდან ჩანს, ძალზედ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, სტუმრებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, რისი წყალობითაც მიმდინარე გათამაშებაში მესამე გამარჯვება მოიპოვეს და ლიდერ „ჰაილენდრზს" წამოეწივნენ.

**A ჯგუფი**

მელბურნ რებლზი-ფორსი 30:29, ვორათაზი-ნატალ შარქსი, ბრამბიზი-ჰაილენდერზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 13 ქულა, 2. ბრამბიზი - 9, 3. ვორათაზი - 8, 4. ფორსი - 7, 5. მელბურნ რებლზი - 6.

**B ჯგუფი**

ბლუზი-ჰარიკენზი 25:26, კრუსეიდერზი-ჩიტაზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰაილენდერზი - 16 ქულა, 2. ჰარიკენზი - 15, 3. ჩიტაზი - 14, 4. კრისეიდერზი - 6, 5. ბლუზი - 6.

**C ჯგუფი**

ბლუ ბულზი-რედსი, ლაიონზი-სტორმერზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 12 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 11, 3. ბლუ ბულზი - 10, 4. ჩიტაზი - 6, 5. ლაიონზი - 5.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი




მაკაბიმ პაო შეაჩერა

# ჩემპიონს გაუჭირდა

ორი მატჩით გაგრძელდა ევროლიგის პლეი ოფი კალათბურთში. მეორე მატჩები ჩატარდა „პანათინაიკოსი“-„მაკაბისა“ და „ბარსელონა“-უნიქს-ის წყვილში.

სერიის პირველ მატჩში ოცი ქულით მოგების შემდეგ, „პანათინაიკოსი“ „მაკაბისთან“ მეორე შეხვედრაში ისევ ფავორიტად მიიჩნეოდა. მაგრამ, ისრაელის ჩემპიონმა მოასწრო ამ ორ დღეში შოკიდან გამოსვლა და სერიოზული ბრძოლა გაუმართა ბერძნულ გრანდს.

მთელი მატჩი თანაბარი თამაში მიდიოდა და ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას.

მხოლოდ მეოთხე მეოთხედში **კოსტას კაიმაკოგლუს** მონდომებით, საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე „პანათინაიკოსი“ ექვსი ქულით გაიჭრა წინ, რაც ასეთი ხასიათის მატჩისთვის საკმაოდ სოლიდური უპირატესობა იყო. მაგრამ „მაკაბიმ“ შეძლო მეტოქის დაწევა და **დევიდ ბლუს** სამქულიანით ორი ქულით წინ გასვლაც კი მოახერხა – 83:81.

„პანათინაიკოსი“ იმავე კაიმაკოგლუმ გადაარჩინა, რომელმაც 14 წამით ადრე შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა მოახერხა.

დამატებით დროში კი ისევ დევიდ ბლუმ გაიბრწყინა, რომლის სამქულიანით „მაკაბი“ წინ გავიდა და უპირატესობა ბოლომდე აღარ გაუშვა ხელიდან – 94:92 მოიგო ისრაელის ჩემპიონმა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. ახლა ორი შეხვედრა თელ-ავივში გაიმართება.

■ ■ ■

„პანათინაიკოსისგან“ განსხვავებით, შინ ზედიზედ მეორე მატჩის მოგება შეძლო „ბარსელონამ“, თუმცა ძალიან გაუჭირდა ამის გაკეთება. რუსეთის უნიქს-მა პირველ მატჩშიც გაუწია დიდი წინააღმდეგობა ესპანეთის ჩემპიონს, ახლა კი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან.

„ბარსამ“ ოთხიდან მხოლოდ ერთი მეოთხედი მოუგო უნიქს-ს – პირველ 10-წუთეულში ოთხქულიან უპირატესობას მიაღწია და როგორც შემდეგ გაირკვა, ეს გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მატჩში.

„ბარსელონა“ თავიდან 11:2 დაწინაურდა, მაგრამ რუსები მალე დაეწიენ მეტოქეს და ამის შემდეგ ქულა ქულაში თამაში წავიდა. მეორე მეოთხედი უნიქსმა ერთი ქულით მოიგო და შემდეგ ისევ ჩააგდო ტაიმის დასაწყისი. მეორე ნახევრის დებიუტში **ლორბეკმა** და **ნავარომ** 9 ქულით გაიყვანეს წინ „ბარსა“.

მაგრამ მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს უნიქს-ის ლეგიონერ **ჯავაის**, რომლის აქტიურობის შემდეგ, რუსებმა საფინალო სირენამდე რვა წუთით ადრე წინ გასვლა მოახერხეს – 54:53. ოღონდ ეს რუსების ბოლო წარმატება იყო. „ბარსამ“ ისევ დაიბრუნა ინიციატივა და კლასის ხარჯზე 63:61 გაიმარჯვა.

„ბარსელონა“ 2:0 დაწინაურდა სერიაში. აქამდე, ევროლიგის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე გუნდს 0:2-დან მოეგო სერია, ასე რომ, უნიქსი განწირული ჩანს.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ მეოთხედფინალის პირველი მატჩების საუკეთესო მოთამაშე. ეს არის „პანათინაიკოსის“ 31 წლის მცველი **დიმიტრის დიამანტიდისი**. გამთამაშებელმა „მაკაბისთან“ მოგებულ მატჩში 15 ქულა დააგროვა, რასაც რვა შედეგიანი პასი, ხუთი მოხსნა, ორი ჩაჭრა და ორი დაფარება დაუმატა. ბერძენი ვეტერანის ეფექტურობის კოეფიციენტი 31 ქულას შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მაღალი კოეფიციენტი „მონტეპასკის“ მოთამაშეს **დევიდ ანდერსონს** ჰქონდა, მაგრამ მისმა 28 ქულამ იტალიურ კლუბს ვერ უშველა.

**პანათინაიკოსი–მაკაბი 92:94 (ო)**

**24:20, 19:21, 15:20, 25:22, 9:11**

**პ:** კაიმაკოგლუ (20), ბატისტი (16+9 მოხსნა+6 პასი), იასიკიავიჩიუსი (15+4 პასიმ), ცარცარისი (12), კალატესი (12+5 მოხსნა+6 პასი).

**მ:** ლონგფორდი (17+4 პასიმ), ბლუ (16), ოპაიონი (15+5 მოხსნა+5 პასი), სმიტი (15+9 მოხსნა).

**სერია: 1-1**

**ბარსელონა–უნიქსი 66:63**

**17:13, 16:17, 18:18, 15:15**

**ბ:** ნავარო (18), ლორბეკი (13), მიკელი (12).

**უ:** ჯავაი (21+10 მოხსნა), ნახბარი (16+5 მოხსნა).

**სერია: 2-0**

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# პოლს სახლში უსტვინეს




გასულ სათამაშო დღეს საინტერესო იყო „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ვიზიტი ნიუ ორლეანში. იქაური პუბლიკა სტვენით შეხვდა თავის ყოფილ კერპს **კრის პოლს**. ამ მატჩს სხვა ინტრიგა ჰქონდა - „ნიუ ორლეანის“ ცენტრს კრის კამანს უნდა დაემტკიცებინა, რომ „კლიპერსი“ არასწორი იყო, როცა ის შემადგენლობიდან დაითხოვა. გერმანელმა მართლაც კარგად ითამაშა და 20 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. გარდა ამისა, კამანმა შესანიშნავად იმუშავა მესამე მეოთხედის ბოლოს, როცა თითქოს „კლიპერსი“ საბოლოოდ გაექცა მეტოქეს. კრისმა ზედიზედ ოთხი ქულა დააგროვა, **გრიფინსა** და **უილიამსს** დაუფარა და „ჰორნეტსმა“ მეტოქის შეჩერება შეძლო.

გარდა ამისა, მწვრთნელმა დროული ტაიმ-აუტი აიღო და ამის შემდეგ მასპინძლებმა დაცვაში თამაში გააძლიერეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ დარჩენილ დროში „კლიპერსმა“ 23-დან 19 ტყორცნა ააცილა და ხუთი შეცდომა დაუშვა. მატჩის ბოლოსკენ „ნიუ ორლეანმა“ კომფორტული უპირატესობა მოიპოვა - სხვაობა ორი წუთითა და 47 წამით ადრე 7 ქულა იყო. მართალია, მასპინძლებს მეტოქეზე ორჯერ მეტი შეცდომა ჰქონდათ, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა ხელისშემშლელი ფაქტორი. „კლიპერსის“ მარცხი იმის ბრალია, რომ კალიფორნიელებს არ წაუვიდათ შორეული ტყორცნები - მათი ბოლო 19 (!) სამქულიანი არაზუსტი აღმოჩნდა. ამ მხრივ, ნაგებულთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **ფოიემ**, რომელმაც თამაშიდან 14-ჯერ ისროლა და 13 ბურთი ააცილა.

■ ■ ■

გასული დღის კიდევ ერთ ინტრიგას „პორტლენდისა“ და „მემფისის“ შეხვედრაში ჰქონდა ადგილი. დიდხნიანი შესვენების შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა **გილბერტ არენასმა**, რომელმაც ცოტა ხნის წინ გააფორმა კონტრაქტი „მემფისთან“. „აგენტმა ზერომ“ (თუმცა არენასი „მემფისში“ მე-10 ნომრით თამაშობს) 11 წუთი ითამაშა და თავის აქტივში 2 ქულა და 2 პასი ჩაიწერა.

რაც შეეხება შეხვედრას, „პორტლენდმა“ ბოლო 13 მატჩში მხოლოდ მეოთხე გამარჯვებას მიაღწია. „მემფისმა“ უკვე ორი კვირაა შეკრიბა სრულფასოვანი შემადგენლობა, მაგრამ ჯერ ვერ დაალაგეს ერთმანეთში კომბინაციები **რუდი გეიმ** და **ზაკ რენდოლფმა**. „პორტლენდში“, როგორც იქნა, თავისი დონე აჩვენა **ნიკოლა ბატუმმა**, რომელიც მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა.

თამაში თანაბარი იყო - მაქსიმალური უპირატესობა შვიდი ქულა გახლდათ. დიდი ალბათობით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, მაგრამ „პორტლენდი“ უშეცდომოდ ისროდა საჯარიმოებს, მაგალითად, **ჯამალ კროუფორდი** ზუსტი იყო ბოლო წამებზე, სულ კი ორეგონელებმა 26-დან 26 საჯარიმო ჩააგდეს, რაც 1986 წლის შემდეგ არ მომხდარა.

**ვაშინგტონი–ინდიანა 83:85**

**34:18, 17:13, 15:26, 17:28**

**ვ:** კროუფორდი (21+5 პასი+3 ჩაჭრა), სინგლტონი (16), ული (16+9 პასი).

**ი:** ჰიბერტი (19+9 მოხსნა), გრეინჯერი (16), უესტი (13+3 ჩაჭრა), ჯორჯი (13+5 პასი+4 ჩაჭრა).

**ჰიუსტონი–გ. სტეიტი 109:83**

**30:18, 26:29, 28:20, 25:16**

**ჰ:** პარსონსი (20+11 მოხსნა), სკოლა (18+7 პასი), დრაგიჩი (17+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), დალემბერი (15+10 მოხსნა), ფორსტონი (12).

**გ-ს:** ჯეფერსონი (14), ლი (12+5 მოხსნა), რობინსონი (11), ტომპსონი (10).

**პორტლენდი–მემფისი 97:93**

**26:20, 23:24, 17:25, 31:24**

**პ:** ბატუმი (24), მეტიუზი (18+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), კროუფორდი (17), ოლდრიჯი (16+5 მოხსნა), ფელტონი (13+9 პასი).

**მ:** გასოლი (22+9 მოხსნა), ალენი (17+6 პასი), კონლი (13), რენდოლფი (12+6 მოხსნა), გეი (10+5 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი–კლიპერსი 97:90**

**29:35, 25:23, 22:21, 21:11**

**ნ-ო:** კამანი (20+10 მოხსნა+4 დაფარება), სმითი (17+8 მოხსნა), ჯეკი (17+9 პასი), ბელინელი (15+5 მოხსნა), ჰენრი (12).

**კ:** გრიფინი (21+11 მოხსნა), პოლი (16+9 პასი), ჯორდანი (14+9 მოხსნა).

**მილუოკი–ბოსტონი 91:100**

**29:35, 29:21, 13:18, 20:26**

**მ:** ჯენინგსი (19), დელფინო (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ელისი (13+7 პასი), ილიასოვა (12+14 მოხსნა), დანლივი (11), უდო (2+10 მოხსნა).

**ბ:** პირსი (25+9 მოხსნა), გარნეტი (16+10 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), პიეტრუსი (13), ბასი (12+10 მოხსნა), რონდო (10+14 პასი+3 ჩაჭრა).

**საკრამენტო–იუტა 102:103**

**26:30, 22:28, 29:29, 25:16**

**ს:** ევანსი (25+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), კაზინსი (22+18 მოხსნა), ტომპსონი (19+15 მოხსნა), ტორნტონი (16).

**ი:** ჯეფერსონი (26+7 მოხსნა+4 დაფარება), ჰეივორდი (18+7 მოხსნა+5 პასი), ჰარისი (14+6 პასი), ფეივორსი (12+10 მოხსნა+4 დაფარება), მილსეპი (10+6 მოხსნა).

# ესპანეთი მეომრებს კარგავს




რუდი ფერნანდესი

„დენვერ ნაგეტსის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ესპანელ მცველს **რუდი ფერნანდესს** ზურგის ტრავმის მკურნალობისთვის ოპერაციის გაკეთება სჭირდება. ამ კალათბურთელმა ეს დაზიანება „დალასთან“ ამასწინდელ მატჩში მიიღო და მიმდინარე სეზონში თამაშს ველარ შეძლებს. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა რუდი ლონდონის ოლიმპიადისთვის აღდგენას.

წლევანდელ ჩემპიონატში ფერნანდესმა 31 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 8.6 ქულა, 2.1 მოხსნა და 2.4 პასი დააგროვა.

თუ ფერნანდესი ვერ მოასწრებს ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის აღდგენას, ეს იქნება ესპანეთის ნაკრების მეორე სერიოზული დანაკლისი. შეგახსენებთ, რომ მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო სეზონს გამოეთიშა „მინესოტას“ გამთამაშებელი **რიკი რუბიო**.

● ამბები

## ბერდმა წასვლა გადაწყვიტა

რამდენიმე ამერიკული გაზეთის ინფორმაციით, ლეგენდარული **ლარი ბერდი** წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ დატოვებს „ინდიანა პეისერსის“ პრეზიდენტის პოსტს. ის ამ ნაბიჯს ნებისმიერ შემთხვევაში გადადგამს - რა შედეგითაც არ უნდა დაასრულოს სეზონი ინდიანაპოლისურმა კლუბმა. ბერდი „პეისერსის“ პრეზიდენტია 2003 წლიდან. 1997-2000 წლებში ის „ინდიანას“ მწვრთნელად მუშაობდა.

ბერდი კლუბის დატოვებას ჯერ კიდევ შარშან აპირებდა, მაგრამ „ინდიანას“ მფლობელმა **ჰერბ საიმონმა** გადააფიქრებინა წასვლა.

ამ მომენტისთვის „ინდიანა“ მეხუთე ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში. გუნდმა 45 მატჩში 27 გამარჯვებას მიაღწია.

## შევსება ჩემპიონში

NBA-ის ჩემპიონი „დალას მავერიქსი“ კონტრაქტს გააფორმებს მცველ **კელენა აზუბუიკესთან**, - წერს ამერიკული პრესა. 23 წლის კალათბურთელს მუხლის ტრავმის გამო 2009-10 წლების სეზონების შემდეგ არ უთამაშია, მაგრამ „მავერიქსის“ ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა მოთამაშის აღდგენითი პროცესით.

სავარაუდოდ, აზუბუიკესთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე გაფორმდება და მასში იქნება პუნქტი ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გაგრძელების თაობაზე.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში აზუბუიკეს 205 მატჩი აქვს ჩატარებული „გოლდენ სტეიტის“ შემადგენლობაში. მისი სტატისტიკური მონაცემები 10.6 ქულა, 4.0 მოხსნა და 1.1 შედეგიანი გადაცემაა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


რადულოვის გოლი

# პინგვინების ზედიზედ მეცხრე

ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო რეგულარულ ჩემპიონატში "პიტსბურგმა". "პინგვინებმა" ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოუგეს "ნეშვილს" და ოფიციალურად გაიფორმეს პლეი ოფის საგზური. **სიდნი კროსბიმ** ამჯერად უქულოდ დაასრულა შეხვედრა, სამაგიეროდ, **მალკინმა** და **ჯეიმს ნილმა** ერთად ექვსი ქულა აიღეს. რუსმა დუბლი შეასრულა და თავისი მონაგარი 95 ქულამდე აიყვანა, რაც თითქმის გარანტირებულად ანიჭებს მას რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს. რაც შეეხება ნილს, მან ოთხი შედეგიანი პასი დააგროვა და ჩემპიონატის ხუთ საუკეთესო ბომბარდირს შორის შევიდა. მან უკვე 21 ქულით გააუმჯობესა შედეგიანობის პირადი რეკორდი.

ყველაფერი ნორმალურად აქვს "ფილადელფიას", რომელსაც ჯერ არ გაუფორმებია პლეი ოფში ადგილი, მაგრამ ახლოს არის ამასთან. "მფრინავებმა" საკუთარ მოედანზე მოუგეს "ვაშინგტონს" ბულიტების სერიაში. **ალექსანდრ ოვეჩკინმა** 26-ე წამზე გამოიჩინა თავი, რითაც ბოლო ხუთ მატჩში მეექვსე გოლი შეაგდო. მაგრამ მასპინძლებმა **ჟირუს** გოლით გაათანაბრეს, ბულიტებამდე კი საქმე მეკარეების კარგი თამაშის წყალობით მივიდა. "ვაშინგტონის" კარში 22 წლის **ბრეიდენ ჰოლტბი** იდგა, რომელმაც 28 დარტყმა მოიგერია. მაგრამ მან წააგო ბულიტების სერია **ილია ბრიზგალოვთან.** "ვაშინგტონმა" ერთი ქულა აიღო და მერვე ადგილისთვის ბრძოლაში ერთი ქულით უსწრებს "ბაფალოს". დღეს დედაქალაქელებისთვის მნიშვნელოვანია "ვინიპეგთან" შეხვედრა, "ბაფალო" კი "რეინჯერსს" შეხვდება.

ბომბარდირთა დავაში მალკინის კონკურენტმა **სტივენ სტემკოსმა** ხუთი მატჩის წინ გაიტანა 50-ე შაიბა და მას შემდეგ წინ ვერ წაიწია. წერენ, რომ ფორვარდს მცირე დაზიანება აქვს, მაგრამ ასეთი ტემპებით "ტამპას" ლიდერმა შესაძლოა დაკარგოს სეზონის საუკეთესო სნაიპერის ტიტული. გუშინ, "ედმონტონთან" მატჩში სტივენმა თითქმის 28 წუთი ითამაშა, მაგრამ ქულა ვერ აიღო. სამაგიეროდ, მისმა პარტნიორებმა იყოჩაღეს და "ლაითნინგმა" ბულიტების სერიაში 3:2 მოიგო. "ტამპა" რვა ქულით ჩამორჩება "ვაშინგტონს" და ერთი თამაში თადარიგში აქვს.

საინტერესო ამბები ხდება დასავლეთში, სადაც ისევ შეიცვალა ლიდერი წყნარი ოკეანის დივიზიონში. "დალასი" შინ ილებდა "ვანკუვერს", რომელიც **დანიელ სედინის** გარეშე თამაშობდა. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა 2:1 მოიგეს. "კენაქსის" რიგებში გაილვიძა **მეისონ რეიმონდმა**, რომელმაც 26 თებერვლის შემდეგ პირველად გაიტანა. გარდა ამისა, რეიმონდმა საგოლე პასიც შეასრულა, **ჰენრიკ სედინმა** კი ორი შედეგიანი პასი დააგროვა, რამაც თითქმის გაუნაღდა პლეი ოფის საგზური კანადურ კლუბს.

წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერობისთვის "ფინიქსი" და "ლოს ანჯელესი" აცხადებენ პრეტენზიას, რომლებსაც ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ. "მეფეები" "სენტ ლუისთან" მოგების შემთხვევაში კონფერენციის სამეულში შედიოდნენ. „კინგზმა" ურთულესი მატჩი ჩაატარა "ბლუზმენებთან", რომელშიც მეკარეები დომინირებდნენ. **კუიკმა** და **ელიოტმა** ერთად 72 დარტყმა მოიგერიეს და 0:0-ზე შეხვედრა ბულიტების სერიამდე მიიყვანეს, სადაც "კინგზს" გაუმართლა. ამ მოგებამ **სატერის** გუნდს პირველად დიდხნიანი შესვენების შემდეგ დივიზიონში ლიდერობის საშუალება მისცა.

პლეი ოფის ზონასთან ახლოს არიან "კალგარი" და "სან ხოსე". "ფლეიმზი" უფრო ახლოს იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელად 2:0-დან წააგო შეხვედრა "მინესოტასთან". "სან ხოსემ" კი 2:1 მოუგო "ბოსტონს". ამ უკანასკნელმა მეტოქის კარში მხოლოდ 17 დარტყმა შეასრულა და ამით "შარქსს" შედარებით იოლი ორი ქულა მოაპოვებინა.

**პიტსბურგი-ნეშვილი 5:1**

2:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 მალკინი-44 (ჯ. ნილი-38, ლეტანგი-26), 2:0 დუპუი-22 (ლეტანგი-27, სალივანი-27), 3:0 კუკი-17 (ჯ. ნილი-39), 4:0 კუნიტცი-22 (ჯ. ნილი-40, ორპიკი-15), 4:1 რადულოვი-1 (გილი-11, ჰორნკვისტი-14), 5:1 მალკინი-45 (ჯ. ნილი-41, კუნიტცი-29).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-33, 1:1 კ. ჟირუ-27 (იაგრი-30, ლილია-4).

**ბულიტები გაიტანეს:** რიდი (ვაშინგტონი), ჰენდრიქსი (ფილადელფია), სიმონდსი (ფილადელფია).

**დალასი-ვანკუვერი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 რეიმონდი-9 (ჰამჰუისი-29, ჰ. სედინი-58), 0:2 ბიეკსა-8 (რეიმონდი-9, ჰ. სედინი-59), 1:2 ფიდლერი-8 (ნისტრიომი-5, ლეჰტონენი-2).

**ტამპა ბეი-ედმონტონი 3:2 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პიატი-9 (ჰედმანი-12, კონოლი-10), 1:1 უმარკი-3 (რაიან უიტნი-14, რ. სმიტი-26), 2:1 პიატი-10 (უაიმანი-9, უოლასი-3), 2:2 შმიდი-4 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-28, სემ განიე-29).

**ბულიტები გაიტანეს:** სემ განიე (ედმონტონი), სტემკოსი (ტამპა ბეი), სან ლუი (ტამპა ბეი), ჰამსკი (ედმონტონი), პურსელი (ტამპა ბეი).

**მინესოტა-კალგარი 3:2 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სტემპნიაკი-13 (ბატლერი-12, ბოუმისტერი-22), 0:2 ბაბჩუკი-1, 1:2 ჰიტლი-21 (სეტოგუჩი-14, კულენი-21), 2:2 პოუ-5 (ნ. ჯონსონი-17, ბროძიაკი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** სეტოგუჩი (მინესოტა).

**ფინიქსი-კოლორადო 3:2**

2:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ლენგკოუ-10 (ტორესი-9, ბრული-7), 2:0 ჩიპჩურა-3 (რეი უიტნი-47), 3:0 ტორესი-15 (გორდონი-14, ბრული-8), 3:1 რ. ო'რაილი-18 (ო'ბრაიენი-16, დაუნი-26), 3:2 პ. შჩასტნი-20 (მაკგინი-16).

**სან ხოსე-ბოსტონი 2:1**

1:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 პაველსკი-27 (მარლო-31, ჯ. ტორტონი-53), 2:0 ვინიკი-6 (დეუარდენი-11), 2:1 ხარა-11 (კელი-16, როლსტონი-12).

**ლოს ანჯელესი-სტ ლუისი 1:0 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს:** მ. რიჩარდსი (ლოს ანჯელესი), ოში (სტ. ლუისი), კარტერი (ლოს ანჯელესი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| უნგრეთი-ბელგია | 2:2 |
| რუსეთი-უელსი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| მაკლსფილდი-ბარნეტი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სასუოლო-ემპოლი | 1:0 |
| **სერია C1/A** | |
| პრო ვერჩელი-პავია | 0:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვილიარეალი B-მურსია | 2:0 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-ინგოლშტადტი | 0:1 |
| დინამო-მიუნხენი | 0:1 |
| ფრანქფურტი-ალემანია | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვილჰელმშავენი-ჰალეშერი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| მანჰაიმი-ფრაიბურგი II | 0:1 |
| შტ. კიკერსი-ფიურტი II | 4:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ტრირი-კობლენცი | 0:0 |
| ვიდენბრუკი-ელვერსბერგი | 0:1 |
| ვუპერტალი-ბოხუმი II | 3:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-სედანი | 0:3 |
| ანჟერსი-გინგამი | 1:0 |
| არლი-ბასტია | 0:0 |
| ბულონი-ლე მანი | 2:0 |
| ლავალი-ტური | 1:2 |
| ჰავრი-ისტრი | 0:0 |
| მონაკო-შატორუ | 2:1 |
| რეიმსი-მეცი | 3:0 |
| ტრუა-კლერმონი | 3:2 |
| **ნასიონალი** | |
| შერბური-ეპინალი | 1:0 |
| მარტიგი-ნიორი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ექსელსიორი-გრონინგენი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ოსი | 3:2 |
| კამბური-დენ ბოში | 1:0 |
| ემენი-ფორტუნა | 0:4 |

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-სპარტა | 1:0 |
| ცვოლე-აპელდოორნი | 3:0 |
| ჰელმონდი-იგლზი | 5:1 |
| ვილემი-დორდრეხტი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანტვერპენი-ტუბეკე | 2:3 |
| **პორტუგალია** | |
| ოლანენსე-ბენფიკა | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| მიოლდე-სტრიომსგოდსეტი | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ტურკუ-მიუპა | 4:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ლუსტენაუ | 1:1 |
| ავსტრია (ლ)-ლინცერი | 2:1 |
| ბლაუ ვაისი-გრიოდიგი | 1:1 |
| ჰარტბერგი-სტ. ანდრა | 0:3 |
| ვენა-სტ. პოლტენი | 0:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აგროტიკოსი-კალონისი | 1:3 |
| ანაგენისი (ე)-პანსერაიკოსი | 0:1 |
| ანაგენისი (ი)-ირაკლისი (პ) | 0:0 |
| ტრასივულოსი-პლატანიასი | 1:1 |
| კალითეა-პანთრაკიკოსი | 3:0 |
| პანახაიკი-პიერიკოსი | 0:0 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-დროგედა | 2:4 |
| დერი-კორკი | 2:0 |
| დანდალკი-უნივერსიტი | 2:1 |
| მონეგანი-სლიგო | 0:1 |
| შემროკი-შელბურნი | 4:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-გალვეი | 3:0 |
| მერვუ-ეთლონი | 0:1 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-პორტ ტელბოტი | 2:2 |
| ეირბასი-ნიუთაუნი | 3:1 |
| ტნს-პრესტატინი | 2:1 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-ომონია | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| პრშიბრამი-დუკლა | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| იჰლავა-სლოვანი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრნავა-დ. სტრედა | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| ვოლინი-შახტარი | 1:2 |

| | |
|---|---|
| **პოლონეთი** | |
| [illegible] | 4:1 |
| [illegible] | 1:3 |
| [illegible] | |
| [illegible] | 1:4 |
| **რუმინეთი** | |
| მიოვენი-პანდური | 0:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ცსკა-ბილბაო | 79:60 |
| მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი | 81:80 |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-გრაველენი | 54:69 |
| ვილერბანი-ნანტი | 81:87 |
| **თურქეთი** | |
| პინარი-თოფასი | 87:66 |
| ფენერბაჰჩე-ალიაგა | 85:74 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-სკა | 0:4 |
| დინამო (მ)-ტორპედო | 3:2 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-მანჰაიმი | 1:8 |
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 5:1 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 7:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ზვოლენი | 7:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| მიურეი-ფალა | 6:2, 6:3 |
| სიმონი-ბაუტისტა | 6:4, 6:4 |
| ჰაასე-მელცერი | 6:7, 6:3, 4:6 |
| ფ. მაიერი-დოდიგი | 6:4, 7:5 |
| ცონგა-მალისე | 7:5, 7:5 |
| კოლშრაიბერი-ჟილი | 6:2, 7:5 |
| დოლგოპოლოვი-ვეიჩი | 6:4, 7:5 |
| ნალბანდიანი-ტიპსარევიჩი | 5:7, 3:6 |
| რაონიჩი-კლემანი | 7:6, 6:2 |
| შტეპანეკი-ჰაასი | 7:6, 6:1 |
| **WTA. მაიამი** | |
| ვოზნიაკი-ნიკულესკუ | 4:6, 6:3, 6:4 |
| ზვონარევა-მუგურუსა | 4:6, 3:6 |
| კანეპი-სოლერ ესპინოსა | 5:7, 3:6 |
| კერბერი-ჟენგი | 6:7, 1:6 |
| ციბულკოვა-ტატიშვილი | 7:5, 6:1 |
| პენეტა-დომინგეს ლინო | 6:4, 2:6, 6:0 |
| კირილენკო-კლეიბანოვა | 7:6, 6:3 |
| კინგი-ივანოვიჩი | 4:6, 5:7 |
| საფაროვა-უოტსონი | 2:6, 1:6 |
| პეტროვა-ჰალეპი | 3:6, 2:6 |
| აზარენკა-კრაიჩეკი | 6:3, 7:5 |
| კეისი-ა. რადვანსკა | 1:6, 1:6 |

## TV პროგრამა

**24 მარტი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვოლფსბურგი-ჰამბურგი.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXX ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 პროგრამა - საფეხბურთო ლამე.
15:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXX ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. XXX ტური. ჩელსი-ტოტენჰემი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXX ტური. არსენალი-ასტონ ვილა (LIVE).
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტური. მალიორკა-ბარსელონა (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტური. რეალი-სოსიედადი (LIVE).
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტური. ხეტაფე-ვალენსია (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 NBA Action.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-დალასი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
17:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ბაიერნი-ჰანოვერი.
20:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტური. მილანი-რომა (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მემფისი (LIVE).
01:30 NBA Action.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთის ლეგენდები. უიმბლდონი 2008.
15:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. მაიამი. აშშ (LIVE).

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-ქუთაისი (LIVE).

**25 მარტი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტური. მილანი-რომა.
12:00 იტალიის შოუ.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ატალანტა-ბოსტონი (LIVE).
16:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ნაპოლი-კატანია (LIVE).
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. კიოლნი-დორტმუნდი (LIVE).
21:30 სუპერკოლაჟი.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტური. იუვენტუსი-ინტერი (LIVE).
00:45 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტური. რეალი-სოსიედადი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტური. მალიორკა-ბარსელონა.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მემფისი.
14:30 NBA Action.
15:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
16:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
16:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი.
18:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტური. აიაქსი-ეინდჰოვენი (LIVE).
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-დალასი.
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIX ტური. პსჟ-ბორდო (LIVE).
01:00 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. მაიამი. აშშ (LIVE).
14:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ალკმაარი-ვალვაიკი (LIVE).
16:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ცსკა-ბილბაო.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. მაიამი. აშშ (LIVE).

**I არხი**

18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-დინამო (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქვირის ბოლოს



სატყუარა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

## ფორმულა 1. მალაიზიის გრანპრი

# ლუისის დუბლი

### კიმი რაიკონენს ხუთით დააქვეითებენ

მალაიზიის გრანპრი პარასკევის ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო. პირველ ვარჯიშზე საუკეთესო დრო „მაკლარენის“ ბრიტანელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** დააფიქსირა – 1.38,021. ეს მან სესიის პირველ ნახევარში გააკეთა და მისი შედეგი ვერც ერთმა კონკურენტმა ვერ გააუმჯობესა. პირველ სამეულში მოხვდნენ **სებასტიან ფეტელი** და **ნიკო როსბერგი**, თუმცა საკმაოდ ბევრი წააგეს.

იმის გამო, რომ სინოპტიკოსები წვიმას ვარაუდობდნენ, გუნდები მაშინვე საქმეს შეუდგნენ. „მაკლარენის“, „რედ ბულისა“ და „მერსედესის“ პილოტებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი აჩვენეს, კარგად გამოიყურებოდნენ „ლოტუსის“ წარმომადგენლებიც.

თუმცა **რომან გროსჟანს** ტრასაზე გასვლისთანავე ბოქსებში დაბრუნებამ მოუწია ტექნიკური პრობლემის გამო, თუმცა ხარვეზი სწრაფად გამოასწორეს. ვარჯიშის ბოლოს სამუხრუჭე სითხისა და ზეთის გაჟონვის გამო ბოქსებში შეყოვდნენ **მარკ უებერი** და **ჯენსონ ბატონი**.

სხვა მხრივ, სესიამ ინციდენტების გარეშე ჩაიარა. ფორმულა 1-ის ოფიციალურ შეჯიბრებაში დებიუტი ჰქონდა **ვალტერი ბოტასს**. „უილიამსის“ ფინელი „რეზერვისტი“ „დიდი ცირკის“ ისტორიაში რიგით 831-ე პილოტი გახდა და გუშინ მან მე-11 ადგილი დაიკავა.

**I პრაქტიკა**

1. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი) - 1:38.021 (19 წრე); 2. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული) - +0.514 (21); 3. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი) - +0.792 (21); 4. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი) - +0.805 (19); 5. **რომან გროსჟანი** (ლოტუსი) - +0.898 (17); 6. **მარკ უებერი** (რედ ბული) - +1.071 (20); 7. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი) - +1.107 (22); 8. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია) - +1.277 (23); 9. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი) - +1.302 (15); 10. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია) - +1.419 (19); 11. **ვალტერი ბოტასი** (უილიამსი) - +1.703 (23); 12. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი) - +1.762 (23); 13. **ფელიპე მასა** (ფერარი) - +1.875 (16); 14. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი) - +1.889 (21); 15. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი) - +1.959 (23); 16. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო) - +2.078 (23); 17. **ჰეიკი კოვალაინენი** (კატერჰემი) - +2.226 (19); 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო) - +2.448 (23); 19. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო) - +2.836 (25); 20. **სერხიო პერესი** (ზაუბერი) - +3.064 (23); 21. **ტიმო გლოკი** (მარუსია) - +5.149 (18); 22. **შარლ პიკი** (მარუსია) - +6.559 (14); 23. **ნარაიან კართიკეიანი** (HRT) - +7.339 (8); 24. **პოლ დი რესტა** (HRT) - +7.507 (18).

■ ■ ■

სინოპტიკოსების პროგნოზი არ გამართლდა – სეპანგზე არ გაწვიმდა და პილოტებმა გააგრძელეს დილით დაწყებული პროგრამა – მუშაობდნენ სარბოლო მახასიათებლებზე და აფასებდნენ საბურავების ცვეთის ხარისხს.

პრობლემები აქაც იყო – ბოლო მოსახვევში გავარდნის გამო მექანიკოსები დიდი ხანი მუშაობდნენ **დი რესტას** მანქანაზე, **კობაიაშის** ბოლიდზე კი გადაცემათა კოლოფი გამოვიდა მწყობრიდან – იაპონელი მხოლოდ სესიის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე გავიდა ტრასაზე. **კოვალაინენმაც** ტექნიკური პრობლემის გამო სრულად ვერ გაიარა პროგრამა.

ისევე როგორც დილით, ამჯერადაც ოქმს სათავეში ლუის ჰემილტონი ჩაუდგა.

**II პრაქტიკა**

1. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი) - 1:38.172 (28); 2. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი) - +0.361 (34); 3. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი) - +0.363 (29); 4. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი) - +0.524 (34); 5. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო) - +0.681 (33); 6. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი) - +0.719 (27); 7. **მარკ უებერი** (რედ ბული) - +0.961 (29); 8. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო) - +1.125 (33); 9. **რომან გროსჟანი** (ლოტუსი) - +1.139 (22); 10. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული) - 1.230 (25); 11. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი) - +1.272 (35); 12. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია) - +1.292 (26); 13. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია) - +1.453 (20); 14. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი) - +1.515 (16); 15. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი) - +1.524 (29); 16. **ფელიპე მასა** (ფერარი) - +2.099 (27); 17. **ბრუნო სენა** (უილიამსი) - +2.506 (34); 18. **სერხიო პერესი** (ზაუბერი) - +2.775 (33); 19. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო) - +3.292 (25); 20. **ტიმო გლოკი** (მარუსია) - +3.509 (20); 21. **ჰეიკი კოვალაინენი** (კატერჰემი) - +4.422 (18); 22. **შარლ პიკი** (მარუსია) - +4.702 (24); 23. . **ნარაიან კართიკეიანი** (HRT) +5.486 (18).

■ ■ ■

პარასკევის პრაქტიკის შემდეგ, „ლოტუსის“ ხელმძღვანელობა იმ აზრამდე მივიდა, რომ ფინელი **კიმი რაიკონენის** მანქანაზე გადაცემათა კოლოფია გამოსაცვლელი. ფორმულა 1-ის რეგლამენტის თანახმად კი ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი კვირას სასტარტო ბილიკზე ხუთ პოზიციას დაკარგავს.

ერთი კვირით ადრე, ავსტრალიის გრანპრიზე ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა „ზაუბერის“ პილოტი **სერხიო პერესი**. თავად რაიკონენმა მაშინ კვალიფიკაცია მე-18 ადგილზე დაასრულა. ასე რომ, ზედიზედ მეორე რბოლაში კიმის არამომგებიანი სასტარტო პოზიცია ექნება.

ლუისი სწრაფია



## ჩოგბურთი. ტურნირები

# ფავორიტების დღე

სერენა უილიამსი



მაიამიში ქალთა ტურნირზე განთესილები ჩაებნენ ბრძოლაში. ერთ-ერთმა პირველმა მესამე წრეში თამაშის უფლება ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა** მოიპოვა, რომელმაც ახალგაზრდა რუსის **ვალერია სავინიხის** წინააღმდეგობა დაძლია. ეს უკანასკნელი მხოლოდ პირველ პარტიაში ეწინააღმდეგებოდა მეტოქეს და ერთადერთი ბრეიკ-პოინტის რეალიზებაც შეძლო, მაგრამ ავსტრალიელმა ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა. მეორე სეტში რუსის თამაში მთლიანად მოიშალა. მან საკუთარ მოწოდებაზე ხუთი ქულა აილო, მიღებაზე - ექვსი.

ზუსტად იგივე შედეგი დაფიქსირდა **კაროლინ ვოზნიაცკისა** და **ბარბორა ზახვალოვას** მატჩში. პირველ სეტში ჩეხი აქტიურად მოქმედებდა და ორი ბრეიკის გაკეთება მოასწრო, მაგრამ ვოზნიაცკის ანგარიშზე მეტოქის სამი მოწოდება მოდის. მეორე პარტიაში ბრძოლა არ ყოფილა - დანიელმა საკუთარ მოწოდებაზე მხოლოდ ორი გათამაშება დათმო და თავის გეიმებში შანსი არ მისცა მოწინააღმდეგეს.

ასევე წარმატებული სტარტი ჰქონდა მაიამიში **სერენა უილიამსს** - მან **შუაი ჟენგი** დაამარცხა. რეიტინგში ამ ჩოგბურთელებს შორის 160 საფეხურია. ჟენგმა პირველ სეტში ერთი თავისი და ერთიც მეტოქის მოწოდება აილო. მეორე სეტში ამერიკელმა საკუთარი მოწოდება შეინარჩუნა, თავად კი ერთი ბრეიკი გააკეთა და გამარჯვება გაიფორმა.

განუთესავმა ვარსკვლავმა **კიმ კლაისტერსმა** ტურნირის მე-14 ნომერი **იულია გორგესი** შეაჩერა. კიმი პირველად გამოჩნდა კორტზე ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, სადაც მან ნახევარფინალი წააგო **ვიქტორია აზარენკასთან**. ბელგიელმა ძალიან დამაჯერებლად დაიწყო ეს შეხვედრა - ბრწყინვალედ მოქმედებდა საკუთარ მოწოდებაზე და გერმანელს მხოლოდ სამი ქულა აჩუქა. გარდა ამისა, ორი ბრეიკის გაკეთებაც შეძლო. თუმცა მეორე სეტში გორგესმა დაუბრუნა შეხვედრას ინტრიგა. მან უფრო აგრესიულად დაიწყო თამაში, განსაკუთრებით მიღებაზე. შედეგად, იულიამ 14 (!) ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ მათგან მხოლოდ ოთხი გამოიყენა. კლაისტერსი არ აპირებდა პოზიციების დათმობას და ბოლო მომენტში აიცილა თავიდან ტაი-ბრეიკი და შესაძლო მესამე სეტი.

ბრძოლით გავიდა შემდეგ რაუნდში **მარია შარაპოვა**. მას სამი სეტი და თითქმის ორსაათნახევარი დასჭირდა **შაარ პეერის** დასამარცხებლად. რუსმა კარიერაში მეექვსედ მოუგო ისრაელის წარმომადგენელს. პირველ სეტში პეერი მიღებაზე შესანიშნავი თამაშით გაიჭრა წინ, მაგრამ შარაპოვამ მეორე პარტიაში შეძლო რეაბილიტირება. მან გაასწორა მოწოდების სიზუსტე, ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და მიღებაზე ერთი გეიმი აილო. გადამწყვეტ სეტში რუსი აგრძელებდა სიტუაციაზე კონტროლს. პეერს ჰქონდა თამაშის სურათის შეცვლის მცდელობა, მაგრამ მისი სუსტი წერტილი აღმოჩნდა მეორე მოწოდება, რომლითაც მან 11-დან მხოლოდ ერთი ქულა აილო. ასე რომ, შარაპოვამ გართულებების გარეშე მოამთავრა საქმე და მესამე რაუნდში გადავიდა.

ბრწყინვალედ გამოიყურება გერმანული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი **მონა ბარტელი**. ახალგაზრდა ჩოგბურთელმა 6:0, 6:3 გაანადგურა **ელენა იანკოვიჩი**. ერთ დროს მრისხანე სერბს ასეთი ანგარიშით 2010 წლის შემდეგ არ წაეგო მატჩი.

**კაცები**

**I წრე**

**იგორ კუნიცინი (რუს)**-ჯესი ლევინე (აშშ) 7:6, 7:6; **ადრიან რამოსი (ესპ)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:3, 6:1; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:7, 6:4, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:3, 6:7, 7:6; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:1, 6:4; **სედრიკ-მარსელ შტებე (გერ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:3, 7:5; **სერგეი ბუბკა (უკრ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 6:4; **სემ კუერი (აშშ)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:1, 5:7, 7:5; სერგეი სტახოვსკი (უკრ)-**ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)** 6:7, 3:6; **ბიორნ ფაუ (გერ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 6:2; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-ჟერემი შარდი (საფ) 7:5, 7:6; **დავიდ გოფენი (ბელ)**-დონალდ იანგი (აშშ) 7:5, 6:4; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:4, 6:3; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 5:7, 6:3, 6:2; ალექს ბოგომოლოვი (რუს)-**ჟილ მიულერი (ლუქ)** 7:5, 4:6, 6:7; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-რაჯივ რამი (აშშ) 6:4, 7:6.

**ქალები**

**II წრე**

**რობერტა ვინჩი (იტა, 21)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:5, 6:1; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-იულია გორგესი (გერ, 14) 6:2, 7:5; **საბინ ლისიცკი (გერ, 12)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:3, 6:2; **მონა ბარტელი (გერ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 13) 6:0, 6:3; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-ანაბელ მედინა გარიგესი )ესპ, 25) 1:6, 6:4, 6:0; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:3, 6:4; **შუაი პენგი (ჩინ, 17)**-სტეფანი ფორეცი (საფ) 6:1, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 10)**-შუაი ჟენგი (ჩინ) 6:2, 6:3; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 26) 1:6, 7:6, 7:6; შაარ პეერი (ისრ)-**მარია შარაპოვა (რუს, 2)** 6:4, 3:6, 3:6; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 19) 6:1, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-ვალერია სავინიხი (რუს) 6:4, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 8)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 7:5, 6:2; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ, 29)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 0:6, 7:5, 6:1; ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)-**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4)** 4:6, 0:6; სარა ერანი (იტა, 30)-**სლოუნ სტივენსი (აშშ)** 6:3, 2:6, 5:7.

# მებრძოლი აზარენკა

მაიამის ტურნირში ჩაბმამდე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** წესების გარეშე ბრძოლაში ივარჯიშა. ამაში აზარენკას **რაშად ევანსი** ეხმარებოდა, რომელიც UFC-ის წესებით გამართულ ტურნირებზე ნახევრადსაშუალო წონაში გამოდის.

ვარჯიში რინგზე შედგა, რომელიც წესების გარეშე ბრძოლებისთვის დამახასიათებელი სპეციალური ღობით იყო შემოფარგლული.

ევანსისა და აზარენკას ვარჯიშის ვიდეოს ნახვა ინტერნეტით შეიძლება. მეცადინეობის დაწყებამდე მებრძოლმა ჩოგანი დაიჭირა ხელში და ბელარუსის ხელმძღვანელობით რამდენიმე დარტყმა შეასრულა. შემდეგ ვიქტორიამ ორთაბრძოლების რამდენიმე ილეთი ჩაატარა.

როგორც იტყობინებიან, მსოფლიოს პირველი ჩოგანი დიდი ხანია შერეული ორთაბრძოლების თაყვანისმცემელია.

რაშად ევანსი ამჟამად UFC-ის ვერსიით გასამართავი მორიგი ბრძოლისთვის ემზადება. ეს იქნება სატიტულო ორთაბრძოლა ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონთან **ჯონ ჯონსთან**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ევანსი და აზარენკა

## მონტე კარლო როჯერის გარეშე

ერთ-ერთი ამერიკული წყაროს ცნობით, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მონტე კარლოს მასტერსიდან განაცხადის გამოტანა გადაწყვიტა. ეს ტურნირი 2012 წლის აპრილში გაიმართება. მსოფლიოს მესამე ჩოგანის თქმით, მას სურს ამ პერიოდში დაისვენოს და უკეთ მოემზადოს საფრანგეთის ღია პირველობისთვის.

შარშან, ფედერერმა მონტე კარლოში მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც **იურგენ მელცერთან** წააგო - 4:6, 4:6.

„ლელო“ დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში;
ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია